საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცირეკიძემ ევროპა ასწია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 აპრილი **შაბათი** 2012 №088(13694) ფასი 80 თეთრი




ელექტრონული
ბიბლიოთეკა





# კალაძე მილანში ბრუნდება

9

## რაულის ოქროს ფორმულა: I ადგილი=165+200

გუშინ ანტალიაში ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე შესანიშნავად იასპარეზა ქუთაისელმა რაულ ცირეკიძემ, რომელმაც 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში აიტაცა 165 კგ (მცირე ვერცხლი), აკრა 200 კგ (მცირე ვერცხლი) და ორჭიდში 365 კილოგრამით ათწლიანი შესვენების შემდეგ სამშობლოს კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედალი (მსგავს წარმატებას 2002 წელს ანტალიაშივე გიორგი ასანიძემ მიაღწია) მოუტანა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, თურქი ფათიჰ ბეიდარი-359(166+193) და რუმინელი გაბრიელ სინჩრაიანი-359(164+195) გავიდნენ.

ვაჟა დანელია

# Georgiანა

## ოლიმპიადასა და ნაკრებზე




## ინტერვიუ ანა ტატიშვილთან

10

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



10

## არც ასხელა, არც ასია, მოიგო კვალიფიკაცია

ლუბა გოლოვინას საჩემპიონო სტარტი

BUNDES LIGA

## რა ფერი იქნება რურის დერბი

6

ბორუსია გააყვითლებს შალკეს, თუ შალკე ჩაალურჯებს ბორუსიას?

**გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!**

ლელოს მომდევნო ნომერი გამოვა სამშაბათს, 17 აპრილს

ქართული ფეხბურთი

U 19

# ოთარ კორღალიძემ მამაპაპური სქემა ამჯობინა

## პორტუმდე 21 საათი ვიმგზავრეთ და 0:5 გიკვირთ?

პორტუგალიაში მიმდინარე 19-წლამდელთა ტრადიციული ოთხთა ტურნირის მეორე დღეს, ქართველმა 19-წლამდელებმა ფრანგი თანატოლები 3:0 დაამარცხეს.

არადა, ჩვენმა ნაკრებმა ტურნირი ძალიან ცუდად დაიწყო - პირველ ტურში მასპინძელთა ნაკრებთან დიდი ანგარიშით, 0:5 დამარცხდა.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ოთარ კორღალიძეს გუშინ პორტუში დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- ფრანგებთან დიდი ანგარიშით მოგება ნებისმიერ შემთხვევაში მოულოდნელი იქნებოდა, მით უფრო, პორტუგალიასთან 0:5-ის შემდეგ.**

- ამას მართლაც ვერავინ წარმოიდგენდა. მაგრამ აქვე გეტყვით, რომ პორტუგალიასთან დასვენებულებს რომ გვეთამაშა, 0:5-ს ნაღდად არ წავაგებდით.

**- ამ ფორმაციის გუნდისგან ეს მარცხი გულშემატკივართათვის შოკისმომგვრელი იყო, ფედერაციის ვებგვერდზე წაგების ერთ-ერთ ობიექტურ მიზეზად პორტუგალიაში გვიან ჩასვლა დასახელდა - მომქანცველი მგზავრობის შემდეგ, ჩვენი გუნდი თამაშზე ლამის პირდაპირ აეროპორტიდან მივიდაო.**

- ასეც იყო. ჩვენ საფრანგეთთან იმიტომ მოვიგეთ, რომ ცოტა "აზრზე მოვედით". წარმოგიდგენიათ, მასპინძლებს 21-საათიანი მგზავრობის შემდეგ ისე ვეთამაშეთ, თამაშის წინა დღეს არც გვივარჯიშია.

**- რატომ?**

- პორტუში ღამე, 23 საათზე ჩამოვფრინდით, ბიჭებმა ივახშმეს და დაიძინეს. მერე დროშიც განსხვავებაა, შესაბამისად, ადაპტაციასა და აკლიმატიზაციაზე საუბარიც ზედმეტი იყო და ბიჭებს მოედანზე ლამის დაეძინათ. პორტუგალია კი ნაღდად არაა ის გუნდი, ასეთ მდგომარეობაში რაიმე გაპატიოს. მასპინძლებს ცოტა მსაჯიც მიეხმარა, ჩვენც 0:2-ზე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, მათ კი ყველაფერი ილბლიანად აეწყოთ და გოლებიც ასე გაგვიტანეს. ყველაფერი ერთად რომ აეწყო, მოედანზე არეულები ვიყავით და დიდი ანგარიშით წავაგეთ.


ოთარ კორღალიძე

**- პორტუში დაგვიანებით რატომ ჩახვედით?**

- აბა, რა გითხრათ, ჩვენ არ ვართ მდიდარი ქვეყანა და არც მდიდარი ფედერაცია გვყავს. შესაბამისად, არ გაგვაჩნია ფუფუნება, რომ 2-3 დღით ადრე გავემგზავროთ. თუმცა, მიმაჩნია, რომ ასეთ მნიშვნელოვან ტურნირებზე გამგზავრებისას, ნაკრებზე ეკონომია არ შეიძლება. წინა შეკრებისას, კვიპროსში ჩასასვლელად 18 საათი დაგვჭირდა, პორტუგალიაში კი – 21 საათი. მალე ხორვატიაში ელიტ რაუნდის შეხვედრები გველის და დროულად იქ მაინც უნდა ჩავიდეთ.

სწორედ აქედან გამომდინარე ვამბობ: პორტუგალია ძლიერი ნაკრებია, მაგრამ ისე არ გვჯობია, 0:5 რომ წაგვეგო. დასვენებულებს რომ გვეთამაშა, სულ სხვა თამაში იქნებოდა.

**- საფრანგეთთან შეხვედრას დავუბრუნდეთ.**

- ეტყობა, წინა მატჩიდან სწორი დასკვნები გამოვიტანეთ. ზემოთ მასპინძლებთან მარცხის ობიექტური მიზეზები დავასახელე, მაგრამ მოთამაშეთა ზერელე დამოკიდებულებაზეც უნდა ვთქვა: ბევრს ეგონა, რომ ნახევარი ძალით თამაში საკმარისი იქნებოდა. ამიტომ, მატჩამდე ბიჭებთან საკმაოდ მწვავე ლაპარაკი მქონდა და ეტყობა, ამანაც გაჭრა.

გარდა ამისა, სათამაშო სქემაც რადიკალურად შევცვალეთ. ჩემს მისვლამდე ნაკრები 4-3-3 განლაგებით თამაშობდა და მისი შეცვლა მიზანშეწონილად არ მივიჩნიე. მაგრამ ,წაგებიდან და მოთამაშეთა კონტინგენტიდან გამომდინარე, ჩავთვალეთ, რომ "მამაპაპური" 4-1-4-1 სისტემა აჯობებდა. ლამის მთლიანად შევცვალეთ დაცვის ხაზიც და ცვლილებებმაც გაამართლა. ამჯერად ბიჭებმა დავალებები შეასრულეს, სათამაშო დისციპლინა კი ისეთ მაღალ დონეზე გვქონდა, რომ ფრანგებმა ერთი მომენტიც ვერ შეგვიქმნეს და ამ ფაქტმა განსაკუთრებით გამახარა. არც იმას დავმალავ, რომ ამჯერად იღბალი ჩვენს მხარეს იყო, ყველაფერი საჩვენოდ აეწყო.

**– როგორი იყო სპეციალისტების გამოხმაურება?**

- რა თქმა უნდა, ასეთი მარცხის შემდეგ საფრანგეთთან ჩვენს გამარჯვებას ვერავინ წარმოიდგენდა. მით უფრო, რომ საფრანგეთმა სერბეთთან 2:0 მოიგო და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ბოლო შეხვედრა გვაქვს სერბეთთან, რომელიც მართლაც მშვენიერი გუნდია და იმედია, მასთანაც ღირსეულად ვითამაშებთ. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი არის არა ეს ტურნირი და აქ დაკავებული ადგილი, არამედ ის, რომ ელიტ რაუნდისთვის კარგად მოვემზადოთ.

შეგახსენებთ, რომ გუშინ ტურნირზე დასვენების დღე იყო, დღეს, 14 აპრილს კი, დასკვნითი მატჩები გაიმართება: ჩვენი ნაკრებისა და სერბეთის დაპირისპირება თბილისის დროით 14:00 საათზე დაიწყება. მეორე შეხვედრაში ურთიერთობას კი საფრანგეთისა და პორტუგალიის გუნდები გაარკვევენ.

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო


ჩისკო

# ჩისკო დაბრუნდა

"დინამო" ანაკლიაში გაემგზავრა და ზუგდიდში გასამართი მატჩის წინ იქ დაბინავდა. დედაქალაქური კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, "ზაიასთან" შეხვედრისთვის გუნდთან ერთად ემზადება **ჩისკოც**. შეგახსენებთ, "დინამოს" 31 წლის თავდამსხმელმა ტრავმის გამო ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურები გამოტოვა.

ჩისკოს დაბრუნება **გიორგი დევდარიანის** გუნდისთვის დიდი შვება უნდა იყოს. გუნდს ტრავმირებულები ისედაც მრავლად ჰყავს, ესპანელის გამოჯანმრთელებით კი "დინამოს" შემტევი პოტენციალი გაიზრდება.

ჩისკო მიმდინარე სეზონში "დინამოს" საუკეთესო ბომბარდირია: უმაღლეს ლიგაში მის ანგარიშზე 22 მატჩი და 12 გოლია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სენსაციის გამოძახილი

# ფრანს ფუტბოლი: საქართველომ საფრანგეთი მოათვინიერა

პორტუს საერთაშორისო ოთხთა ტურნირზე ფრანგ თანატოლებთან ქართველი 19-წლამდელების სენსაციური გამარჯვება (3:0) საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურმა ვებგვერდმა ასე შეაფასა - *"მატჩი ქართველთა დომინირებით"*.

*"საქართველომ საფრანგეთი მოათვინიერა"* – ეს სათაური კი "ფრანს ფუტბოლს" ეკუთვნის.

*"პიერ მანკოვსკის გაწვრთნილებს "ყასბად" ვაკო ყაზაიშვილი მოევლინა, რომელმაც საფრანგეთის კარში სამი გოლი გაიტანა"* – წერს ცნობილი გამოცემა.

*"საქართველოს 5:0 მოვუგეთ, მათ კი საფრანგეთი 3:0 დაამარცხეს. ეს ადასტურებს, რომ მეტოქე კი არ იყო სუსტი, არამედ ჩვენ გვყავს ძლიერი გუნდი"* – მატჩის შემდეგ პორტუგალიელთა მთავარმა მწვრთნელმა **ედგარ ბორგესმა** ტრაბახის შანსი ხელიდან არ გაუშვა.

ცხადია, ქართველების ფრანგებთან გამარჯვება ყოველთვის სენსაცია იქნება. სად მსოფლიო ფეხბურთის გრანდი და სად საქართველო, რომელიც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ერთხელაც არ გასულა, საფრანგეთმა კი ორივე ტურნირი მოიგო და მსოფლიოს უდიდესი მწვრთნელები, ფეხბურთელები და სამწვრთნელო მიმართულებები მისცა.

საფრანგეთის ამ 19-წლამდელებზე ვერ ვიტყვით, რომ თავის ასაკში გამორჩეულია გუნდია, მაგრამ ჩვენებისგან განსხვავებით (იშვიათად რომ თამაშობენ და ისიც, სომხეთ-აზერბაიჯანთან), სისტემატურად ძლიერ ნაკრებებთან სპარინგობენ.

მაგალითად, შარშანდელი შემოდგომიდან მოყოლებული, **პიერ მანკოვსკის** გუნდმა 6-ჯერ ითამაშა: წააგო პორტუგალიასთან (1:2) და ესპანეთთან (1:2), ფრედ ითამაშა გერმანიასთან (2:2), მოუგო უკრაინას (2:1), ორჯერ კი იტალიას (1:0 და 3:1). ანუ ბოლო პერიოდში ფრანგმა 19-წლამდელებმა ყველაზე დიდი ანგარიშით ქართველებთან წააგეს.

ჩვენი ბავშვებისგან განსხვავებით, ფრანგები ძლიერ კლუბებში იზრდებიან: მეკარე **არეოლა ალპონსე** "პარი სენ ჟერმენში" თამაშობს, **დიმიტრი ფალკური**— "სტად რენში", **ჟერომო პოჟო** – "მონაკოში", **პრინც-დერის გუანო** - "იუვენტუსში", **იბრაჰიმ ამადუ** - "ნანსიში", **აბდულა დაკური** - "რენში", **ვილიამ დე პოგამი** - "ლიონში", **ტიბო ვიონი** - "პორტუში", **ბილელ ომრანი** - "მარსელში"


ვაკო ყაზაიშვილი

აქვე ერთი საინტერესო ამბავი; ახლახან თბილისში დასრულებულ 17-წლამდელთა ელიტ რაუნდზე ესპანეთის ნაკრების მენეჯერი ქართველებთან მატჩის მერე გაოცებას ვერ მალავდა, საქართველოს როგორ ვერ ვაჯობეთო. აბა, ჩვენების გაოცება იკითხეთ, როდესაც მისი მონაყოლი მოისმინეს: თურმე, ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ თბილისში მზარეულები გამოგზავნა, რომელთაც საკუთარი პროდუქტები ჩამოიტანეს, ხოლო მენეჯერს დამატებითი, გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის ანგარიშზე მილიონი ევრო დაუსვეს. ასეთი ფუფუნება არათუ ჩვენს 17-წლამდელებს, ეროვნულ ნაკრებსაც არ გააჩნია.

სხვათა შორის, მსაჯებით უკმაყოფილო ესპანელებმა საქართველოსთან მატჩის არბიტრს **კრის რაიშს** უეფაში უჩივლეს, პენალტი არ დაგვინიშნაო და როგორც შევიტყვეთ, რაიში სასწრაფოდ დასაჯეს. აბა, სად მათი და სად ჩვენი გავლენები. საქართველოს ნაკრებებსა და კლუბებს კი ისე ჩაგრავენ, გამკითხავიც არავინაა.

და მაინც ხდება სასწაულები, იშვიათად, მაგრამ ახერხებენ ჩვენი ბავშვები ასეთი სენსაციების გამოცხობას. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენს ფეხბურთში ყველაფერი წესრიგშია და რომ საფრანგეთ-ესპანეთს გავუტოლდით. ამაზე ლაპარაკი სასაცილოც იქნება, რადგან პორტუგალიასთან 0:5 წაგების სიმწარე ჯერაც არ განელებულა, ისიც არ ვიცით, ბოლო ტურში სერბეთთან მატჩი რა შედეგით დასრულდება.

მაგრამ ქართულ ფეხბურთს გარკვეული პოტენციალი გააჩნია და ორი აზრი არაა, მისი ბევრად უკეთ წარმოჩინება შეიძლება. საამისოდ კი წლების შრომა, რეალური ზრუნვა, მილიონების დაბანდება და პირობების შექმნაა აუცილებელი.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# მაკარიძის გაძევება და გამარჯვება

უკრაინის პრემიერლიგაში გუშინ კრივოი როგის "კრივბასი" "ობოლონს" ესტუმრა და 0:0 ეთამაშა. "კრივბასის" ქართველებმა, **უჩა ლობჯანიძემ** და **ჯაბა კანკავამ** მატჩი შეუცვლელად ჩაატარეს. უკრაინის 16-გუნდიან პრემიერლიგაში "კრივბასი" მე-8 ადგილზეა.

პოლონეთის ექსტრაკლასაში "იაგელონია" სტუმრად 0:2 დამარცხდა "ბელხატოვთან". **ნიკა ძალამიძე** "იაგელონიას" შემადგენლობაში შესვენების შემდეგ გამოჩნდა. იმ დროისთვის შეხვედრის საბოლოო ანგარიში უკვე დაფიქსირებული იყო. ძალამიძის თანაგუნდელი **მერაბ გიგაური** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების შეკრებაზე იმყოფება. "იაგელონია" 16-გუნდიან ჩემპიონატში დღეისთვის მე-11-ეა და გავარდნის საფრთხე არ ემუქრება.

საფრანგეთის ლიგა 2-ში "ლე მანმა" "ამიენს" უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 3:2 დაამარცხა. მასპინძლებმა შეხვედრა ცხრა, ხოლო სტუმრებმა 10 ფეხბურთელით ჩაამთავრეს. სამწუხაროდ, გაძევებულთა შორისაა "ლე მანის" მეკარე **გიორგი მაკარიძეც**, რომელსაც მოედანი 66-ე წუთზე დაატოვებინეს. იმ დროისთვის ანგარიში 2:2 იყო და გამარჯვების გოლი "ლე მანმა" 90-ე წუთზე, ცხრა მოთამაშით გაიტანა. ამ უმნიშვნელოვანესი გამარჯვებით მაკარიძის გუნდმა გასავარდნი ზონა დატოვა, მაგრამ ლიგა 2-ში ადგილის შესანარჩუნებლად კიდევ დიდი ბრძოლა მოუწევს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინ დაბრუნების დღე

## პლეი ოფი

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | ზესტაფონი | 20 | 11 | 6 | 3 | 34 | 18 | 39 | 10 | 5 | 2 | 3 | 16 | 12 | 17 | 10 | 6 | 4 | 0 | 18 | 6 | 22 |
| 2 | მეტალურგი | 20 | 11 | 3 | 6 | 29 | 23 | 36 | 10 | 7 | 2 | 1 | 17 | 5 | 23 | 10 | 4 | 1 | 5 | 12 | 18 | 13 |
| 3 | ტორპედო | 20 | 9 | 5 | 6 | 23 | 17 | 32 | 10 | 7 | 2 | 1 | 19 | 8 | 23 | 10 | 2 | 3 | 5 | 4 | 9 | 9 |
| 4 | დინამო | 20 | 7 | 8 | 5 | 33 | 26 | 29 | 12 | 4 | 7 | 1 | 21 | 13 | 19 | 8 | 3 | 1 | 4 | 12 | 13 | 10 |
| 5 | დილა | 20 | 6 | 6 | 8 | 24 | 23 | 24 | 9 | 3 | 1 | 5 | 11 | 11 | 10 | 11 | 3 | 5 | 3 | 13 | 12 | 14 |
| 6 | კოლხეთი | 20 | 5 | 8 | 7 | 16 | 23 | 23 | 12 | 4 | 3 | 5 | 10 | 14 | 15 | 8 | 1 | 5 | 2 | 6 | 9 | 8 |
| 7 | ბაია | 20 | 5 | 6 | 9 | 17 | 26 | 21 | 10 | 4 | 4 | 2 | 12 | 9 | 16 | 10 | 1 | 2 | 7 | 5 | 17 | 5 |
| 8 | მერანი | 20 | 4 | 2 | 14 | 18 | 38 | 14 | 7 | 3 | 1 | 3 | 7 | 9 | 10 | 13 | 1 | 1 | 11 | 11 | 29 | 4 |

## პლეი აუტი

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | ჩიხურა | 6 | 4 | 1 | 1 | 10 | 6 | 13 | 2 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | 4 | 4 | 3 | 0 | 1 | 8 | 6 | 9 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 7 | 3 | 13 | 4 | 4 | 0 | 0 | 7 | 1 | 12 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 | 1 |
| 3 | გურია | 6 | 3 | 2 | 1 | 12 | 9 | 11 | 2 | 0 | 1 | 1 | 2 | 4 | 1 | 4 | 3 | 1 | 0 | 10 | 5 | 10 |
| 4 | სიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 9 | 8 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 3 | 3 | 4 |
| 5 | სპარტაკი | 6 | 2 | 2 | 2 | 8 | 8 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 7 | 6 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 |
| 6 | გაგრა | 6 | 1 | 3 | 2 | 6 | 6 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 3 | 2 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 3 | 4 | 1 |
| 7 | ბათუმი | 6 | 1 | 2 | 3 | 4 | 9 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 2 | 4 | 1 | 4 | 1 | 1 | 2 | 2 | 5 | 4 |
| 8 | მერცხალი | 6 | 0 | 1 | 5 | 1 | 8 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 1 | 5 | 0 | 3 | 0 | 1 | 2 | 0 | 3 | 1 |

## პლეი ოფი

დილა–ტორპედო
bwin: 2.30 3.10 2.85
14.04. გორი. თ. ბურჯანაძე 16:00

მერანი–ზესტაფონი
bwin: 5.00 3.60 1.60
14.04. მარტვილი. ცენტრალური 16:00

მეტალურგი–კოლხეთი
bwin: 1.60 3.60 5.00
14.04. რუსთავი ფოლადი 16:00

ბაია–დინამო
14.04. ზუგდიდი ბაიას ბაზა 16:00

## პლეი აუტი

სიონი–მერცხალი
14.04. ბოლნისი. თ. სტეფანია 15:00

ჩიხურა–გაგრა
14.04. საჩხერე. ცენტრალური 16:00

ბათუმი–სპარტაკი
14.04. ბათუმი. ადელი 16:00

გურია–ვიტ ჯორჯია
14.04. ლანჩხუთი. ევ. შევარდნაძე 16:00

**ზამთრის შესვენებისას ვვარაუდობდით, რომ სეზონის მეორე ნახევარი უკომპრომისო ბრძოლებში ჩაივლიდა და ევროთასებზე გამსვლელი ადგილებისთვის დიდი კონკურენცია გაიმართებოდა. სამაგიეროდ, იმას ნაკლებად წარმოვიდგენდით, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა ასე ძალიან დაიძაბებოდა. თუმცა მოვლენები სწორედ ამგვარად განვითარდა და დღეისთვის "ზესტაფონსა" და "მეტალურგს" შორის ქულათა სხვაობა მხოლოდ სამს შეადგენს. ასე რომ, სატურნირო ცხრილის თითოეულ მონაკვეთზე ბევრი რამაა გასარკვევი, რაც უმაღლეს ლიგაში საინტერესო ფინიშის გარანტიას გვაძლევს.**

**კალენდრის სიმჭიდროვიდან გამომდინარე, არ იყო იმის საშუალება, რომ უმაღლესლიგელებს წინასააღდგომო დღეს დაესვენათ და ამიტომაც დღეს სრული ტური ჩატარდება. დღესვე მეორე ეტაპის პირველი წრე სრულდება. რა თქმა უნდა, წინა ტურების მსგავსად, დღევანდელი მატჩებიც ბევრ შეკითხვას გასცემს პასუხს.**

**აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ამ ტურში მოვალეობის მოსახდელად არავინ ითამაშებს – პლეი ოფშიც და პლეი აუტშიც თითოეული შეხვედრის შედეგს დიდი მნიშვნელობა აქვს.**


დღეს დილა ტორპედოს საკუთარ სტადიონზე უმასპინძლებს

### დილა გორს უბრუნდება, მერანი — მარტვილს

უკვე რამდენიმე თვეა, გორის ცენტრალურ სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს და ამის გამო "დილა" საშინაო მატჩებს დედაქალაქში ატარებდა. "ბურჯანაძეზე" ტრიბუნები ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია, სამაგიეროდ, მოედნის საფარი იდეალურ მდგომარეობაშია და გადაწყდა, რომ ამიერიდან "დილა" მშობლიურ ქალაქში ითამაშებს. ბუნებრივია, ეს ამბავი მნიშვნელოვანია გუნდისთვისაც და მისი გულშემატკივრებისთვისაც. მართალია, ამჟამად "დილაში" ძალიან ცოტა ადგილობრივი ფეხბურთელი თამაშობს, სამაგიეროდ, გორელი ქომაგები უფრო კომფორტულად და დიდი რაოდენობით შეძლებენ საყვარელი კლუბის თამაშებზე დასწრებას, გულშემატკივართა სიმრავლე კი ნებისმიერ გუნდზე პოზიტიურად მოქმედებს.

სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე, ტურის ცენტრალური მატჩი სწორედ გორში უნდა ჩატარდეს. "ტორპედო" ენერგიულად იბრძვის ევროპის ლიგაზე გამსვლელი მესამე ადგილისთვის და ჩემპიონატის საპრიზო სამეულში მოხვედრის გარკვეული შანსი უკვე "დილასაც" უჩნდება.

ჩემპიონატის განახლებამდე ვივარაუდეთ, რომ გორელები მხოლოდ სათასო ამბიციებს არ დასჯერდებოდნენ და მედლებისთვისაც იბრძოლებდნენ; თუმცა, "დილამ" უმაღლესი ლიგის მეორე ეტაპი უფერულად დაიწყო და თითქოს ქვემოქართლელებს ჩემპიონატში მოტივაცია დაკარგული ჰქონდათ, მაგრამ "დილამ" ბოლო ტურები შთამბეჭდავად ჩაატარა და თუ წარმატებული სერია განაგრძო, "ტორპედოსა" და "დინამოს" სერიოზულ კონკურენციას გაუწევს. ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ **თემურ შალამბერიძის** გუნდს ხელსაყრელი კალენდარი აქვს – მატჩების უმეტესობას შინ ჩაატარებს.

"ტორპედოს" კი ბოლო დროს უკეთესობა აშკარად ეტყობა და აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტურის მატჩს გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავს.

2012 წელს მარტვილში პირველ ოფიციალურ შეხვედრას ჩაატარებს "მერანი". **მალხაზ ჟვანიას** გუნდმა, რომელმაც სეზონის პირველ ნახევარში სწორედ საკუთარ ქალაქში მოპოვებული ხმაურიანი გამარჯვებებით გაითქვა სახელი, წლეულს ყველა მატჩი სტუმრად ჩაატარა. რა თქმა უნდა, "მერანის" კრიზისი მხოლოდ ამის ბრალი არ არის, მაგრამ მშობლიური კედლებიდან მოშორებით თამაში ნებისმიერი გუნდის ასპარეზობას დაასვამდა დაღს. ახლა კი მარტვილელებს უკვე საშინაო თამაშების სერია ეწყებათ და ვნახოთ, შეუწყობს თუ არა ხელს ეს ფაქტორი მათ უკეთ ათამაშებას.

რაც შეეხება "მერანის" მეტოქე "ზესტაფონს", მისთვის ჩემპიონატში დარჩენილი ყველა მატჩი ფინალის ტოლფასია. ასე რომ, **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდს მარტვილში მხოლოდ გამარჯვებისთვის მართებს ბრძოლა. აშკარაა, რომ საქართველოს მოქმედ ჩემპიონებს საუკეთესო დროება არ უდგათ, დღევანდელი შეხვედრა კი დაგვანახებს, შეძლო თუ ვერა "ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბმა შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა. "მერანთან" გამარჯვება აუცილებლად იმას არ ნიშნავს, რომ უფრო ძლიერ გუნდებთანაც წარმატებით ითამაშებ, მაგრამ პრაქტიკული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ფეროელებისთვის დღეს სამი ქულა მისწრება იქნება.

### მეტალურგი ზესტაფონიდან ზესტაფონამდე

ჩემპიონობისთვის ბრძოლა უკვე ძალიან რეალურია, მაგრამ "მეტალურგის" წევრები საკუთარ მიზნებზე კვლავ თავშეკავებულად საუბრობენ და ამბობენ, რომ მათი უმთავრესი ამოცანა ევროპის ლიგის საგზურია. თუმცა როცა ევროსაგზური უკვე განაღდებული გაქვს და ლიდერს მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩები, წარმოუდგენელია, ჩემპიონობაზე არ ფიქრობდე.

ჩემპიონატის სისტემა ცალკე თემაა და ბუნებრივია, ამან რუსთაველთა აღზევებაში დიდი როლი ითამაშა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ "მეტალურგი" სეზონის მეორე ნახევარში გაცილებით ხარისხიან ფეხბურთს თამაშობს და მცოდნე მწვრთნელის ხელიც ეტყობა. "მეტალურგმა" "ზესტაფონს" სათასო მატჩშიც დაუმტკიცა, რომ ორივე ფრონტზე მისი რეალური კონკურენტია. რუსთაველთა და ზესტაფონელთა შორის ამ სეზონში კიდევ ორი შეხვედრაა დარჩენილი – ერთი სათასო, ერთიც კი საუმაღლესლიგო. ორივე ეს მატჩი რუსთავში გაიმართება, რაც, ბუნებრივია, "მეტალურგის" წისქვილზე ასხამს წყალს.

თუმცა იმისთვის, რომ ჩემპიონატში ურთიერთშეხვედრამ აზრი არ დაკარგოს, "მეტალურგს" ქულების რეგულარულად მოგროვება სჭირდება. ქვემოქართლელები "კოლხეთთან" ფავორიტები კი არიან, მაგრამ ფოთელებმა ამ სეზონში არაერთხელ დაამტკიცეს, რომ მათთვის ავტორიტეტები არ არსებობენ.

18 აპრილს განმეორებითი სათასო მატჩებია და თუკი "დილას" ფინალის საგზური, ფაქტობრივად, დაბევებული აქვს, "მეტალურგსა" და "ზესტაფონს" ერთმანეთთან დიდი ბრძოლა ელით. ვნახოთ, ვინ როგორ ხასიათზე შეხვდება საპასუხო სათასო შეხვედრას.

### ზუგდიდური ინტრიგა

"დინამოს" ზუგდიდურ კლუბებთან დაპირისპირებას დიდი ისტორია აქვს. ბოლო წლებში "მგლები" და "ბაია" საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბს ხშირად წარმატებით ეთამაშებოდნენ. "ბაიამ" ამ სეზონში დედაქალაქელები უკვე გაამწარა – ზუგდიდში 2:1 სძლია. თუმცა ისიც სათქმელია, რომ "დინამომ" მეორე წრეში დამაჯერებელი რევანში აიღო და ზუგდიდელები 5:1 გაანადგურა.

"დინამოს" პრობლემებზე საუბრით დღეს თავს აღარ შეგაწყენთ და მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ **გიორგი დევდარიანის** გუნდს ფრეთა ექვსმატჩიანი სერია აქვს, "დინამოს" ქომაგები კი ნავსის გატეხას მოუთმენლად ელიან და თუ ეს დროულად არ მოხდა, "დინამო" ევროსარბიელს მიღმა დარჩება. მეორე ეტაპის მეორე წრეში დედაქალაქელებს ურთულესი კალენდარი აქვთ – "ტორპედოს" შინ მიიღებენ, ყველა სხვა მეტოქეს კი სტუმრად დაუპირისპირდებიან.

### გასარკვევი პლეი აუტშიც ბევრია

პლეი აუტი მეორე პლანზე სულაც არ დგას. სეზონის ბოლომდე იქ კიდევ არაერთი შთამბეჭდავი მატჩის მომსწრენი გავხდებით და უმაღლეს ლიგაში დამრჩენი ოთხი გუნდიც სეზონის ბოლო ნაწილშილა გაირკვევა.

ოზურგეთის "მერცხალის" გარდა, საუკეთესო ოთხეულში მოხვედრის შანსი არავის დაუკარგავს და რა თქმა უნდა, ბევრს გადაწყვეტს დღევანდელი შეხვედრებიც. "ჩიხურა", "ვიტ ჯორჯია" და "გურია" სხვებთან შედარებით კომფორტულ მდგომარეობაში არიან, მაგრამ ქულათა მარაგის შევსება მათაც ესაჭიროებათ, "სიონს", "სპარტაკს", "გაგრასა" და "ბათუმს" კი მოდუნების უფლება საერთოდ აღარ აქვთ და ვინც ამათგან დღეს ხელმოცარული დარჩება, საუმაღლესლიგო შანსები კიდევ უფრო შეუმცირდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**


დღეიდან მერანს საკუთარი ქომაგის მხარდაჭერა არ მოაკლდება

ტორპედო. ინტერვიუ გია გეგუჩაძესთან

# FAIR PLAY დაცული არ არის

## ხმები, რომელმაც ტორპედომდეც მიაღწია

გორის "დილასა" და ქუთაისის "ტორპედოს" დღევანდელი შეხვედრა დიდ ინტერესს რომ იწვევს, ცხადია. ჩემპიონატი ფინიშს უახლოვდება და უკვე ყოველ თამაშს ოქროს ფასი ადევს. "დილა" ცალი ფეხით თასის ნახევარფინალშია, თუმცა თუ კარგად დავაკვირდებით ჩემპიონატის ცხრილს, გორელებს აქედანაც შეუძლიათ ევროსაგზურის მოპოვება.

"ტორპედო" ბოლო მატჩებში წარმატებით თამაშობს, თბილისის "დინამო" უკან ჩამოიტოვა და კარგი შანსი აქვს, სამეულში რომ დამკვიდრდეს. "ტორპედომ" უწინდელთან შედარებით თამაშის ხარისხიც გამოასწორა. მოკლედ, ქუთაისელთა გუნდს კარგი პერსპექტივა უჩანს.

"ლელოს" კითხვებს "ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე პასუხობს.



გია გეგუჩაძე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**- სეზონის მეორე ეტაპი "ტორპედომ" რიხით ვერ დაიწყო, მერე კი თანდათან გამოასწორა სიტუაცია. როგორ აწყობთ, გუნდმა უკვე მიაგნო თავის თამაშს?**

- მეორე ეტაპის დასაწყისს რაც შეეხება, ჩვენი გუნდის გამოსვლას ჰქონდა თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. შეკრებიდან 4 თებერვალს დავბრუნდით, 14 თებერვალს უკვე ჩემპიონატის თამაში უნდა ჩაგვეტარებინა, მაგრამ უამინდობის გამო მატჩი გადაიდო. თვე-ნახევრის განმავლობაში დიდთოვლობამ და თამაშების გადადებამ გუნდი სათამაშო რიტმიდან ამოაგდო, უამინდობის გამო ვარჯიშებიც ჩაგვეშალა. უთამაშებლობა და მერე დატვირთული გრაფიკი – ორ უკიდურესობას შორის ალმოვჩნდით. მიუხედავად ამისა, მაინც მოვახერხეთ სირთულეების დაძლევა და ნელ-ნელა ავთამაშდით, იმედია, ასე გავაგრძელებთ.

**- "ტორპედოს" თამაშის ხარისხზე რას იტყოდით?**

- ეს ის არ არის, რაც გვინდა, ამ მხრივ სამუშაო კიდევ ბევრი გვაქვს.

**- თქვენი გუნდი მესამე ადგილზეა, რაც საკმაოდ კომფორტული პოზიციაა იმისთვის, რომ გუნდმა ევროლიგის საგზურისთვის იბრძოლოს – ამ ეტაპზე ეს არის "ტორპედოს" პრიორიტეტი?**

- ხშირად მიწევს ერთი რამის აღნიშვნა – ჩვენ ჯერ ჩამოყალიბების პროცესში ვართ, თამაშის ხარისხის მხრივ არის ეპიზოდები, როცა ძალიან კარგად გამოიყურება გუნდი, მაგრამ მეტი სტაბილურობა უნდა შევიძინოთ. გუნდის ჩამოყალიბება ერთ-ორ დღეში არ ხდება, გაცილებით მეტ დროს მოითხოვს. რაც შეეხება ამ ეტაპს, კონკრეტული ადგილის დაკავებაზე უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ მომავალი სეზონისთვის ისეთი წინსვლა გვქონდეს, მესამე ადგილზე გაცილებით დიდი მიზნისთვის რომ ვიბრძოლოთ. გუნდის მომზადებაში აუცილებელი ფაქტორია ფეხბურთელების სწრაფვა გამარჯვებისკენ. ყოველი თამაშის წინ დგება ამოცანა – როგორ მოვიგოთ. რა თქმა უნდა, თუ ევროსაგზურს მოვიპოვებთ, კმაყოფილი დავრჩებით.

**- ახლა "დილასთან" გელით თამაში, რომელიც ალბათ კარგად გყავთ შესწავლილი, ამ დროისთვის კარგ კონდიციაში უნდა იყოს...**

- ვერ ვიტყოდი, რომ მეტოქე ძალიან კარგად გვყავს შესწავლილი. "დილა" ახლადშექმნილი გუნდია, თამაშიდან თამაშამდე უმატებს და ეს მეტწილად ალბათ შეთამაშების ხარჯზე ხდება. რთულ თამაშს ველი, სამი ქულის ასაღები განწყობა გვექნება.

**- "დილას" ცენტრფორვარდი მათე ვაწაძე გოლების იშტაზეა – "ტორპედოს" ძალუძს მისი შეჩერება?**

- მხოლოდ ვაწაძეს არ გამოვარჩევდი, "დილას" კიდევ ჰყავს საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელები. ვაწაძე ახლა მართლაც კარგ ფორმაშია და ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოს ჩემპიონატში. "ტორპედოსაც" კარგი რესურსები აქვს.

**- "ტორპედოში" მწვავედ იდგა ცენტრფორვარდის საკითხი, რაც საგოლე მომენტების რეალიზაციაზე აისახა. ზოგი გუნდი საერთოდ არ თამაშობს გამოკვეთილი ცხრა ნომრით და განსხვავებულ მოდელს ირჩევს - თქვენ საითკენ მიგყავთ საქმე?**

- საკმაოდ ძლიერი თავდამსხმელი გვყავს გამოცდილი რევაზ გოცირიძის სახით, ახალგაზრდებიც არიან – დავით ჯანელიძე და ნიკა საბანაძე, მათზე უმცროსი გიორგი ფანცულაია ამ დროისთვის საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებშია, მას უკვე არაერთხელ მივეცით პირველ გუნდში თამაშის საშუალება. საგოლე მომენტებს უხვად ვქმნით, რეალიზაციაში კი მოვისუსტებთ და ამ კუთხით კიდევ მოგვიწევს მუშაობა. გუნდის თამაში უფრო მრავალფეროვანი რომ გახდეს, რამდენიმე მოდელი უნდა იყოს გამოსადეგი.

**- ზოგადად, მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატზე რას იტყოდით?**

- ძალიან დაძაბული ჩემპიონატია, ბევრი სიურპრიზი მოხდა.

**- არის თუ არა დაცული FAIR PLAY-ის პრინციპი ამ ჩემპიონატში – საინტერესოა თქვენი შეხედულება...**

- აქედან – იქედან გვესმის, რომ ეს პრინციპი ბოლომდე არ არის დაცული, რაც ძალიან სამწუხაროა. იმის მომხრე ვარ, რომ მხოლოდ სპორტული პრინციპით გადანაწილდეს გუნდების სატურნირო მდგომარეობა.

**- ამ დროისთვის რომელი გუნდი თამაშობს ყველაზე კარგ ფეხბურთს საქართველოში?**

- მე მაინც "ზესტაფონს" გამოვყოფდი და აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ ჩემპიონობა ყველაზე უფრო ამ გუნდს ეკუთვნის. ჩვენ კი იქითკენ მივდივართ, რომ მალე "ტორპედოზე" თქვან, ყველაზე კარგ ფეხბურთს თამაშობსო და უძლიერესიც ჩვენი გუნდი აღმოჩნდეს.

**დავით თავართქილაძე**

1 ქვირის 1000

დავით თავართქილაძე

# ორი ძალიან საშიში სიტყვა

გორში სტალინის ძეგლი აიღეს, მომღერალ ნინა წკრიალაშვილის პლეიბოური ფოტოებიც დიდი ხანია, აქტუალური აღარ არის. გორს ახალი რამე დასჭირდა და აჰა – მოლონიერებული "დილაც", რომელიც ალბათ საქართველოს თასის ფინალში ითამაშებს.

გორს ადრეც ჰყავდა ძალიან სიმპათიური გუნდი, როცა "დილაში" მეტწილად გორელები თამაშობდნენ, როცა კარს "შუმახერა" ( რამაზ სოლოლაშვილი ) იცავდა, დაცვაში ვაჟა თარხნიშვილი იდგა, წინ კი ცხონებული როინ მარლიშვილი და სხვები ბურთს გემრიელად აგორებდნენ. ის "დილა" დამთავრდა და ახლა უფრო მძლავრი გუნდის კეთება დაუწყიათ. "დილას" პატრონიც სხვა ჰყავს.

მე არ დავსწრებივარ "ზესტაფონი" – "დილას" ამასწინდელ მატჩს, როცა სტუმრებმა 3:2 დაამარცხეს ჩემპიონი, მაგრამ ბეჭდვით თუ ელექტრონულ მედიაში დაიწერა, "ზესტაფონის" ხელმძღვანელობასა და "დილას" ქომაგებს შორის არასასიამოვნო გადაძახილი იყოო. "ზესტაფონის" პრეზიდენტი ილია კოკაია გახლავთ, "დილას" კი შინაგან საქმეთა სამინისტრო პატრონობს და გორელთა გუნდის ქომაგებიც დარაზმულები დადიან სტადიონებზე.

სტადიონს ხალხის სხვანაირი ზიმზიმი უფრო უხდება, თუმცა დარაზმულად სიარულსაც ნუ გამოვეკიდებით, სტადიონისთვის ხომ ხალხი აუცილებელი ამხანაგია.

"გაგრა" – "დილაზეც" გავიგეთ, შესვენებაზე მსაჯთა გასახდელში შესულან და მკაცრადაც ულაპარაკიათო. პირველი ტაიმის შემდეგ "გაგრა" 1:0-ს იგებდა. შესაძლოა, ეს ყველაფერი მონაჩმახია, მაგრამ ენას ძვალი არ აქვს და ნაირგვარი იმპროვიზაციებით ჰყვებიან ამ ამბავს.

და მერე რა ტკბილია ასეთი ისტორიების მოსმენა, ეს ხომ არც ზღაპარია და არც საინფორმაციო გამოშვებაში გაგონილ-დანახული, ეს სულ სხვაა, სულ სხვანაირად აჩქროლებს ადამიანების გუნება-განწყობილებას. ცუდი კი ის უნდა იყოს, რომ ასეთი მითქმა- მოთქმა ქართული ფეხბურთისთვის განუყოფელი ნაწილი გახდა.

"დილა" დღეს გორში თამაშობს, იქაურ ქომაგი მართლაც დანატრებული უნდა იყოს საფეხბურთო ზეიმებს, ოღონდაც გორის სტადიონს ჯერ თურმე ტრიბუნები არ აქვს. უმაღლესი ლიგის მატჩი ისეთ სტადიონზე, სადაც ტრიბუნა არ არის – ჩემპიონატის დებულებაში ხომ არ ჩაიხედოთ?...

-"დილას" რომელიმე მეტოქე გაბედავს და იტყვის, რომ უტრიბუნო სტადიონზე თამაში არ შეიძლება?

- რა თქმა უნდა, ვერ გაბედავს.

- რატომ?

- იმიტომ, რომ "დილა" შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდია.

- ვერც "ზესტაფონი" გაბედავს რაღაცის თქმას?

- ზედმეტი კითხვებით უკვე თავს გვაბეზრებთ.

- რა ვიცი, ვინძლო ეს კითხვა- პასუხი დიდად საინტერესო არ უნდა იყოს, რადგან ყველამ ყველაფერი ისედაც კარგად იცის.

"დილა" მართლაც კარგი გუნდია და ჩინებული ფეხბურთელებიც ჰყავს – ესეც ყველამ კარგად იცის.

გორში ფეხბურთი განსაკუთრებულად უყვართ და ესეც ყველამ კარგად იცის.

ვაწაძე, ხოჯავა, სალუქვაძე, ილურიძე..."დილას" ზოგი ფეხბურთელი თემურ ქეცბაიას თვალთახედვის არეში უნდა მოექცეს – ესეც ყველამ კარგად იცის.

"დილა" ევროსარბიელზე თამაშს უმიზნებს – ესეც ყველამ კარგად იცის.



გორის "დილა" – საფეხბურთო სამყარომ ყბად აიღო ეს ორი სიტყვა და ეს უკვე ცოტას არ ნიშნავს.

მაგრამ "დილასი" ეშინიათ, როცა შეიარაღებული სამინისტრო პატრონობს კლუბს, ეს ბუნებრივიცაა. რატომ გახდა აუცილებელი მაინცდამაინც ასეთნაირად დაფინანსება გორის "დილასი", ჯერ უცნობია.

საქართველო პატარა ქვეყანაა და ვერ მოძებნი იმდენ ბიზნესმენს, უმაღლეს ლიგაში გუნდის ყოლა და მისი მაღალ დონეზე შენახვა რომ ეხალისებოდეს. თუმცა ფაქტია, ზოგიერთ კერძო თუ ბიუჯეტურ კლუბს ფული დიდად არ უჭირს, ანუ დოვლათი არის, ოღონდაც ისე ვერ არის გადანაწილებული, რომ მეტი წილი საფეხბურთო კლუბებისა კერძო გახდეს.

შეიარაღებული სამინისტრო კი საშიშია და ვგონებ, ეს სადავო არ უნდა იყოს. როცა ასეთი სამინისტრო სხვას ეჯიბრება, თუნდაც ფეხბურთში, ძალაუნებურად დამსჯელი რაზმის იმიტაციას ახდენს.

ხმაური და მძვინვარება – უილიამ ფოლკნერის ამერიკამდე მართალც ბევრი გვიკლია, თუნდაც იმიტომ, რომ არ ორი სიტყვის არ ეშინიათ.

რეგიონი

# სამტრედიაში უმაღლეს ლიგაზე ფიქრობენ

## ჩვენ 400 ათასით სხვების მილიონს ვაჯობებთ

*ცნობილი გახდა, რომ სამტრედიელებს ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონის განახლებაში კომპანია "ვისოლი" დაეხმარება. მოედნის საფარს მიხედავს, ამას გარდა, 1500 ინდივიდუალური სკამიც დამონტაჟდება.*

საერთოდ, ფიფა და უეფა ერთ მეპატრონეს ორი გუნდის აყვანას უკრძალავს, მაგრამ ამ იმერულ ქალაქში გავრცელდა ხმები, რომ შესაძლოა, "ვისოლმა" სამტრედიულ გუნდსაც უპატრონოს.

"სამტრედიას" პრეზიდენტმა, სამტრედიის გამგებლის პირველმა მოადგილემ **ავთანდილ თადუმაძემ** "ლელოსთან" საუბარში ეს ხმები უარყო: *"ვისოლის" გეგმებში ნამდვილად არ შედის ჩვენი გუნდის აყვანა. ამის უფლება არც აქვს, რადგან ქუთაისის "ტორპედოს" აფინანსებს. ლაპარაკია, მხოლოდ და მხოლოდ მოედნის საფრის განახლება-მოვლაზე, საკრეჭი მანქანის შეძენაზე, სარწყავი სისტემის დამონტაჟებაზე, რაც ისედაც ძალიან დიდი დახმარება იქნება. თავის მხრივ, იმერეთის გუბერნატორი ლაშა მაქაცარიაც გვერდში გვიდგას და, შესაძლოა, სტადიონზე სხვა სამუშაოებიც დაიწყოს. სხვათა შორის, თავიდან ხელოვნური მოედნის დაგებაზეც ვფიქრობდით, მაგრამ უარი ვთქვით, ბუნებრივ საფარს ხალიჩა ვერ შეგვიცვლის".*

ამჟამად "სამტრედიას" ადგილობრივი გამგეობა აფინანსებს. თადუმაძე ამბობს, რომ მომავალი სეზონიდან მიზნად უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას დაისახავენ: *"გუნდი ბიუჯეტიდან ფინანსდება, თანხა კი წლის დასაწყისში ირკვევა. წლეულს "სამტრედიას" 144 ათასი ლარი გამოვუყავით. მიმდინარე ჩემპიონატში მაქსიმალურად მაღალი შედეგის ჩვენება გვსურს. სხვათა შორის, ზამთრის შესვენებაზე დიდი ცვლილებები მოხდა, შემიძლია გითხრათ, რომ გუნდი "გავწმინდეთ" და სიტუაცია გაჯანსაღდა. ამან შედეგი გამოიღო, პირველი ლიგის "ბ" ჯგუფის მატჩები კარგად დავიწყეთ, 6-დან 4 მატჩი მოვიგეთ, 2-იც ფრედ დავასრულეთ, როდესაც შემოდგომაზე ძალიან ცუდი შედეგები გვქონდა.*

*მაგრამ წლეულს უმაღლესში ვერ გადავალთ. გამომდინარე აქედან, სეზონის ბოლომდე ბიუჯეტის ეკონომია გადავწყვიტეთ. ახალი სეზონისთვის კი გუნდის გაძლიერებაზე ვფიქრობთ. ამიტომ, 80-85 ათასი ლარი მაინც უნდა დავზოგოთ, ერთი ამდენს გუბერნატორი შეგვპირდა და დიდი იმედია, რომ დაფინანსებას მომავალი წლიდანაც გაგვიზრდიან. აგვისტოდან დეკემბრამდე კი უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად მებრძოლ გუნდს 150 ათასი ლარი ეყოფა. ძირითადი მოთამაშეების ბირთვი უკვე გვყავს, მაგრამ გუნდის გასაძლიერებლად ოთხი მოთამაშის დამატება მაინც გვინდა. ჩვენი უბედურება ისაა, რომ სპონსორი არ მოდის. არადა, 400 ათასი ლარით სამტრედიაში ისეთი გუნდის ჩამოყალიბება შეიძლება, სხვაგან მილიონით რომ ვერ გააკეთებენ. ამას ტრაბახით არ ვამბობ, უმაღლეს ლიგაში ასპარეზობისას მწირი ბიუჯეტით ბევრად მდიდარ კლუბებს ვუგებდით. სამტრედია საფეხბურთო ქალაქია და გულშემატკივარი ჩვენთვის მართლაც მე-12 მოთამაშეა. ასე რომ, მომავალი სეზონიდან ჩვენი უპირველესი მიზანი უმაღლეს ლიგაში დაბრუნება იქნება".*

**მერაბ მამულაშვილი**

საფრანგეთი. ლიგა 1. XXXII ტურის წინ

# სტუმრად აუტსაიდერთან

| ხვალ | |
|---|---|
| ლილი-აიაჩო | 19:00 |
| ლორიანი-მონპელიე | 19:00 |
| ნანსი-ბორდო | 19:00 |
| სტ. ეტიენი-ბრესტი | 19:00 |
| სოშო-დიჟონი | 19:00 |
| ვალანსიენი-ევიანი | 19:00 |
| ოსერი-პსჟ | 23:00 |
| **ზეგ** | |
| რენი-ნიცა | 23:00 |
| **18 აპრილი** | |
| მარსელი-კანი | 20:30 |
| ტულუზი-ლიონი | 20:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონპელიე | 31 | 20 | 6 | 5 | 58-29 | 66 |
| 2. პსჟ | 31 | 18 | 9 | 4 | 56-33 | 63 |
| 3. ლილი | 31 | 15 | 11 | 5 | 56-35 | 56 |
| 4. ლიონი | 31 | 16 | 5 | 10 | 49-38 | 53 |
| 5. ტულუზი | 31 | 14 | 8 | 9 | 32-28 | 50 |
| 6. რენი | 31 | 13 | 9 | 9 | 41-35 | 48 |
| 7. სტ. ეტიენი | 31 | 13 | 8 | 10 | 38-35 | 47 |
| 8. ბორდო | 31 | 10 | 12 | 9 | 36-34 | 42 |
| 9. მარსელი | 31 | 10 | 10 | 11 | 38-35 | 40 |
| 10. ევიანი | 31 | 10 | 9 | 12 | 43-46 | 39 |
| 11. ნანსი | 31 | 10 | 9 | 12 | 31-37 | 39 |
| 12. ვალანსიენი | 31 | 10 | 7 | 14 | 31-36 | 37 |
| 13. ნიცა | 31 | 8 | 10 | 13 | 32-36 | 34 |
| 14. დიჟონი | 31 | 9 | 7 | 15 | 37-51 | 34 |
| 15. ბრესტი | 31 | 6 | 15 | 10 | 27-30 | 33 |
| 16. კანი | 31 | 8 | 9 | 14 | 33-44 | 33 |
| 17. აიაჩო | 31 | 7 | 12 | 12 | 32-50 | 33 |
| 18. ლორიანი | 31 | 7 | 11 | 13 | 28-40 | 32 |
| 19. სოშო | 31 | 7 | 9 | 15 | 32-48 | 30 |
| 20. ოსერი | 31 | 5 | 12 | 14 | 36-46 | 27 |



დედაქალაქში კევინ გამეირო ჯერჯერობით ძალიან უსახურად გამოიყურება

დღეს "პარი სენ-ჟერმენს" "ოსერთან" "სტად აბე დეშამზე" უეჭველად სამი ქულის ალება მართებს, თორემ მისთვის წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გართულდება საჩემპიონო ბრძოლის გაგრძელება. იმედია, **კარლო ანჩელოტი** იმ ერთადერთ სწორ გზას მონახავს, რომელზე სიარულიც მართებთ მის შეგირდებს. იტალიელ სპეციალისტს დაძაბული ბრძოლების დროს გუნდის განწყობა არასოდეს ეშლებოდა და ვფიქრობთ, არც ახლა გაუჭირდება ამის გაკეთება. თუკი უბრალოდ სტატისტიკას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ბურგუნდიელებს შინ "ლურჯ-წითლებთან" ბრძოლა საკმაოდ უჭირთ - 19 დაპირისპირებიდან მხოლოდ 7 მოგება აქვთ, ბოლო 8-დან კი მასპინძლებმა მხოლოდ 2-ჯერ იმარჯვეს. რაც შეეხება მიმდინარე სეზონს, ლიგა 1-ის აუტსაიდერებმა შინ 15-დან მხოლოდ 5 შეხვედრაში დაიმსახურეს სამი ქულა. 27 ქულით ისინი ცხრილის ბოლო ადგილზე განისვენებენ. იმავე სტატისტიკას თუ ვენდობით, ლიგა 1-დან გავარდნას ჯერ არც ერთი ის გუნდი არ გადარჩენია, რომელსაც 31 ტურის შემდეგ 30-ზე ნაკლები ქულა ჰქონდა. ასე რომ, "ოსერს" მთლად გამოსატირებლად ჰქონია საქმე.

დედაქალაქელთა უშუალო კონკურენტმა "მონპელიემ" შუა კვირაში შეძლო და "მარსელი" "ველოდრომზე" დაამარცხა. სასაცილო კი ის იყო, რომ მასპინძელი გულშემატკივრები სტუმარ გუნდს ყოველმხრივ უჭერდნენ მხარს. **დიდიე დეშამისგან** ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ ამ მატჩის წაგებას და ამას უსირცხვილოდ ტრიბუნებზე გამოჭიმული უზარმაზარი პლაკატით ადასტურებდნენ. რაკი მათი სათაყვანებელი გუნდისთვის სეზონი პირწმინდად ჩავარდნილია, უმთავრესი, რაც გულზე მალამოდ დაედებათ, საჩემპიონო რბოლაში პსჟ-ის მარცხია.

ვეტერანი

# ზეედორფი არჩევანის ზღვარზე



კლარენს ზეედორფი

**კლარენს ზეედორფისთვის** მიმდინარე სეზონი შესაძლოა უკანასკნელი გამოდგეს "მილანის" შემადგენლობაში, რადგან აგერ უკვე აპრილის შუა რიცხვებია და კონტრაქტის გახანგრძლივებაზე სიტყვა არ იძვრის. არადა, **ალესანდროს ნესტას** მსგავსად, მის ხელშეკრულებასაც 1 ივნისს გასდის ვადა... 36 წლის ჰოლანდიელი წინადადებების ნაკლებობას არ უჩივის და თუ "მილანის" მესვეურებისგან სასურველი შეთავაზება არ მიიღო, სხვაგან მოუწევს გადაბარგება.

"კორიერე დელო სპორტის" ცნობით, ზეს წინადადებები აქვს MLS-იდან, ბრაზილიიდან და რაც ყველაზე საინტერესოა, "იუვენტუსისგან". მოკლედ, ვინც კი "მილანიდან" აბარგებას გადაწყვეტს, ყველას "იუვე" ექაჩება და ვინ იცის, იქნებ **ანდრეა პირლოს** მსგავსად, ამ შემთხვევაშიც შედგეს შეთანხმება. თავად ზეედორფი მოკლე კომენტარს აკეთებს და აცხადებს, რომ კონტრაქტის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით "მილანის" მესვეურებს დაახლოებით ერთ თვეში შეხვდება, მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას და არც ჩვენ დაგვიმალავს.

**ლაშა წიკლაური**

არსენალი

# ვენგერი შოკშია

"არსენალის" მთავარი მწვრთნელის **არსენ ვენგერის** თქმით, ის შოკში ჩავარდა, როცა შეიტყო, რომ საფეხბურთო ასოციაცია **ალექს სონგის** წინააღმდეგ ბინძური თამაშის გამო "მანჩესტერ სიტის" თავდამსხმელ **მარიო ბალოტელის** დასჯას არ უპირებდა. იტალიელი დისკვალიფიცირებულია, მაგრამ იმის გამო, რომ ფეხბურთელმა ორი ყვითელი ბარათი დაიმსახურა. რაკი მისთვის ეს სეზონის განმავლობაში მეორე მსგავსი "მიღწევა" აღმოჩნდა, ახლა მას 3-თამაშით აქვს აკრძალული მოედანზე გამოჩენა. ასოციაცია წმინდა სამართლებრივი კუთხით მართალია, რაკი **მარტინ ატკინსონის** მოხსენებაში წერია, რომ დაინახა მარიოს ქმედება, მაგრამ ზომების მიღება საჭიროდ არ ჩათვალა... ჩვენი მხრიდან რიტორიკული შეკითხვაა, მაგრამ მაინც რა მიაჩნია პირდაპირ წითელი ბარათის ღირსად პატივცემულ მსაჯს?! *"ასოციაციამ უნდა შეცვალოს ეს წესი. ვფიქრობ, მსგავსი საქმეები სპეციალურმა კომიტეტმა უნდა განიხილოს. ჩემთვის დაუჯერებელია, რომ მას მერე, რაც ბალოტელიმ ჩაიდინა, დაუსჯელი რჩება, სამაგიეროდ შონ დერია დისკვალიფიცირებული ("ქუინზ პარკის" კაპიტანი რედ),"* - აცხადებს "დეილი ექსპრესთან" ინტერვიუში 62 წლის ფრანგი სპეციალისტი.


არსენ ვენგერი

ამბები

## ულიე-ჟინოლა 1:0

ჩვენი გაზეთი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ წერდა, რომ ავტობიოგრაფიულ წიგნში უდიერად მოხსენიების გამო ქავიე ჟინოლამ 64 წლის **ჟერარ ულიეს** სასამართლოში უჩივლა. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ცნობილი გახდა. თემიდამ საფრანგეთის ნაკრების ყოფილი დამრიგებლის პოზიცია გაამართლა. ულიეს ადვოკატის თქმით, მოსამართლემ ფაქტობრივად აღიარა, რომ სიტყვები "ბანდიტი" და "ნაძირალა" გამოხატვის თავისუფლებაში ჯდება და მუსიე ჟერარს მათი გამოყენების უფლება ჰქონდა. მით უფრო, რომ მსგავსი "ეპითეტები" მწვრთნელმა არა უშუალოდ პიროვნების მიმართ გამოიყენა, არამედ ჟინოლას იმ შეცდომის შესამკობად, რამაც გადამწყვეტი ბურთის დაკარგვა და ფრანგების 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დარჩენა გამოიწვია.


ჟერარ ულიე

## კომოლის გზას გაუყენეს

"ლივერპულის" ხელმძღვანელებმა, როგორც ჩანს, სერიოზულად მოჰკიდეს ხელი რეფორმებს. სპორტული დირექტორის **დამიენ კომოლის** გარდა **ჯონ ჯენრიმ** და **ტომ ვერნერმა** კლუბიდან დაითხოვეს მეკარეების მწვრთნელი **ჯონ ახტენბერგი**. ის "წითლების" ბანაკში 2009 წლიდან მუშაობდა, იქამდე კი "ტრანმერ როვერსში" 10 წელი ჰქონდა გატარებული. ახტენბერგი ძირითად გუნდში მხოლოდ მიმდინარე სეზონის დაწყებამდე გადმოიყვანეს. მანამდე ის დუბლებთან მუშაობდა.

"ლივერპულის" ოფიციალურ ვებგვერდზევე გაჩნდა ცნობა, რომ კლუბს სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს სპორტული მედიცინისა და მეცნიერების განყოფილების ხელმძღვანელი **პიტერ ბრუკნერი**. მიზეზი მარტივია, "ლივერპული" მასთან კონტრაქტის გაგრძელებას არ აპირებს. *"ჩემთვის საამაყო იყო, რომ ამ დიდ კლუბში ვმუშაობდი. ამაყი ვარ იმითაც, რომ მსოფლიო დონის პროფესიონალებთან მიხდებოდა ურთიერთობა. ვგრძნობ, რომ მივაღწიე იმ მიზანს, რისთვისაც გუნდში მიმიწვიეს. ვიცი, რომ ფეხბურთელებს საიმედო ხალხის ხელში ვტოვებ. "ლივერპულს" სამომავლოდ წარმატებებს ვუსურვებ,"* – ამბობს ბრუკნერი.

## მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ

"ბლექბერნის" მთავარი მწვრთნელის **სტივ კინისა** და რამდენიმე ფეხბურთელის მომავალი გაურკვეველია. მათთან მოლაპარაკებები ახალ ხელშეკრულებაზე მხოლოდ მას მერე განახლდება, რაც გაირკვევა, შეინარჩუნებს თუ არა კლუბი ადგილს პრემიერლიგაში. *"დიდი ხნის წინ დაგეგმილი სხდომა შედგა, სადაც კლუბმა გადაწყვიტა, რომ მოლაპარაკებათა პროცესები დროებით შეეჩერებინა. მხოლოდ სეზონის დასრულების შემდეგ გადაწყდება, ვინ დარჩება კლუბში და ვინ დატოვებს მას დაუყოვნებლივ. ამჟამად მთელ ჩვენს ყურადღებას პრემიერლიგის დარჩენილი ტურები ითხოვს. მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ, რომ რაც შეიძლება მეტი ქულა ავიღოთ,"* – აცხადებს 44 წლის შოტლანდიელი სპეციალისტი.

**ლევან ბიბილაშვილი**


სტივ კინი



## უცხოური ფეხბურთი

### გუშინ

**შტუტგარტი–ვერდერი 4:1**

**გოლები:** 0:1 როზენბერგი (25), 1:1 გენტნერი (37), 2:1 ჰარნიკი (45), 3:1 ჰარნიკი (53), 4:1 კაკაუ (89)

### დღეს

**შალკე–ბორუსია (დ) 17:30**

**პირველ წრეში:** 0:2

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ფერმანი, ჰილდებრანდი – კოხი

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შალკე (4-2-3-1):** უნერშტალი – ჰიოვედესი, პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი – ჯონსი, ჰოლტბი – ფარფანი, რაული, დრაქსლერი – ჰუნტელაარი.

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – გიუნდოგანი, ს. ბენდერი – ბლაშჩიკოვსკი, კაგავა, გროსკროიტცი – ლევანდოვსკი.

**არბიტრი:** მანუელ გრეფე (ბერლინი)

**ჰამბურგი–ჰანოვერი 17:30**

**პირველ წრეში:** 1:1

**დისკვალიფიკაცია:** გერერო (ჰამბურგი)

**ტრავმა:** მიკელი, დიკმაიერი, რაიკოვიჩი – მ. დიუფი

**კაიზერსლ.–ნიურნბერგი 17:30**

**პირველ წრეში:** 0:1

**დისკვალიფიკაცია:** დიკი (კაიზერსლაუტერნი)

**ტრავმა:** შიმუნეკი, ბორისიუკი, ტიფერტი, იორგენსენი, კუემაა, შეხტერი, ვაგნერი – ჰლუშეკი, აიგლერი, ესვაინი

**ვოლფსბურგი–აუგსბურგი 17:30**

**პირველ წრეში:** 0:2

**დისკვალიფიკაცია:** ფელიპე ლოპესი (ვოლფსბურგი)

**ტრავმა:** კრისი, ჰიტცლშპერგერი, მედოიევიჩი – დე იონგი, ბა, გოგია, იორლი

**ლევერკუზენი–ჰერტა 17:30**

**პირველ წრეში:** 3:3

**დისკვალიფიკაცია:** ებერტი (ჰერტა)

**ტრავმა:** ჩორლუკა, და კოშტა, შვააბი, ლ. ბენდერი, რენატო, სემი – ფრანცი, ჰუბნიკი, იანკერი, მიატოვიჩი, ნოიმანი, ლუსტენბერგერი

**ბაიერნი–მაინცი 20:30**

**პირველ წრეში:** 2:3

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ბრენო, ვან ბუიტენი – ბელი, სვენსონი, რისსე

### ხვალ

**ბორუსია (მ)–კიოლნი 17:30**

**პირველ წრეში:** 3:0

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** მარქსი – ანდრეზინიო, ჩიპი, უთი

**ფრაიბურგი–ჰოფენჰაიმი 19:30**

**პირველ წრეში:** 1:1

**დისკვალიფიკაცია:** ვაისი (ჰოფენჰაიმი)

**ტრავმა:** ბართი, პუცილა, შუსტერი, ს. ბრანდშტეტერი – იაისლე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 30 | 21 | 6 | 3 | 67-22 | 69 |
| 2. ბაიერნი | 30 | 20 | 3 | 7 | 69-20 | 63 |
| 3. შალკე | 30 | 18 | 3 | 9 | 65-39 | 57 |
| 4. ბორუსია (მ) | 30 | 15 | 8 | 7 | 43-22 | 53 |
| 5. შტუტგარტი | 31 | 14 | 7 | 10 | 59-41 | 49 |
| 6. ლევერკუზენი | 30 | 12 | 8 | 10 | 43-40 | 44 |
| 7. ჰანოვერი | 30 | 11 | 11 | 8 | 39-42 | 44 |
| 8. ვერდერი | 31 | 11 | 9 | 11 | 45-50 | 42 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 30 | 10 | 10 | 10 | 38-40 | 40 |
| 10. ვოლფსბურგი | 30 | 12 | 4 | 14 | 41-54 | 40 |
| 11. მაინცი | 30 | 9 | 9 | 12 | 47-48 | 36 |
| 12. ნიურნბერგი | 30 | 10 | 5 | 15 | 31-42 | 35 |
| 13. ფრაიბურგი | 30 | 9 | 8 | 13 | 41-56 | 35 |
| 14. ჰამბურგი | 30 | 7 | 10 | 13 | 33-55 | 31 |
| 15. აუგსბურგი | 30 | 6 | 12 | 12 | 32-47 | 30 |
| 16. კიოლნი | 30 | 8 | 5 | 17 | 36-63 | 29 |
| 17. ჰერტა | 30 | 6 | 9 | 15 | 31-54 | 27 |
| 18. კაიზერსლ. | 30 | 3 | 11 | 16 | 19-44 | 20 |

**ბომბარდირები:** 25 – გომესი (ბაიერნი); 24 – ჰუნტელაარი (შალკე); 20 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/); 17 – პოდოლსკი (კიოლნი); 16 – პისარო (ვერდერი); 15 – ჰარნიკი (შტუტგარტი), როისი (ბორუსია /მ/); 14 – რაული (შალკე).

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXXI ტურის წინ

# ბუნდესლიგამ არ ამოგვასუნთქა: ახლა რურის დერბი!

## შალკეს დორტმუნდის გამწარება უნდა, ბაიერნი მაინცთან რეალზე იფიქრებს...

**დასკვნით ფაზაში შესული ბუნდესლიგა ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლებს: შუა კვირაში 30-ე ტური და სეზონის ცენტრალური მატჩით ვისიამოვნეთ, ახლა კი, 31-ე ტურში, თვით „რურის დიდი დერბი“ უნდა ვნახოთ – „ბაიერნის“ დამარცხების შემდეგ, დორტმუნდის „ბორუსია“ მოსისხლე მტერ „შალკეს“ სტუმრობს. დორტმუნდში განცდილი კრახის შემდეგ, „რეალთან“ პირველი მატჩის მოლოდინში მყოფ „ბაიერნს“ „მაინცთან“ „საშინაო დავალება“ ექნება შესასრულებელი. ხვალ კი რაინლანდის დერბია: მეოთხეადგილოსანი „გლადბახი“ ურთულეს სიტუაციაში მყოფ „კიოლნს“ მასპინძლობს.**



რურის მე-80 დერბი საუკეთესო საფეხბურთო სანახაობას და ემოციურ მატჩს გვპირდება

### დორტმუნდი: გზა ჩემპიონობისკენ გელზენკირხენზე გადის

რურის დიდი, რიგით მე-80 დერბი საუკეთესო საფეხბურთო სანახაობას გვპირდება. „შალკესა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ დაპირისპირებაში საქმე არასდროს ეხება მხოლოდ ქულებს – ამ დუელში ყოველთვის ჩადებულია უდიდესი მტრობა გუნდებსა და მათ ფანებს შორის, ემოციები და რურის რეგიონში პირველობის დამტკიცება. თანაც, ამჯერად ქულებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს – „ბორუსია“ ჩემპიონობისთვის იბრძვის, „შალკე“ კი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის.

დორტმუნდელებმა ოთხშაბათს „ბაიერნის“ დამარცხებით (1:0) ჩემპიონობისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგეს, რადგან რეკორდმაისტერს ფინიშამდე 4 ტურით ადრე 6 ქულით უსწრებენ. „ბორუსიას“ ენაკვიმატმა თავკაცმა **იურგენ კლოპმა** კი ოთხშაბათსვე თქვა, „ბაიერნის“ დამარცხების შემდეგ ჩვენი მიზანი „შალკეს“ სუპში ჩაფურთხებააო. ცხადია, არც გელზენკირხენულმა პასუხმა დააყოვნა – „შალკეს“ აღზრდილი **ჯოელ მატიპი** ამბობს, „დორტმუნდის“ გამწარება ყოველი ჩვენგანის ოცნებაა და ცხადია, ამჯერად გაათმაგებული მონდომებით ვითამაშებთო.

თანაც, „შალკემ“ ოთხშაბათს „ნიურნბერგთან“ სამარცხვინო მარცხი (1:4) განიცადა და **ჰუუბ სტევენსის** შეგირდებს ფანებისთვის ბოდიშის მოხდა სწორედ მოსისხლე მტრის, „დორტმუნდის“ დამარცხებით სურთ. აქვე შეგახსენებთ, რომ „შალკეს“ ჯერ კიდევ აქვს ვიცე-ჩემპიონობის თეორიული შანსი, მაგრამ გელზენკირხენელთა მთავარი მიზანი მესამე ადგილისა და შესაბამისად, პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურის განაღდებაა – „ხუმარები“ მეოთხეადგილოსან „გლადბახს“ ახლა 4 ქულით უსწრებენ.

### ვნახავთ ჰამბურგის რეაქციას?

„ჰამბურგი“ მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი ყველაზე უთავმოყვარეო გუნდია, რაც **ტორსტენ ფინკის** შეგირდებმა ოთხშაბათს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს – „ბუნდესლიგის დინო“ „ჰოფენჰაიმთან“ 0:4 განადგურდა და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ჯერ კიდევ მძაფრად ემუქრება. დღეისათვის „ჰამბურგის“ ფეხბურთელების, გულშემატკივრებისა თუ შეფების ერთადერთი იმედი ის არის, რომ ამ ეტაპზე ბუნდესლიგაში სამი გუნდი HSV-ზე უარეს მდგომარეობაშია – ვგულისხმობთ „აუგსბურგს“, „კიოლნს“ და „ჰერტას“, „კაიზერსლაუტერნი“ კი უკვე აღარაა სათვალავში ჩასაგდები. მაგრამ ჰამბურგელები კონკურენტების უარესობის იმედად ვერ იქნებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეს „ჰანოვერთან“ საშინაო მატჩში სამი ქულა სჭირდებათ. **მირკო სლომკას** გუნდის სახით ჰამბურგში ევროპალიგის საგზურის კანდიდატი ჩადის, რომელმაც სამი დღის წინ უშუალო კონკურენტი „ვოლფსბურგი“ დაამარცხა (2:0) და იმ მატჩში მთავარი გოლეადორი **მამე დიუფი** დაკარგა – ამ უკანასკნელმა მძიმე ტრავმა მიიღო და „ჰანოვერს“ დარჩენილ მატჩებში ველარ დაეხმარება.

### ვემშვიდობებით კაიზერსლაუტერნს?

„შალკესთან“ გამარჯვების შემდეგ „ნიურნბერგი“ კაიზერსლაუტერნში ჩადის და გამარჯვების შემთხვევაში გადარჩენის ოფიციალურად განაღდება შეუძლია. უიმედო აუტსაიდერმა „კაიზერსლაუტერნმა“ კი დღეს შესაძლოა, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება გაიფორმოს. მიუხედავად იმისა, რომ „ლაუტერნმა“ „ლევერკუზენთან“ (1:3) ნორმალურად ითამაშა, სასოწარკვეთილმა „ეშმაკებმა“ მოუგებელი სერია 20 მატჩამდე გაზარდეს და ელიტაში დარჩენის იმედი უკიდურესად ოპტიმისტ ფანებსაც კი გადაუწურეს იმის იმედი.

### ვოლფსბურგს სამი ქულა სჭირდება

„ფოლკსვაგენარენაზე“ „ვოლფსბურგისა“ და „აუგსბურგის“ სახით ისეთი გუნდები წარსდგებიან ერთმანეთის წინააღმდეგ, რომლებიც შუა კვირაში დამარცხდნენ და დასახული მიზნებისთვის ბრძოლაში მდგომარეობა გაირთულეს. „ვოლფებს“ ევროპალიგის საგზური უნდათ და ქვემოსაქსონიურ დერბიში უშუალო კონკურენტ „ჰანოვერთან“ 0:2 დამარცხდნენ, ელიტაში შარშან გადმოსულ „აუგსბურგს“ კი მეორე ბუნდესლიგაში დაბრუნება არ სურს. ასე რომ, წაგება ორივე გუნდისთვის დაუშვებელია და ლოგიკურად, ძალიან საინტერესო მატჩი უნდა გამოვიდეს.

### ჰერტას რთული მისია ლევერკუზენში

მას მერე, რაც „ლევერკუზენის“ ხელმძღვანელებმა **რობინ დუტი** დაითხოვეს და მის ნაცვლად გუნდი **სამი ჰიიპიასა** და **საშა ლევანდოვსკის** დუეტს ჩააბარეს, „ბაიერი“ აშკარად გამოსწორდა. „ფარმაცევტები“ ამჯერად ბოლოსწინაადგილოსან „ჰერტას“ მასპინძლობენ და **ლევან კობიაშვილის** გუნდის დამარცხებით ევროპალიგის ზონაში ადგილის გამყარება სურთ. ამ მატჩისთვის სერიოზულად ემზადება „ჰერტაც“ - ბერლინელები გადარჩენისთვის ბრძოლას აგრძელებენ. „ფრაიბურგთან“ მარცხის შემდეგ **ოტო რეჰაგელმა** თქვა, დარჩენილი ოთხივე მატჩის მოგება გვჭირდება და ამისათვის ყველაფერს გავაკეთებთო. არის იმის შანსი, რომ „ჰერტას“ გადასარჩენად 2-3 მოგებაც ეყოს, მაგრამ ფაქტია, კობიაშვილი და კომპანია „ბაი არენაზეც“ სამი ქულისთვის იბრძოლებენ.

### გამოიყენებს მაინცი „ბედნიერ შემთხვევას“?

„ბედნიერ შემთხვევაზე“ საუბარი შესაძლოა, ბევრს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, რადგან მაინცელები მიუნხენში ჩადიან, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „ბაიერნმა“ ოთხშაბათს „დორტმუნდთან“ უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა და წააგო, წინ კი მადრიდის „რეალთან“ კიდევ უფრო პრინციპული მატჩი (ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური შეხვედრა სამშაბათს) ელის, რეალურია, რომ რეკორდმაისტერმა „მაინცთან“ ძალები დაზოგოს. ცხადია, „ბაიერნში“ ჩემპიონობის იმედს არ კარგავენ და მიუნხენელები დღესაც მხოლოდ მოსაგებად გავლენ მოედანზე, მაგრამ როგორც მინიმუმ, „მაინცთან“ მატჩის დროს უკვე „რეალზე“ იფიქრებენ. „მაინცს“ ცუდად არ აქვს საქმე, მაგრამ პირველ ბუნდესლიგაში დარჩენა ჯერ არ გაუნაღდებია.

### კიოლნს ახალი მწვრთნელი ჰყავს

ხვალ რაინის დერბია: მიონხენგლადბახის „ბორუსია“ ქაოსში მყოფ „კიოლნს“ მასპინძლობს. მაინცში განცდილი კრახის (0:4) შემდეგ, „კიოლნის“ ხელმძღვანელებმა მთავარი მწვრთნელი **სტალე სოლბაკენი** ბოლოს და ბოლოს გააგდეს და გუნდი დროებით ისევ **ფრანკ შეფერს** ჩააბარეს – „თხების“ გადარჩენა სწორედ ამ უკანასკნელს დაევალა. აღსანიშნავია, რომ „კიოლნი“ ბოლო დროს „გლადბახს“ ვერ უგებს – უკანასკნელ სამ მატჩში მიონხენგლადბახელებმა „თხებს“ 12 გოლი გაუტანეს და მხოლოდ ერთი გაატანინეს. „გლადბახის“ მიზანი საუკეთესო ოთხეულში ადგილის შენარჩუნება და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა. მართალია, ბოლო დროს **ლუსიენ ფავრის** გუნდი ველარ „დაფრინავს“ ისე, როგორც პირველ წრეში „დაფრინავდა“, მაგრამ, რაც მთავარია, ოთხეულში ადგილს ინარჩუნებს.

### გაინაღდებს ფრაიბურგი?

მას მერე, რაც „ფრაიბურგის“ დამრიგებლად **კრისტიან შტრაიხი** დაინიშნა, ბრაისგაუელებმა უდიდესი პროგრესი განიცადეს და იმდენი მოახერხეს, რომ გასავარდნი ზონიდანაც ამოვიდნენ, ახლა კი მე-13 ადგილზე არიან და საშიშ ზონას მთელი 6 ქულით უსწრებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ „ფრაიბურგი“ დღეს საკუთარ მოედანზე „ჰოფენჰაიმს“ დაამარცხებს, შტრაიხის შეგირდები ელიტაში დარჩენას პრაქტიკულად გაინაღდებენ. თუმცა „ჰოფენჰაიმი“ ბოლოდროინდელი წარმატებების (წინა ტურში 4:0 „ჰამბურგთან“) შედეგად მთლად უმოტივაციოდ აღარ არის: „სოფლელებს“ ევროპალიგის საგზურის მოპოვების რეალური შანსი გაუჩნდათ და ცხადია, რომ „ფრაიბურგს“ იოლად არაფერს დაუთმობენ.

**დორტმუნდის და ბაიერნის დარჩენილი მატჩები**

**ბორუსია (დ)**

| ტური | მატჩი |
|---|---|
| XXXI | შალკე-ბორუსია (დ) |
| XXXII | ბორუსია (დ)-ბორუსია (მ) |
| XXXIII | კაიზერსლაუტერნი-ბორუსია (დ) |
| XXXIV | ბორუსია (დ)-ფრაიბურგი |

**ბაიერნი**

| ტური | მატჩი |
|---|---|
| XXXI | ბაიერნი-მაინცი |
| XXXII | ვერდერი-ბაიერნი |
| XXXIII | ბაიერნი-შტუტგარტი |
| XXXIV | კიოლნი-ბაიერნი |

● ჰოფენჰაიმი



მარკუს ბაბელმა რაიან ბაბელი დასაჯა

# ბაბელი ბაბელის წინააღმდეგ

## მარკუსისთვის რაიანი რიგითია და ისე უნდა დაისაჯოს, როგორც ყველა

„ჰოფენჰაიმის“ მთავარმა მწვრთნელმა **მარკუს ბაბელმა** გუშინ თავდამსხმელი **რაიან ბაბელი** დროებით გუნდიდან მოკვეთა. 39 წლის მწვრთნელის თქმით, ფორვარდი განაცხადიდან ამოშლილია და უახლოეს ორ თამაშს თვალს ტრიბუნებიდან მიადევნებს.

*„ფეხბურთელების სახელებს ყურადღებას არ ვაქცევ. რაიან ბაბელი ბოლო დროს ძალიან ზარმაცობს და ვარჯიშებზე ბოლომდე არ იხარჯება, რასაც ვერც ერთ მოთამაშეს ვერ ვაპატიებ. ახლა მას საკმარისი დრო ექნება იმისათვის, რომ დაფიქრდეს და გონს მოეგოს,“* - განაცხადა ბაბელმა „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ მარკუსმა გუნდიდან „ჰოფეს“ სხვა ლიდერი, **სეიად სალიჰოვიჩიც** ასეთივე მიზეზით მოკვეთა და განაცხადში ახლახან დააბრუნა. შედეგი: 27 წლის სალიჰოვიჩი „ჰამბურგთან“ 4:0-ზე მოგებულ შეხვედრაში მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მარკუსს ახლა 25 წლის რაიან ბაბელის შემთხვევაშიც ასეთივე ეფექტის იმედი აქვს.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

## დღეს

**ნორვიჩი–მანჩესტერ სიტი 15:45**

**ტრავმა:** უილბრეჰემი, აიალა, ჯ. ვონი, ტირნი – ი. ტურე,
**დისკვალიფიკაცია:** ბალოტელი (სიტი)

**სანდერლენდი–ვულვერჰ. 18:00**

**ტრავმა:** კემპბელი, ბენდტნერი, ო'ში, ბრამბლი, ანხელერი, ბრაუნი – ო'ჰარა, ჰანტი, კრედოკი

**სუონსი–ბლექბერნი 18:00**

**ტრავმა:** აგუსტინი, ბოდე – გრელა, სალგადო
**დისკვალიფიკაცია:** მოდესტე (ბლექ)

**ვესტ ბრომ.–ქუინზ პარკი 18:00**

**ტრავმა:** გერა, რიდი, ფულოპი, ბრანტი, ტომასი, რიჯუელი, მორისონი – ფორლინი, დაიერი
**დისკვალიფიკაცია:** დერი, სისე (ქპრ)

## ხვალ

**მანჩესტერ იუნ.–ასტონ ვილა**

**ტრავმადː** დ. ფლეტჩერი, ლინდეგორი, ვიდიჩი, ოუენი, მაკედა, ანდერსონი – ოლბრაიტონი, ჰერდი, ბენტი, ს. პეტროვი, კლარკი, დელფი, უორნოკი, რ. დანი

## ზეგ

**არსენალი–უიგანი**

**ტრავმა:** ფრიმპონგი, მერტეზაკერი, კოკლენი, ჟერვინიო, დიაბი, გიბსი, უილშირი - როდალიეგა
**დისკვალიფიკაცია:** კოშელნი (არს)

## 1 მაისი

ლივერპული-ფულჰემი
სტოკ სიტი-ევერტონი

## 2 მაისი

ჩელსი-ნიუკასლი
ბოლტონი-ტოტენჰემი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 33 | 25 | 4 | 4 | 78-28 | 79 |
| 2. სიტი | 33 | 23 | 5 | 5 | 79-26 | 74 |
| 3. არსენალი | 33 | 20 | 4 | 9 | 66-41 | 64 |
| 4. ტოტენჰემი | 33 | 17 | 8 | 8 | 57-38 | 59 |
| 5. ნიუკასლი | 33 | 17 | 8 | 8 | 50-42 | 59 |
| 6. ჩელსი | 33 | 16 | 9 | 8 | 56-38 | 57 |
| 7. ევერტონი | 33 | 13 | 8 | 12 | 38-34 | 47 |
| 8. ლივერპული | 33 | 12 | 10 | 11 | 40-36 | 46 |
| 9. ფულჰემი | 33 | 11 | 10 | 12 | 43-43 | 43 |
| 10. ნორვიჩი | 33 | 11 | 10 | 12 | 46-52 | 43 |
| 11. სანდერლენდი | 33 | 11 | 9 | 13 | 42-41 | 42 |
| 12. სტოკ სიტი | 33 | 11 | 9 | 13 | 32-45 | 42 |
| 13. ვესტ ბრომ. | 33 | 11 | 6 | 16 | 39-47 | 39 |
| 14. სუონსი | 33 | 10 | 9 | 14 | 35-44 | 39 |
| 15. ასტონ ვილა | 32 | 7 | 14 | 11 | 35-44 | 35 |
| 16. ქუინზ პარკი | 33 | 8 | 7 | 18 | 38-56 | 31 |
| 17. უიგანი | 33 | 7 | 10 | 16 | 31-57 | 31 |
| 18. ბოლტონი | 32 | 9 | 2 | 21 | 36-65 | 29 |
| 19. ბლექბერნი | 33 | 7 | 7 | 19 | 45-70 | 28 |
| 20. ვულვზი | 33 | 5 | 7 | 21 | 34-73 | 22 |

*ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIV ტურის წინ*

# ტური წყვეტით

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერლიგის 34-ე ტური ნაკლულად გაიმართება. მიზეზი ალბათ ყველა იცით – უქმეებზე "უემბლიზე" ასოციაციის თასის 1/2-ფინალური მატჩები გაიმართება. დღეს "ლივერპული" "ევერტონს" უმასპინძლებს, ხვალ "ტოტენჰემი" "ჩელსის" დაუპირისპირდება. პრემიერლიგაში მათი თამაშები მაისისთვისაა გადატანილი.

"იადონებმა" წინა ტურში სენსაციურად იმარჯვეს "ტოტენჰემთან" გასვლით შეხვედრაში და უკვე თეორიულადაც გაინაღდეს პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება. ასე რომ, "კეროუ როუდზე" "მანჩესტერ სიტის" რთული დაპირისპირება ელოდება. "ნორვიჩს" შეუძლია ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე ითამაშოს. რაც შეეხება "მანჩესტერ სიტის", სწორედ გუშინდელ ნომერში ვწერდით მიმოხილვაში, რომ "სიტის" ლიდერები საქმეს დაუბრუნდნენ - **დავიდ სილვამ** 2012 წელს პირველი გოლი გაიტანა, **სამირ ნასრიმ** დეკემბრის აქეთ პირველი საგოლე გადაცემა მიითვალა და **კარლოს ტევესმა** სეზონში სულაც პირველად გამოიჩინა თავი. "ვესტ ბრომვიჩთან" 4:0-ის შემდეგ "ქალაქელები" საბრძოლო განწყობაზე იქნებიან. მათთვის 38-ე ტურის ჩათვლით ახლა ყველა თამაში თასის ფინალივითაა. ბუკმეკერთა პროგნოზით 3 ქულის აღების უფრო დიდი შანსი სტუმრებს აქვთ.

"სტედიუმ ოფ ლაითზე" ერთმანეთს ორი ისეთი გუნდი ხვდება, რომელიც 33-ე ტურში განადგურდა. "სანდერლენდისგან" ეს ცოტა მოულოდნელი იყო. ლივერპულის "გუდისონ პარკზე" ანგარიშში ჩამორჩენის მიუხედავად, სტუმრები დიდხანს თანაბრად ებრძოდნენ "ევერტონს", მაგრამ მერე რაღაც მოხდა და 7-8 წუთში 3 გოლი გაუშვეს. "ვულვზისგან" "არსენალთან" განადგურება კი იოლი საპროგნოზო იყო. "მგლებმა" პრემიერლიგის დასრულებამდე 5 ტურით ადრე ელიტაში ადგილის შენარჩუნების მხოლოდ თეორიული შანსი შეინარჩუნეს. დღევანდელ დაპირისპირებაში ფავორიტი აშკარაა – "სანდერლენდი".

წინა წყვილისა არ იყოს, "სუონსი"-"ბლექბერნიდან" წინა ტურში ორივე დამარცხდა. უელსურ კლუბზე იმის თქმა შეიძლება, რომ პრემიერლიგაში ადგილის განაღდების შემდეგ თამაშს უკლო და მას მერე ზედიზედ 4 თამაში წააგო. მიყოლებით ამდენჯერვე დამარცხდა "ბლექბერნიც". განსაკუთრებით გულსატკენი იყო მარცხი 33-ე ტურში, როცა "ვარდებმა" "ლივერპულთან" 2-ბურთიანი ჩამორჩენა გააბათილეს, მაგრამ რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად ბოლო წუთზე მაინც წააგეს. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, მოგება უფრო მეტად სტუმარს სჭირდება, მაგრამ ფავორიტად მაინც "სუონსი" მიგვაჩნია.

"ვესტ ბრომვიჩმა" წინა ტურში "მანჩესტერ სიტისთან" უიმედოდ წააგო, მაგრამ **როი ჰოჯსონის** შეგირდებმა ამისგან ტრაგედია არ უნდა შექმნან. მთავარი ახლა ის არის, რომ მათ თითქმის გადაწყვეტილი აქვთ ელიტაში დარჩენის საკითხი. რაც შეეხება "ქუინზ პარკს", **მარკ ჰიუზის** გუნდმა "სუონსის" 3:0 მოუგო. კიდევ ერთი მოგება და ისინი უპირველესად ფსიქოლოგიურად გაიმართებიან წელში. ამ დაპირისპირებაში ფავორიტის დასახელება ძალიან ძნელია.



33-ე ტურში სერხიო აგუერომ ორი გოლის გარდა საგოლე გადაცემაც მიითვალა. რას იზამს ამჯერად?

## რეაბილიტაციისთვის

ხვალ "მანჩესტერ იუნაიტედი" "ასტონ ვილას" უმასპინძლებს. ვის აქვს მოგების მეტი შანსი, ამაზე ბევრ ლაპარაკს არ მოვყვებით. "უიგანთან" მოულოდნელი მარცხის შემდეგ "ეშმაკებს" საკუთარი მაყურებლის თვალწინ რეაბილიტაცია მართებთ. სწორედ ამიტომ ყველა დარწმუნებულია, რომ "ვილას" უმძიმესი 90 წუთის გადატანა მოუწევს. ბირმინგემელებს თავისი პოტენციალის 100%-ით მოუწევთ გარჯა, თუკი სურთ, რომ პირწმინდად არ განადგურდნენ. მათ პრემიერლიგიდან გავარდნის საკმაოდ რეალური საფრთხე უდგათ. მართალია **ალექს მაკლიშის** გუნდს ერთი თამაში თადარიგში აქვს, მაგრამ ეს დაპირისპირება მას სახიფათო ზონაში მყოფ "ბოლტონთან" უწევს. ეს შეხვედრა 24 აპრილს შედგება და ძალიან ბევრ კითხვაზე გასცემს პასუხს.

მესამე ტურია მიყოლებით "უიგანს" პრემიერლიგის გრანდებთან უწევს ჭიდაობა. "ჩელსისთან" სკანდალური მატჩის გამო სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელმა **მაიკ რაილიმ** კლუბს ოფიციალური ბოდიში მოუხადა. შეგახსენებთ, რომ **მაიკ ჯონსმა** მასპინძლებს ორი გოლი ჩაუთვალა თამაშგარედან, თამაში კი 2:1 დასრულდა. "მანჩესტერთან" საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო **ფილ დაუდმაც**, როცა **ვიქტორ მოზესს** გოლი გააუქმა. უნდა გენახათ **რობერტო მარტინესის** შეშფოთებული სახე, რაზეც ტრანსლაციის რეჟისორმაც გააკეთა აქცენტი... არა უშავს! მთავარია, რომ "უიგანმა" იმარჯვა. ახლა მას "ემირიტსზე" ელის მძიმე გამოცდა "არსენალთან". ჩრდილოლონდონელები ლაღ, გახსნილ ფეხბურთს თამაშობენ, ზუსტად ისეთს, როგორსაც მათი მეტოქე. ჩვენი აზრით, ფავორიტი აშკარად "არსენალია".

*ლივერპული*

**ბრიტანულ პრესას ძალიან უყვარს სამწვრთნელო საკითხებზე ჩაციკვლა. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ბოლო 9-10 წელიწადია იმაზე მიდის მსჯელობა, თუ ვინ შეიძლება შეცვალოს ალექს ფერგიუსონი "მანჩესტერ იუნაიტედში". მიმდინარე სეზონის წარუმატებლად დაწყების გამო ჟურნალისტებმა არსენ ვენგერის შემცვლელზეც დაიწყეს "ზრუნვა". მათ დიდი ხნით ადრე იწინასწარმეტყველეს ანდრე ვილაშ ბოაშის "ჩელსიდან" დათხოვნა და აი, როგორც იქნა კენი დალგლიშისთვისაც "მოიცალეს". ის, რომ ვეტერანი შოტლანდიელის ხელში "ლივერპული" საცოდავად გამოიყურება, ამაზე აღარავინ კამათობს. ხუთშაბათს კლუბის მფლობელებმა სპორტული დირექტორი დამიენ კომოლი დაითხოვეს და პრესა ეჭვობს, რომ სეზონის დასრულებისთანავე მის გზას "მეფე კენისაც" გაუყენებენ. ამჯერად ამერიკელი ჟურნალისტების (Bleacher Report) მოსაზრებას გთავაზობთ, თუ ვინ შეიძლება დაიკავოს "მეფის სავარძელი".**

# ტოპოთხეული

## ვინ შეცვლის დალგლიშს?



სტივ კლარკი



ბრენდან როჯერსი



რაფაელ ბენიტესი



ანდრე ვილაშ ბოაში

## სტივ კლარკი

**სტივ კლარკი** "ლივერპულის" შიდა კადრია. პროფესიული სამწვრთნელო კარიერა მან თანაშემწის რანგში "ნიუკასლში" დაიწყო. ამ რანგში მას "ვესტ ჰემსა" და "ჩელსიშიც" უმუშავია. სტივს ყოველთვის გამოსდიოდა ურთიერთობის აწყობა წამყვან ფეხბურთელებთან, წლების განმავლობაში კი ალალად დაიმსახურა მშვენიერი ტაქტიკოსის იმიჯი. განსაკუთრებით ეხერხება საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და სიახლეების დანერგვა. რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, მისი კანდიდატურა ყველაზე უფრო "ხელმისაწვდომია".

## ბრენდან როჯერსი

**ბრენდან როჯერსის** კანდიდატურა მეტ დაფიქრებას საჭიროებს, რადგან ყველაზე უფრო სარისკოა. **როი ჰოჯსონივით** წარმატება მასაც საშუალო გაქანების კლუბში ჰქონდა და შესაბამისად, არასოდეს უმუშავია მაქსიმალური სტრესისა და ზეწოლის პირობებში. ისეთში, როგორიც "ლივერპულში" მუდმივად იგრძნობა. მან შეძლო და გუნდი კარგად გამართა წელში, ასწავლა ლამაზი, შემტევი ფეხბურთი. გარდა ამისა, აშკარაა, რომ მას ახალგაზრდა ნიჭიერ ფეხბურთელებთან მუშაობაც გამოსდის, რასაც თავის დროზე ჰოჯსონზე ნამდვილად ვერავინ იტყოდა.

## ანდრე ვილაშ ბოაში

**ანდრე ვილაშ ბოაშის** მიწვევა ნაკლებად მოსალოდნელია, მაგრამ არა წარმოუდგენელი. ფაქტია, რომ "ჩელსიში" ის მთელ რიგ პრობლემებს შეეჯახა, მაგრამ ბევრი ამტკიცებს, რომ ეს მწვრთნელის კომპეტენციის კი არა, ლონდონური გრანდის "ვადაგასული ფეხბურთელების" ბრალი უფროა. "დიდმა ბიჭებმა", ისეთებმა, როგორებიც არიან **დიდიე დროგბა, ფრენკ ლემპარდი** და კომპანია, ენთუზიაზმის გარეშე მიიღეს მწვრთნელის მცდელობები, აემოძრავებინა გუნდი, რომელიც დიდი ხანია ერთ ადგილზე იდგა. ყველაზე მეტად სწორედ ამ ფეხბურთელებს აწყობდათ შექმნილი ვითარება. ეს მოსაზრება გარკვეულწილად დაადასტურა ცოტა ხნის წინ "სანდი ტელეგრაფთან" ინტერვიუში **ჯონ ტერიმ**, როცა განაცხადა, ვილაშ ბოაში არც ისეთი სუსტია, როგორც ვილაცებს ეჩვენებათო.

## რაფაელ ბენიტესი

**რაფაელ ბენიტესის** კანდიდატურას ყველაზე მეტი წინააღმდეგობა შეხვდება. დიდი დრო არ გასულა მას მერე, რაც ესპანელმა დაადასტურა, რომ დათანხმდებოდა "ენფილდზე" დაბრუნებას, რადგან იქიდან წასვლის მერე აქვს შეგრძნება, რომ ბევრი საქმე დარჩა ბოლომდე მისაყვანი. ბენიტესმა "წითლები" მას მერე მიატოვა, რაც კლუბმა ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე წელიწადი გადაიტანა, მით უფრო, რომ მას კლუბის მესაკუთრეების **ჯორჯ ჯილეტისა** და **ტომ ჰიკსის** მხარდაჭერა აკლდა. ბუნებრივია, ამ წარუმატებლობამ ვერ გადაუსვა ხაზი რაფას დამსახურებებს "ლივერპულის" წინაშე. მისი დაბრუნება "ენფილდზე" შეიძლება ცოტა შოკისმომგვრელი იყოს, მაგრამ მაინც კარგი ვარიანტია.

სავარაუდო სამწვრთნელო ცვლილება კლუბი დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს, რადგან "ლივერპულისთვის" მას სერიოზული შედეგების მოტანა შეუძლია. რაც მთავარია, ახალი მწვრთნელი ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლით უნდა შეირჩეს.

მწვრთნელის გარდა "ლივერპულს" ისეთი მნიშვნელოვანი პერსონის მოძიება მართებს, როგორიც სპორტული დირექტორია. ორიოდე დღის წინ დათხოვნილ **დამიენ კომოლის** შემცვლელი სჭირდება. "დეილი მეილის" ინფორმაციით, "წითლები" ორი ლეგენდარული ჰოლანდიელის კანდიდატურას განიხილავენ. ლაპარაკია **იოჰან კრუიფსა** და **ლუის ვან გაალზე**. ისე არ გვგონია, რომელიმეს დიდად გულზე მოეფინოს კონკურენტის სახელის ხსენება. 64 წლის "მფრინავ ჰოლანდიელსა" და ვან გაალს შორის დაძაბული ურთიერთობების შესახებ ახალი რა უნდა ვთქვათ? სწორედ მათმა ჭიდილმა შეიწირა კრუიფის ადგილი "აიაქსის" დირექტორთა საბჭოში და ვან გაალის სპორტული დირექტორის პოსტი, სადაც მუშაობა ლუისს ზაფხულზე უნდა დაეწყო.

კრუიფს ამჟამად მრჩევლის პოსტები უკავია მშობლიურ "აიაქსსა" და ესპანურ "დეპორტივოში" (გვადალახარა). წესით, ის პრესტიჟულ სამუშაოს უნდა დათანხმდეს. ვან გაალი კი 2011 წელს "ბაიერნიდან" ვადაზე ადრე დათხოვნის შემდეგ სულაც უმუშევარია. კრუიფისა არ იყოს, მისი მთავარი პლუსიც ახალგაზრდებთან მუშაობაა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXII ტურის შეჯამება

# წაგება: სიტყვა, რომელიც მის ლექსიკონში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვალენსიამ დაიბრუნა: მესამე და კანალესი

შუა კვირაში სამ დღეზე განაწილებული 32-ე ტური უკვე ესპანური ფეხბურთის ისტორიაა - ამ ტურმა ვერ შეცვალა ძალთა თანაფარდობა ტიტულის მოცილეთა შორის, თუმცა კი იყო ამის მოლოდინი. სამაგიეროდ, მესამე ადგილს დაუბრუნდა „ვალენსია", რომელმაც გამარჯვების გემო გაიხსენა და 6-თვიანი პაუზის შემდეგ **სერხიო კანალესი** დაუბრუნდა. ვფიქრობთ, ამ ტურმა ნათლად ჩამოაყალიბა ის ტრიო, რომელიც სეზონის ბოლოს, ალბათ, დატოვებს ლა ლიგას...

### ბარსა-რეალობა

მაშინ, როცა თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ „ბარსელონა" ძმრად ადენდა „ხეტაფეს" პირველი წრის მარცხს, მთელი ყურადღება მადრიდული დერბისკენ იყო - იქნებ, „სამეფო კლუბს" „ატლეტიკოსთან" ქულები დაეკარგა და ლა ლიგის ჩემპიონობის საკითხი საბოლოოდ დაძაბულიყო. ეს არ მოხდა, „რეალმაც" იოლად მოიგო, როგორც „ბარსელონამ". 6 ტურით ადრე „რეალის" უპირატესობა ისევ 4 ქულაა.

### ბარსელონას დარჩენილი 6 მატჩი

(3 შინ, 3 სტუმრად)

ლევანტე-**ბარსელონა**
**ბარსელონა**-**რეალი**
ვალეკანო-**ბარსელონა**
**ბარსელონა**-მალაგა
**ბარსელონა**-ესპანიოლი
ბეტისი-**ბარსელონა**

### რეალის დარჩენილი 6 მატჩი

(3 შინ, 3 სტუმრად)

**რეალი**-სპორტინგი
**ბარსელონა**-**რეალი**
**რეალი**-სევილია
ბილბაო-**რეალი**
გრანადა-**რეალი**
**რეალი**-მალიორკა

### მესი VS რონი

**ლიონელ მესიმ** 90 წუთი ითამაშა „ხეტაფესთან" 4:0 მოგებულ შეხვედრაში. მან კარისკენ 5-ჯერ დაარტყა, 2-ჯერ ზუსტად, 1 გოლი გაიტანა და 2 საგოლე პასი გააკეთა. მესი ერთხელ დაჯარიმდა და ყვითელი ბარათი მიიღო.

**კრიშტიანო რონალდომ** 90 წუთი ითამაშა „ატლეტიკოსთან" 4:1 მოგებულ შეხვედრაში. მან 11-ჯერ დაარტყა კარისკენ, 6-ჯერ ზუსტად, 3 გოლი გაიტანა (1 პენალტით) და 1 საგოლე პასი გააკეთა. მის წინააღმდეგ სამჯერ დაჯარიმდნენ.

ჩვენი „ტურნირის" ეს რაუნდი პორტუგალიელმა მოუგო არგენტინელს და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა - 19:18 მესის სასარგებლოდ.

### ტურის სიმბოლური ნაკრები

ესპანური GOAL.COM. 3-4-3

**ფაბრისიო** (ბეტისი) - **ხუანფრანი** (ატლეტიკო), ფედერიკო **ფასიო** (სევილია), ხორდი **ალბა** (ვალენსია) - **რაულ გარსია** (ოსასუნა), სოფიან **ფეგული** (ვალენსია), **ლორა** (სპორტინგი), ემილიანო **ნსუე** (მალიორკა) - კრიშტიანო **რონალდო** (რეალი), ალვარო **ნეგრედო** (სევილია), ალექსის **სანჩესი** (ბარსელონა).

*მე-12 ფეხბურთელი -* **ლიონელ მესი** *(ბარსელონა). მწვრთნელი:* **ხოსეპ გვარდიოლა** *(ბარსელონა).*

### ტურის ანტინაკრები

**კამენი** (მალაგა) - **მიგელ ტორესი** (ხეტაფე), **ბოტია** (სპორტინგი), **ფორლინი** (ესპანიოლი), **გოდინი** (ატლეტიკო) - **კასკერო** (ხეტაფე), **ხაიმე** (გრანადა), **კოუტინიო** (ესპანიოლი), **მატეოსი** (სარაგოსა) - **მუნიაინი** (ბილბაო), **აგირეჩე** (რეალ სოსიედადი).

*მე-12 ფეხბურთელი -* **კაკა** *(რეალი. მწვრთნელი:* **დიეგო სიმეონე** *(ატლეტიკო).*

### ტურის გმირი

**კრიშტიანო რონალდო** (რეალი)

*ერთპიროვნულად მოიგო დერბი. ჰეთ თრიკს ერთი საგოლე პასიც დაურთო. ორი ძალიან მაგარი გოლი გაიტანა.*

### ტურის ფრაზები

**მანუელ პელეგრინი**: *„დღეს უკეთესმა გუნდმა წააგო",* - „მალაგას" თავკაცი „ვილიარეალთან" 1:2 წაგების შემდეგ.

**ალვარო სერვერა**: *„სანამ არის მათემატიკური შანსი გადარჩენის, ვიბრძოლებთ",* - „რასინგის" მწვრთნელი.

**მიჩელი**: *„ახლა „სევილია" უფრო სტაბილური გუნდი გახდა",* - ანდალუსიელთა თავკაცი „სარაგოსას" 3:0 დამარცხების შემდეგ.

**კრიშტიანო რონალდო**: *„სიტყვა წაგება ჩემს ლექსიკონში არ წერია",* - ჰეთ თრიკის შესრულების შემდეგ.

**უნაი ემერი**: *„ეფექტური თამაში გვაკლდა და ამასაც მივაღწიეთ",* - „ღამურების" თავკაცი „რაიო ვალეკანოს" 4:1 განადგურების შემდეგ.

**ხავიერ კლემენტე**: *„ფანებს არ მოსწონხარო, რა ვქნა ახლა მე",* - „სპორტინგის" მწვრთნელი.

### ტურის 5 საუკეთესო გოლი

1. **კრიშტიანო რონალდო** (რეალი) მეორე გოლი „ატლეტიკოს" კარში.
2. **ლიონელ მესი** (ბარსელონა) „ხეტაფეს" კარში (საგოლე პასი: **ანდრეს ინიესტა**).
3. **კრიშტიანო რონალდო** (რეალი) პირველი გოლი „ატლეტიკოს" კარში (საჯარიმო დარტყმით).
4. **რაულ გარსია** (ოსასუნა) მეორე გოლი „ესპანიოლის" კარში (საგოლე პასი: **მარკ ბერტრანი**).
5. **რადამელ ფალკაო** (ატლეტიკო) „რეალის" კარში (საგოლე პასი: **ადრიან ლოპესი**).

### ესპანური ფეხბურთის სისუსტე... მსაჯები

**პარადას რომერო** (ვალენსია-რაიო ვალეკანო). „მარკა" - 3 (10-ბალიანი სისტემით)

**რა დააშავა:** *შეცდომით დანიშნა პენალტი სტუმართა კარში. არიბასი ბურთს შეეხო და არა ფეგულის. შეეძლო მატიო გაეძევებინა დიეგო კოშტასთან უხეშობისთვის, მაგრამ დაინდო.*

### ტურის სტატისტიკა

*36 გოლი ტურში (3,6 მატჩში). 6 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 2 ფრედ დასრულდა და 2 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 52 ყვითელი და 4 წითელი ბარათი დაარიგეს.*

ჰეთ თრიკი: **კრიშტიანო რონალდო** (რეალი)

დუბლი: **რაულ გარსია** (ოსასუნა), **ალექსის სანჩესი** (ბარსელონა), **ჟონასი** (ვალენსია), **ალვარო ნეგრედო** (სევილია).

**იმანოლ აგირეჩემ** (რეალ სოსიედადი) და **ფერნანდო ლორენტემ** (ბილბაო) ვერ გაიტანეს პენალტები.

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ხოსე კამპანია** (სევილია, 18 წლის)




ხესუს ნა...

ყველაზე მეტი მაყურებელი: 76 000 - „კამპ ნოუ"

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: 10 000 - „ელ სარდინიერო"

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: 26 - რეალი

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: 9 - რეალი, ბარსელონა

ყველაზე მეტი ჯარიმა: 22 - რაიო ვალეკანო

ყველაზე მეტი კუთხური: 13 - ბარსელონა

ყველაზე მეტი თამაშგარე: 8 - ვილიარეალი

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: 76% - ბარსელონა

**ოსასუნა-ესპანიოლი 2:0**
**საუკეთესო:** რაულ გარსია (ოსასუნა)

**სოსიედადი-ბეტისი 1:1**
**საუკეთესო:** კარლოს ველა (რეალ სოსიედადი)

**ბარსელონა-ხეტაფე 4:0**
**საუკეთესო:** ლიონელ მესი (ბარსელონა)

**სპორტინგი-ლევანტე**
**საუკეთესო:** ოსკარ ტრეხო (სპორტინგი)

**გრანადა-ბილბაო**
**საუკეთესო:** მარკელ სუსაეტა (ბილბაო)

**ვალენსია-ვალეკანო**
**საუკეთესო:** ჟონასი (ვალენსია)

**ატლეტიკო-რეალი**
**საუკეთესო:** კრიშტიანო რონალდო (რ...

**ვილიარეალი-მალაგა**
**საუკეთესო:** ერნან პერესი (ვილიარეა...)

**რასინგი-მალიორკა**
**საუკეთესო:** ვიქტორ კასადესუსი (მალ...)

**სევილია-სარაგოსა**
**საუკეთესო:** ფედერიკო ფასიო (სევილ...)

**ბომბარდირები:** 40 - კრიშტიანო რო... (რეალი); 39 - ლიონელ მესი (ბარსელონა); ... დამელ ფალკაო (ატლეტიკო); 20 - გონსალ... ინი (რეალი); 17 - ქარიმ ბენზემა (რეალ... რობერტო სოლდადო (ვალენსია); 15 - მიჩ...

ლა ლიგა. XXXIII ტურის წინ

# რატომ უნდა იყოს ფრთხილად რო...

## ჟოზე მოურინიომ პირში წყალი სეზონის ბოლომ...

### დღეს

**რეალი-სპორტინგი 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** ჩაბი ალონსო (რეალი)

**ტრავმა:** მენდი, ეგურენი, გრეგორი (სპორტ)

**ლევანტე-ბარსელონა 00:00**

**ტრავმა:** დელ ორნო - პიკე, ფონტასი, აბიდალი, ალვეში, აფელაი

### ხვალ

**ესპანიოლი-ვალენსია 14:00**

**დისკვალიფიკაცია:** ფორლინი, კოუტინიო

**ტრავმა:** ალბინი, ფონტე, მატიონი - ბანეგა, მიგელი, სოლდადო, რუისი

**ბეტისი-ოსასუნა 18:00**

**ტრავმა:** უსტარიცი, მარიო, ნელსონი - სოლა, გონსალესი, ბალდე, სერხიო, ნეკუნამი, მასუდი

**მალაგა-სოსიედადი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** კამენი (მალ)

**ტრავმა:** ტულალანი, კაბალიერო, ბაპტიშტა, ხოაკინი - მარტინესი, დემიდოვი, ბერგარა

**ვილიარეალი-რასინგი 18:00**

**ტრავმა:** როსი, კატალა - ტონიო, აკოსტა, მარიო (?)

**სარაგოსა-გრანადა 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** ხაიმე რომერო (გრან)

**ტრავმა:** რობერტო, იებდა, ფ. რიკო, დიახატე (გრან)

**ბილბაო-მალიორკა 20:00**

**ტრავმა:** გურპეგი, ლოპესი, ოსიო, პერესი, მარტინესი, კასტილიო

**ვალეკანო-ატლეტიკო 23:30**

**ტრავმა:** ფუეგო, მიჩელი, არმენტეროსი, პერეირა - ლოპესი, სილვიო

### ზეგ

**ხეტაფე-სევილია 23:00**

**ტრავმა:** უსტარი, პედრო ლეონი, ლოპესი, ლოპო, მიჩელი - კამპანია (?), რეიესი, კანუტე, პეროტი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 32 | 26 | 4 | 2 | 104-28 | 82 |
| 2. ბარსელონა | 32 | 24 | 6 | 2 | 94-23 | 78 |
| 3. ვალენსია | 32 | 14 | 10 | 8 | 50-38 | 52 |
| 4. მალაგა | 32 | 15 | 5 | 12 | 48-45 | 50 |
| 5. ლევანტე | 32 | 14 | 6 | 12 | 46-44 | 48 |
| 6. ოსასუნა | 32 | 11 | 13 | 8 | 37-52 | 46 |
| 7. სევილია | 32 | 12 | 9 | 11 | 39-33 | 45 |
| 8. ბილბაო | 32 | 10 | 12 | 10 | 47-44 | 42 |
| 9. ატლეტიკო | 32 | 11 | 9 | 12 | 43-41 | 42 |
| 10. ესპანიოლი | 32 | 11 | 9 | 12 | 39-43 | 42 |
| 11. ხეტაფე | 32 | 11 | 9 | 12 | 33-43 | 42 |
| 12. მალიორკა | 32 | 10 | 10 | 12 | 35-40 | 40 |
| 13. ვალეკანო | 32 | 12 | 4 | 16 | 49-57 | 40 |
| 14. ბეტისი | 32 | 11 | 6 | 15 | 39-45 | 39 |
| 15. სოსიედადი | 32 | 10 | 8 | 14 | 39-48 | 38 |
| 16. გრანადა | 32 | 10 | 6 | 16 | 30-48 | 36 |
| 17. ვილიარეალი | 32 | 8 | 11 | 13 | 33-46 | 35 |
| 18. სპორტინგი | 32 | 7 | 7 | 18 | 32-60 | 28 |
| 19. სარაგოსა | 32 | 7 | 7 | 18 | 28-59 | 28 |
| 20. რასინგი | 32 | 4 | 13 | 15 | 23-51 | 25 |




კრიშტიანო რონალდო და მისი მწვრთნელი დილემის წინაშე არიან

დღეს მორიგი ტური იწყება, გრანდებს ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩების წინ შედარებით იოლი მეტოქეები ეყოლებათ. „რეალი" „სანტიაგო ბერნაბეუზე" „სპორტინგს" მასპინძლობს, ხოლო „ბარსელონა" ვალენსიაში ჩადის „ლევანტესთან" საბრძოლველად.

**ჟოზე მოურინიოს** კომენტარი არც დერბის შემდეგ გაუკეთებია მედიისთვის და არც „სპორტინგთან" მატჩის წინ გამოჩენილა - ჟურნალისტთა კითხვებს ისევ **აიტორ კარანკა** პასუხობდა. აღმოჩნდა, რომ ჟოზეს სეზონის ბოლომდე მედიასთან ოფიციალურ ურთიერთობაზე უარი უთქვამს. ეს არ ეხება ჩემპიონთა ლიგის მატჩებს, რადგან ამ შემთხვევაში პორტუგალიელი თავკაცი სანქციებს ვერ გაექცეოდა. თუმცა უკვე შესაძლოა, რომ ის ესპანეთშიც დასაჯონ.

სასტარტო შემადგენლობაში შეიძლება ვერ ვიხილოთ **კრიშტიანო რონალდო**, რომელსაც თავისივე რეკორდის (რომელიც წინა ტურში გაიმეორა) დამხობა სურს. რეკორდი რეკორდად და დიდია საფრთხე, რომ მან „ელ კლასიკო" გამოტოვოს. რონალდოს ამ სეზონში 4 გაფრთხილება აქვს, ლა ლიგაში კი ყოველ 5 გაფრთხილებაზე დისკვალიფიკაციაა. სწორედ ამის გამო ვერ ითამაშებს დღეს **ჩაბი ალონსო**, ბასკმა სეზონში მე-10 გაფრთხილება მიიღო. ერთი ვარიანტია, ჟოზემ დაასვენოს კრიშტიანო და ფონს მის გარეშე გავიდეს, მეორე - თავად რონალდო იყოს მინდორზე ფრთხილად. ბასკის არყოფნაში ლა ლიგაში პირველი სტარტის შანსი თურქ **ნური შაჰინს** აქვს. **რიკარდო კარვალიო** ტრავმირებულია. მართალია, **მარსელომ** ვარჯიში განაახლა, მაგრამ მის ფლანგზე შეიძლება ისევ **ფაბიო კოენტრაო** ვიხილოთ.

**ხავიერ კლემენტეს** არ ეყოლება **გრეგორი, სებასტიან ეგურენი** და **კარმელო**. ოთხშაბათის მატჩებში მიკროტრავმები მიიღეს **ორფილამ, კანელიამ** და **ტრეხომ**, მაგრამ სამი... ვეს ვიხილავთ „სანტიაგო ... ზე".

### ფაქტ...

■ 17 ტურია, რაც „... მარცხებულა.

■ „ლოს მერენგესს" ... დება, რათა დაამხოს ... კორდი სეზონში გო... ვით (107 გოლი 1989/0... ზონში). არ გაგვიკ... ამას „სპორტინგთან" ... აღწევს „რეალი".

■ კრიშტიანო რონა... გოლი სარეკორდო ... მის ანგარიშზე 40 გ...

■ „სპორტინგმა" ბ... ტურში იმარჯვა.

■ შარშან **მიგელ დ... სის** გოლმა ხიხონელ... ბერნაბეუზე" 1:0 მო...

### სავარაუდო შემა...

**რეალი:** *კასილიასი - ... სერხიო რამოსი, ფ. კო... შაჰინი - იგუაინი, იოზ... ბენზემა.*

**სპორტინგი:** *ხუან პ... ბოტია, ერნანდესი, კან... ჩო კასესი - ტრეხო, კ... კუევასი - ბარალი.*

„ბარსა" ვალენსიაში ... ზედიზედ მე-11 მატჩ... ლიგაში. ჩემპიონს ... აქვს, წაფორხილებ... ტიტულის შენარჩუნ... ლიან შეუმცირდება ... „ლევანტეს" რამდენ...

# ...რ ნერია



...მა და მისმა სევილიამ საევროპო შანსები დაიბრუნეს

ვალეკანო), ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 13 - არუნა კონე (ლევანტე), რუბენ კასტრო (ბეტისი); 10 - კარლოს ველა (რეალ სოსიედადი), მანუ დელ მორალი (სევილია), ალექსის სანჩესი (ბარსელონა), ჩავი (ბარსელონა), ალვარო ნეგრედო (სევილია).

**ასისტენტები:** 14 - ლიონელ მესი (ბარსელონა), მესუთ იოზილი (გერმანია); 13 - ანხელ დი მარია (რეალი); 11 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 10 - დანი ალვეში (ბარსელონა); 9 - ხესუს ნავასი (სევილია); 8 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), ჩაბი ალონსო (რეალი), რაულ გარსია (ოსასუნა); 7 - კარლოს ველა (რეალ სოსიედადი), ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), კაკა (რეალი).

**გოლი + პასი:** 53 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 51 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 25 - გონსალო იგუაინი (რეალი); 23 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 22 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო).

**ზამორას ტროფეი:** 0,72 (გოლი/მატჩში) - ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა); 0,87 - იკერ კასილიასი (რეალი); 1,07 - ტიბო კურტუა (ატლეტიკო); 1,29 - მიგელ ანხელ მოია (ხეტაფე); 1,35 - ვილი კაბალიერო (მალაგა); 1,37 - გუსტავო მუნუა (ლევანტე).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ...ნალდო
## ...ე ჩაიგუბა

...ლის თამაში საეჭვოა (**კონე, ვენტა, ფარინოსი**), თუმცა გადაწყვეტილი, მხოლოდ **ასიერ დელ ორნოს** დანაკლისია. ნახევარმცველმა **ხუანლუმ**, შესაძლოა, დიდი შესვენების შემდეგ პირველად ითამაშოს. მან დეკემბერში მოიტეხა ფეხი.

ვალენსიაში გუნდთან ერთად მიემგზავრება **იბრაჰიმ აფელაი. ჟერარდ პიკეს** თამაში საეჭვოა.

**ფაქტები**

- „სიუტატ დე ვალენსიაზე" „ბარსამ" ბოლო 4 მატჩიდან 3 მოიგო.
- „ლევანტეს" ერთ-ერთი ლიდერი **ხავი ტორესი** „ბარსას" აღზრდილია. მას **გვარდიოლას** თავკაცობით ერთი-ორჯერ პირველ გუნდშიც უთამაშია (2009 წ.).
- თუ მოიგებს, პეპი **ფრანკ რაიკაარდს** გადაუსწრებს მოგებების რიცხვით. ახლა თანაბრად არიან (112 მოგება).
- **ანდრეს ინიესტა** „ბარსელონას" მაისურით მე-400-ედ ითამაშებს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლევანტე:** *მუნუა - ლოპესი, ბალესტეროსი, კაბრალი, ხუანფრანი - ტორესი, იბორა - ვალდო, ბარკერო, ბოტელიო - კონე.*

**ბარსელონა:** *ვალდესი - დანი ალვეში, მასკერანო, პუიოლი, ადრიანო - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - ფაბრეგასი, მესი, სანჩესი.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

● *სერია A XXXIII ტურის წინ*

**დღეს**

**მილანი-ჯენოა 20.00**

**დისკვალიფიკაცია:** მორეტი (ჯენოა).
**ტრავმა:** ვან ბომელი, აბატე, ტიაგო სილვა, ინძაგი, რომა, ბოატენგი, პატო, ამბროზინი – ანტონელი, კონსტანტი, ბელუსკი.

**უდინეზე-ინტერი 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** პინცი – სამუელი.
**ტრავმა:** ბენეტია, ფლორო ფლორესი, ბასტა, ბატოკიო, ბადუ, ისლა – მაიკონი, სნეიდერი, კასტაინოსი, სამუელი.

**ხვალ**

**ნოვარა-ლაციო 14.30**

**დისკვალიფიკაცია:** გარსია - მაური, კოზაკი.
**ტრავმა:** ლუდი, მარიანინი, უიკანი – დიასი, კლოზე, სტანკევიჩუსი, ლულიჩი, კონკო, რადუ.

**სიენა-ბოლონია 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პეგოლო, კონტინი (სიენა).
**ტრავმა:** ანჯელო, კალაიო – კრესპო, ანტონსონი, კაზარინი, კრხინი.

**ატალანტა-კიევო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** დენისი (ატალანტა).
**ტრავმა:** ბრიგი, მარილუნგო, კაპელი – დრამე, სარდო, გულანი, მოსკარდელი, ფაკინელი.

**ჩეზენა-იუვენტუსი 18.00**

**ტრავმა:** კომოტო, მარტინესი, პუდილი, იაკვინტა, ფონ ბერგენი, კალდერონი, პაროლო (ჩეზენა).

**ლეჩე-ნაპოლი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბლაზი – პანდევი.
**ტრავმა:** ჟულიო სერჟიო – როზატი, დონადელი, მაჯო.

**პალერმო-პარმა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ილიჩიჩი (პალერმო).
**ტრავმა:** აგუირეგერაი, ბალცარეტი, სილვესტრი, მილიაჩო, ასკუა – ფერარიო.

**რომა-ფიორენტინა 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** ამაური (ფიორენტინა).
**ტრავმა:** ბორინი, სიმპლისიო, ბურდისო, ჟუანი, გრეკო, კასეტი, ლობონტი – კროლდრუპი, ოლივერა, ვარგასი, კამპორეზე.

**ზეგ**

**კალიარი-კატანია 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** კარიცო (კატანია).
**ტრავმა:** დესენა, რუი სამპაიო, ერიკსონი - ბიაჯანტი, ალმირონი, პოტენცა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 32 | 18 | 14 | 0 | 53-18 | 68 |
| 2. მილანი | 32 | 20 | 7 | 5 | 62-26 | 67 |
| 3. ლაციო | 32 | 16 | 6 | 10 | 48-40 | 54 |
| 4. უდინეზე | 32 | 14 | 9 | 9 | 44-32 | 51 |
| 5. რომა | 32 | 15 | 5 | 12 | 52-42 | 50 |
| 6. ნაპოლი | 32 | 12 | 12 | 8 | 56-41 | 48 |
| 7. ინტერი | 32 | 14 | 6 | 12 | 47-45 | 48 |
| 8. კატანია | 32 | 10 | 13 | 9 | 42-43 | 43 |
| 9. კიევო | 32 | 11 | 9 | 12 | 30-40 | 42 |
| 10. ატალანტა | 32 | 11 | 13 | 8 | 37-34 | 40 |
| 11. პალერმო | 32 | 11 | 7 | 14 | 44-49 | 40 |
| 12. ბოლონია | 32 | 10 | 10 | 12 | 33-38 | 40 |
| 13. სიენა | 32 | 10 | 9 | 13 | 37-34 | 39 |
| 14. პარმა | 32 | 9 | 11 | 12 | 41-50 | 38 |
| 15. კალიარი | 32 | 9 | 11 | 12 | 33-39 | 38 |
| 16. ფიორენტინა | 32 | 9 | 10 | 13 | 32-38 | 37 |
| 17. ჯენოა | 32 | 9 | 9 | 14 | 43-58 | 36 |
| 18. ლეჩე | 32 | 8 | 10 | 14 | 37-48 | 34 |
| 19. ნოვარა | 32 | 5 | 10 | 17 | 27-54 | 25 |
| 20. ჩეზენა | 32 | 4 | 9 | 19 | 19-48 | 21 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 23 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 20 – დი ნატალე (უდინეზე), მილიტო (ინტერი); 19 - კავანი (ნაპოლი); 17 - პალასიო (ჯენოა).


ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსმა, ნესით, ჩეზენაშიც უნდა გაიხაროს

# იუვენტუსის მორიგი გამარჯვების მოლოდინში
## კალაძე კი სან სიროზე ბრუნდება

XXXIII ტური ორი საინტერესო მატჩით გაიხსნება: "სან სიროზე" "მილანი" "ჯენოას" მიიღებს, "სტადიო ფრიულიზე" კი "ინტერი" "უდინეზეს" ესტუმრება. მილანური მატჩი ქართველი გულშემატკივრისთვის განსაკუთრებულად საინტერესოა, რადგან **კახა კალაძეს** ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მოუწევს დაპირისპირება და თანაც მისთვის "მშობლიურ" სტადიონზე. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ფაქტორი იტალიაში ნაკლებად აქტუალურია და მთავარი ინტრიგა იმაში მდგომარეობს, მოიპოვებს თუ არა "როსონერი" ჰაერივით საჭირო სამ ქულას. **მასიმილიანო ალეგრის** გუნდი აშკარა ფავორიტია, მაგრამ თუ "მილანის" დღევანდელ ფორმას და ტრავმირებულ ფეხბურთელთა სიმრავლეს გავითვალისწინებთ, პროგნოზის გაკეთება არცთუ ისე ადვილია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. "გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, ალეგრი ჩვეულ 4-3-1-2 ტაქტიკას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე **ზლატან იბრაჰიმოვიჩისა** და **სტეფან ელ შაარავის** ტანდემს გაამწესებს, მათ უკან კი **ურბი ემანუელსონი** გაირჯება. ნახევარდაცვას შემდეგი სამეული გაამაგრებს: **ანტონიო ნოჩერინო, სალი მუნტარი, მარკ ვან ბომელი** – ეს უკანასკნელი ტრავმის შემდეგ უბრუნდება "მილანს" და ვნახოთ, როგორ წარმოაჩენს თავს. ხშირ შემთხვევაში, ჯენოა სამი ფორვარდით უტევს, მაგრამ "სან სიროზე" **ალბერტო მალეზანი** ფრთხილ ტაქტიკა-სტრატეგიას აირჩევს და მხოლოდ ორი თავდამსხმელით შეუტევს – **ალბერტო ჯილარდინო** სავარაუდოთ თადარიგში დარჩება, ძირითადში კი **როდრიგო პალასიო** და **ჯუზეპე სკული** გაირჯებიან. "ჯენოას" რომ "სან სიროზე" მალეზანი გაიყვანს, ცალკე აღნიშვნის ღირსია, მწრვთნელი, რომელიც რამდენიმე დღის წინ დაუბრუნდა გენუურ გუნდს. ვნახოთ, წინ მართლათ საინტერესო პაექრობა გველის...

სკუდეტოსთვის მებრძოლი მეორე გუნდი თავის შეხვედრას ხვალ გამართავს და ბუნებრივია, ეს მატჩიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. "იუვენტუსი" "ჩეზენას" ესტუმრება, გუნდს, რომელიც ფაქტობრივად გავარდნილია სერია B-ში და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ვერც "იუვეს" გაუწევს წინააღმდეგობას. მითუმეტეს, ტურინული გრანდი "დინო მანუციზე" სრული საბრძოლო შემადგენლობით ჩადის და თანაც, ამაღლებულ განწყობაზე. ტურინელთა ამაღლებული განწყობა "ლაციოსთან" ბრწყინვალე გამარჯვებამ განაპირობა, რასაც **ანტონიო კონტე** დღემდე ვერ ივიწყებს – მოვუსმინოთ "იუვეს" თავკაცს და შემდეგ, ორიოდე სიტყვა შემადგენლობაზეც ვთქვათ:

*"ლაციოსთან მოპოვებულმა გამარჯვებამ ძალიან დიდი სიხარული მოგვგვარა და აუცილებელია, რომ ამ ემოციისგან დროულად დავიცალოთ. თუ "ჩეზენასთან" მაქსიმალურად არ დავიხარჯებით, სასურველი შედეგის მიღწევა გაგვიჭირდება. პირველივე წუთებიდან შევუტევთ და ვეცდებით, რომ მეტოქე სტარტზევე გავტეხოთ. თუმცა, ისიც კარგად მესმის, რომ ამის გაკეთება იოლი არ იქნება. მედია, შაბათს "მილანი" ქულებს დაკარგავს და ამით, კიდევ უფრო დიდი სტიმული მოგვეცემა".*

"გაძეტა" დაჟინებით გვიმტკიცებს რომ კონტე შეტევაში **მირკო ვუჩინიჩის, სიმონე პეპესა** და **ფაბიო კვალიარელასგან** შემდგარ ტრიოს გაამწესებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ალესანდრო მატრი** ამჯერად სათადარიგოთა სკამზე დარჩება; ისევე როგორც **ალესანდრო დელ პიერო,** რომელიც "ლაციოსთან" მატჩის გმირი გახდა. "იუვე" აშკარა ფავორიტია, შესაძლოა იოლადაც მოიგოს, მაგრამ გირჩევთ, რომ არ გამოტოვოთ ეს შეხვედრა, "ბებერი ქალბატონი" ბოლო დროს ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობს და მისი ყურება ერთ რამედ ღირს.

ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი გუნდებიდან ყველაზე რთული მატჩი "უდინეზეს" ელის, რომელსაც თვით "ინტერი" ესტუმრება, მართალია დაბეჩავებული, მაგრამ მაინც "ინტერი". უდინელებს **ანტონიო დი ნატალე** სრულ მზადყოფნაში ჰყავთ, მილანელებს კი **დიეგო მილიტო** – ეჭვი გვაქვს, ბებერი ხარის რქები ისევ მოხნავენ, მაგრამ საკითხავია ისაა, რომელ აღმართს... **ანდრეა სტრამაჩონი** იქადნება, რომ "ინტერი" ფრიულიდან სამ ქულას წაიღებს, მაგრამ ასე მარტივად არ უნდა იყოს საქმე და უმჯობესია, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას. ბოლოს, "ლაციოს" შესახებ ვთქვათ ორიოდე სიტყვა, რომელსაც "ნოვარასთან" უწევს გასვლითი პაექრობა – თუმცა, სათქმელი ბევრი არაფერია, რომაელებს გამარჯვება მართებთ და თუ ვერ მოიგეს, არც ლიგის ღირსები ყოფილან. დანარჩენი უშუალოდ მოედნებზე გამოჩნდება და ისღა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას

**ლაშა წიკლაური**

---

● *რომა*

# ჟუანი: ფლამენგო ჯერ ადრეა

ბოლო დროს, აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სეზონის დასრულების შემდეგ, **ჟუანი** "რომას" დატოვებს და სამშობლოში დაბრუნდება, სადაც "ფლამენგოსთან" გააფორმებს ხელშეკრულებას. 33 წლის ბრაზილიელმა მცველმა კარიერა სწორედ "ფლაში" დაიწყო, შემდეგ ლევერკუზენის "ბაიერში" გადაბარგდა და ბოლოს სერია A-შიც ამოყო თავი. ჟუანი "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტს გაესაუბრა და მის "ფლამენგოში" შესაძლო დაბრუნებაზე კომენტარი გააკეთა:

*"არ გაგიკვირდებათ თუ ვიტყვი, რომ დღეს მხოლოდ სეზონის დასკვნით ნაწილზე ვარ კონცენტრირებული და დიდი სურვილი მაქვს, რომ "რომასთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვო. რაც შეეხება "ფლამენგოში" შესაძლო დაბრუნებას, ამის შესახებ საინტერესოს ვერაფერს გეტყვით, რადგან ბრაზილიიდან არავინ შემხმიანებია. ამ ეტაპზე, ევროპიდან აბარგება ნამდვილად არ მსურს, ისე კი "ფლამენგოში" კარიერის დასრულებაზე დიდი ხანია ვოცნებობ. თუმცა დღეს ჩემი გეგმები მაინც "რომას" უკავშირდება და დიდი იმედი მაქვს, რომ იტალიის დედაქალაქში კიდევ მინიმუმ ორი სეზონი დავრჩები".*




ჟუანი

**ლაშა წიკლაური**

ქართული სპორტის ლიდერები

# ანა ტატიშვილი: მიღწეულით არასდროს ვკმაყოფილდები

*მომავალ კვირას საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრები კაიროში „ფედერაციის თასის“ გათამაშებაში ჩაებმება ევროაფრიკული ჯგუფის მეორე ზონაში. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას სხვებთან ერთად დაიცავს მსოფლიო კლასიფიკაციით 85-ე და ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელი ანა ტატიშვილი, რომელიც ამჟამად თბილისში იმყოფება და ეგვიპტეში გამგზავრებამდე ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე ვარჯიშობს. ჩვენი საუბარიც იქ შედგა.*

— ინდივიდუალური ტურნირებისგან განსხვავებით, გუნდური შეჯიბრება მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს, რადგან შენ, ფაქტობრივად, საკუთარ თავს არ ეკუთვნი - ქვეყნის სპორტულ პრესტიჟთან ერთად თანაგუნდელების ინტერესებსაც იცავ, — გვითხრა ანამ. — კაიროში, როგორც ვიცი, თანაბარი ძალის ნაკრებები მოიყრიან თავს. მეტოქეების ვინაობას მხოლოდ სამშაბათს შევიტყობთ. ნებისმიერ შემთხვევაში ბრძოლა იოლი არ იქნება, მაგრამ გუნდის წევრები კაპიტანთან ერთად დიდი შემართებით ვართ და პირველ ლიგაში გადასასვლელად არაფერს დავიშურებთ...

**— ანა, კარგა ხანია, თბილისში არ ყოფილხარ. ამ კორტებზე ვარჯიშმა ბავშვობა ხომ არ გაგახსენა?**

— აბა, სხვაგვარად როგორ იქნება. ცნობილი მწვრთნელის ვიქტორ ბაქშის ხელმძღვანელობით მე ხომ აქედან გავიკაფე გზა დიდი ჩოგბურთისკენ. ორი დღეა, ვარჯიშებზე ისევ ბატონი ვიქტორი მიწევს კონსულტაციებს. დიდ სპორტში ჩემი დამკვალიანებელი კი მამაჩემია. უფროსი და თამთა რომ მიიყვანეს ჩოგბურთზე, მეც დავყვებოდი ვარჯიშებზე. ერთ დღეს მშობლებს ვუთხარი — მეც მიყიდეთ ჩოგანი და კორტებზე მატარეთ-მეთქი, რაც განსაკუთრებით მამას გაუხარდა. მაშინ ოთხი წლის ვიყავი, იქიდან მოყოლებული, 18 წელიწადია, კორტებს არ მოვშორებივარ. მამასთან ერთად 10 წლისა მაიამიში გავემგზავრე და თანატოლთა შორის სერიოზულ საერთაშორისო ტურნირში ვიასპარეზე — „ორანჯბოლის“ პირველობაში. მხოლოდ ორი შეხვედრა მოვიგე, მომდევნო წელს მეხუთე ადგილზე გავედი, 2002 წელს კი თორმეტწლიანებში მესამე ვიყავი. მაშინ გადაწყვიტეს მშობლებმა, ამერიკაში წავეყვანე სავარჯიშოდ. 2003 წლის შემოდგომაზე ფლორიდაში ჩავედით და სახელოვანი ჩოგბურთელის — კრის ევერტის აკადემიაში დავიწყე მეცადინეობა ენდი ბრენდის ხელმძღვანელობით.

**— როგორც ვიცი, ძალიან მალეც დაწინაურდი...**

— თხუთმეტი წლისა 18-წლიანთა ოცეულში შევდიოდი. სამი წელიწადი კიდევ შემეძლო თანატოლებში გამოსვლა, მაგრამ მამისა და მწვრთნელის რჩევით პროფესიონალებში გადავინაცვლე.

**— და იყო პირველი ხმაურიანი გამარჯვებაც.**

— იმ დღეს რა დამავიწყებს: ველური ბარათით მაიამის სამმილიონიანი ტურნირის ძირითად ბადეში დამიშვეს. სტარტზე მეტოქედ მაშინდელი მსოფლიოს კლასიფიკაციით, მგონი, 30-ე ადგილზე მყოფი ინდოელი სანია მირზა მერგო. წარმოიდგინეთ: 16 წლის ჯერ კიდევ გამოუცდელი გოგონა, დიდ არენაზე, მაყურებლებით სავსე ტრიბუნების წინ, საქვეყნოდ ცნობილი პროფესიონალის პირისპირ. თავი ზღაპარში მეგონა. დღემდე არ ვიცი, როგორ მოვთოკე ემოციები; ის კი მახსოვს, ორთაბრძოლა სამსაათ-ნახევარს გაგრძელდა. მესამე სეტში 7:6 ვძლიე მირზას. დაღლილობისა და სიხარულისგან ფეხზე ძლივს ვიდექი.

**— პროფესიული კარიერის განმავლობაში ერთეულთა შორის ექვსი და წყვილებში ოთხი ტურნირი მოიგე. ყველაზე მეტად, რომელი შეჯიბრება დაგამახსოვრდა?**

— შარშანდელი 100-ათასიანი ასპარეზობა, რომელიც იტალიურ კუნეოში გაიმართა. ფინალური პაექრობა ჰოლანდიელ არანტა რუსს მოვუგე და არა მარტო მთავარი პრიზი მოვიპოვე, არამედ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელ ქალთა ასეულში შევედი პირველად. უდიდესი სიხარული ვიგრძენი.

**— ფიქრობ, რომ მიზანს მიაღწიე?**

— მე ეს არ მითქვამს. მართალია, 100-ათასიან ტურნირში გამარჯვება დიდი ბედნიერებაა, მაგრამ მიღწეულით არასდროს ვკმაყოფილდები. მაქსიმუმამდე ჯერ კიდევ შორია. ჩემი ოცნებაა უიმბლდონის მოგება. მიზნისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევ. შარშან პირველ ასეულში შესვლა მქონდა დაგეგმილი და პირობა შევასრულე. წლეულს სეზონის ბოლომდე 50 საუკეთესოში უნდა მოვხვდე. მანამდე კი ლონდონის ოლიმპიური თამაშების საგზურის მოსაპოვებლად ვიბრძოლებ. საამისოდ ქულების დაგროვებაა საჭირო. ივნისის შუა რიცხვებამდე 6 დიდ ტურნირში მოვსინჯავ ძალებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლან გაროსია, რომელიც 27 მაისს იწყება. სწორედ საფრანგეთის ღია ჩემპიონატის შემდეგ დაითვლება იმ ჩოგბურთელთა რეიტინგი, რომლებსაც 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლის უფლება მიეცემა. საამისოდ კი დღევანდელი პოზიციიდან სულ მცირე 20 საფეხურით მაინც უნდა წავიწიო წინ.

**— პარიზთან უსიამოვნო მოგონებები ხომ არ გაკავშირებს?**

— შარშან პირველად ვიასპარეზე საფრანგეთის ღია პირველობაზე. სტარტზე წილისყრამ მასპინძელ მარიონ ბარტოლის შემახვედრა. რომ გავიგე, ცენტრალურ კორტზე როჯერ ფედერერის შემდეგ მიწევდა თამაში, ჩემი დამემართა. მოჭარბებული ემოციების მიუხედავად, პირველ სეტში მოვახერხე გამოცდილი მეტოქისთვის ჩემი თამაში მომეხვია თავს და ის ხელი 6:1 მოვიგე. მომდევნო სეტებში ჩემი შანსი ვერ გამოვიყენე და 2:6, 1:6 დავმარცხდი. ვეცდები, წლეულს უფრო თამამად ვითამაშო და ბოლომდე ვირწმუნო, რომ ყველა მოწინააღმდეგის დამარცხება შეიძლება.

**— საამისოდ კარგი ფსიქოლოგი მწვრთნელიც გჭირდება. ახლა ვისთან ვარჯიშობ?**

— როგორც გითხარით, კრის ევერტის აკადემიაში 16 წლამდე ენდი ბრენდი მამეცადინებდა. ის რომ წავიდა, ორი წელიწადი ხან ვისთან ვიყავი, ხან — ვისთან. ახლა, როცა ფლორიდაში ჩავდივარ, გაკვეთილებს იენ მეირისგან ვიღებ, რომელიც მეხუთე წელიწადია მავარჯიშებს. შეჯიბრებებზე კი მამა დამყვება. მე ხომ უფრო ხშირად ტურნირებზე ვარ და გვერდით ერთგული ადამიანი მჭირდება. ფლორიდაში საწვრთნელად ისევ კრის ევერტის აკადემიის კორტებს ვიყენებ, ორიოდე წუთის სავალზეა ჩემი სახლიდან, თანაც ევერტთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს.

> საფრანგეთის ღია ჩემპიონატის შემდეგ დაითვლება იმ ჩოგბურთელთა რეიტინგი, რომლებსაც 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლის უფლება მიეცემა. საამისოდ კი დღევანდელი პოზიციიდან სულ მცირე 20 საფეხურით მაინც უნდა წავიწიო წინ.

**— ფლორიდაში მამასთან ერთად ცხოვრობ?**

— არა, დედაც და ჩემი დაც იქ არიან. ასე რომ, ოჯახური სითბო არ მაკლია.

**— ალბათ, არც ქართული კერძები გენატრება.**

— ნამდვილად არა, როცა ერთად ვართ, დედა ჩვენებური კერძებით გვანებივრებს.

**— მახსოვს, ათი წლის ანა ტატიშვილს რომ ვკითხე, ვის ქომაგობ-მეთქი, დაუფიქრებლად მიპასუხა — შუმახერსო. დიდი ანაც „ფორმულა-1“-ის გულშემატკივარია?**

— დრონი იცვალნენ. დღეს ჩემი კერპია როჯერ ფედერერი. ტურნირებზე ხშირად ვხვდები ხოლმე. რამდენად დიდი ტალანტი და სახელოვანია, იმდენად თავმდაბალი პიროვნებაა. ყველას მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობა. არა მგონია, არსებობდეს ადამიანი, ვისაც როჯერი არ უყვარს.

**— ჩოგბურთის გარდა, რა გიტაცებს?**

— ფეხბურთი, კალათბურთი, თუმცა ტელევიზორში თუ ვუყურებ ხოლმე, ისიც იშვიათად. ბოლო დროს ხშირად მიწევს ერთი ქალაქიდან მეორეში გადაფრენა, დაძაბული ვარ. ძალების აღსადგენად სიმყუდროვე მჭირდება. როცა თავისუფალი დრო მაქვს, უფრო წიგნებს ვკითხულობ, ვუსმენ მუსიკას, ძალიან მიყვარს დედასთან და დასთან ერთად ყოფნა, ხშირად მენატრება თბილისი, ნათესავები, მეგობრები. მათ მოსანახულებლად, სამწუხაროდ, დრო ცოტა მრჩება.

**— გუშინ კორტებიდან ცნობილ კალათბურთელ ნოდარ ქორქიასთან ერთად გახვედი.**

— ბატონი ნოდარი ჩემი ნათლიაა. ტაძარში ვიყავით. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და სრულიად საქართველოს ხვალინდელი დღე — აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მივულოცო. ქრისტე აღდგა!

**— ჭეშმარიტად!**

**ვაჟა დანელია**





მარცხნიდან - დიმიტრი ტატიშვილი, ანა ტატიშვილი და ფრედ კროლი

ბატუტზე ხტომა

# გოლოვინა ფინალშია

რუსულ სანკტ-პეტერბურგში გრძელდება ბატუტზე მხტომელთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველი სპორტსმენებიც მონაწილეობენ. უკვე გაუწყეთ, რომ ახალგაზრდებში **ანა ოდიშვილი,** რომელიც 12-წლიანთა შორის 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონია, ინდივიდუალურ ხტომებში მესამე შედეგით შევიდა ფინალში. მანვე **თეონა ჯანჯღავასთან** ერთად სინქრონულ ხტომებში საკვალიფიკაციო ეტაპზე მე-5 ადგილი დაიკავა და დღეს ამ სახეობაშიც მედლებისთვის იბრძოლებს. ნევისპირა ქალაქიდან გუშინ კიდევ ერთი სასიხარულო ინფორმაცია მივიღეთ: პეკინის ოლიმპიადის მეექვსეადგილოსანმა, ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიატმა **ლუბა გოლოვინამ** შესანიშნავად შეასრულა ვარჯიშები, 101.660 ქულით პირველი ადგილი დაიკავა (მეორე-მესამე ადგილებზე ბრიტანელი ამანდა პარკერი-100.075 და პორტუგალიელი ანა პენტე-99.605 გავიდნენ) და ფინალში ოქროსთვის დაუპირისპირდება მეტოქეებს. უფროსებში მას ევროპის ჩემპიონატის მედალი ჯერ არ მოუპოვებია, ახალგაზრდებში კი კონტინენტის ჩემპიონიცაა და მსოფლიოსიც. საგულისხმოა, რომ სანკტ-პეტერბურგში გამგზავრებამდე ორი კვირით ადრე ლუბამ ეროვნული ჩემპიონატი მოიგო, მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ოდიშვილი და ჯანჯღავა გავიდნენ, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენებურთაგან სწორედ ეს სამეული შემორჩა მედლებისთვის მებრძოლთა რიგებს.

გუშინ ქალთა შორის იასპარეზა სინქრონულ ხტომებში შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა (ახალგაზრდებში) **თამარ კაკაშვილმა,** რომელმაც 86.970 ქულით 33-ე ადგილი დაიკავა. ფინალში ვერ მოხვდა ოლიმპიური ჩემპიონი **ანა დოღონაძეც** (გერმანია), რომელიც 98.025 ქულით მე-10 იყო, სამაგიეროდ, იგი სინქრონულში იბრძოლებს ტიტულის შესანარჩუნებლად.

მძიმე ტრავმის შემდეგ პირველად გამოვიდა სარბიელზე **თენგიზ კოშკაძე.** 50 მონაწილეს შორის მას 38-ე შედეგი (76.405) ჰქონდა. საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველი ადგილი დმიტრი უშაკოვმა (რუსეთი, 112.350) დაიკავა.

ნევისპირა ქალაქში დღეს ევროპის ჩემპიონატის ფინალური პაექრობები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო



მარცხნიდან-ანა ოდიშვილი, ლუბა გოლოვინა და თეონა ჯანჯღავა

ჭადრაკი

**ჩინეთში** 10 დიდოსტატის მონაწილეობით გრძელდება მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი,რომელშიც **ბელა ხოტენაშვილიც** იბრძვის საპრიზო ადგილისთვის. გუშინ მე-4 ტურში მან მასპინძელი გუ სიაობინი დაამარცხა და 2,5 ქულას მოუყარა თავი. ტურის დანარჩენ ორთაბრძოლებში დაზავდნენ თანაგუნდელები ცზიუ ვენძიუნი და ჟაო სიუ (ისინი გუნდურში მსოფლიოს ჩემპიონები არიან), ჰუან ქიანი-მარია მუზიჩუკი, ჟან სიაოვენი-დინ ისინი, ხოლო ჩინეთის ნაკრების წევრმა თან ჟაომ შენ იანი დაამარცხა.

**ოთხი ტურის შემდეგ:** **ვენძიუნი, ისინი-3-3, ჟაო სიუ, ხოტენაშვილი-2,5-2,5, მუზიჩუკი, სიაოვენი, ჟონი-2-2, ქიანი-1,5, შენ იანი-1, სიაობინი-0,5 ქულა.**

**დღეს მე-5 ტურში ითამაშებენ:** **მუზიჩუკი-შენ იანი, ჟაო სიუ-ქიანი, სიაობინი-ვენძიუნი, ისინი-ხოტენაშვილი, ჟონი-სიაოვენი.**

ტურნირზე ხვალ დასვენების დღეა.

**ვაჟა დანელია**



ბელა ხოტენაშვილი

მილოცვა

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია და თბილისის მერიის მ. გეგელიას სახელობის სპორტული აკრობატიკის ცენტრი, დაბადების 60 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს სპორტულ აკრობატიკაში საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს **თამაზ ბუზიაშვილს.**

## ქართული სპორტი

● არა არს რა დაფარული...

ალექსანდრე ჯინორიძის რუბრიკა

# აქა ამბავი ბასკების ვიზიტისა საბჭოეთში

ბოროტების იმპერიის'' საოცარი დოკუმენტი გამოქვეყნდა ათიოდე წლის წინათ და მასთან დაკავშირებით რუსმა რეჟისორმა ვ. კონოვალოვმა ფილმიც კი გადაიღო. მოხდა კი შემდეგი: 1937 წლის ბასკი ფეხბურთელების ლეგენდარულმა ტურნემ დაანახა მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს გულშემატკივრებს, თუ როგორ უნდა ფეხბურთის თამაში. ეს არც არის გასაკვირი. 1934 წლის მეორე მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ესპანეთის გუნდის ელიტას, სწორედ ბასკები შეადგენდნენ და იმ ჩემპიონატში ესპანელთა უკლებლივ ყველა ბურთი სწორედ მათ გაიტანეს. გავიხსენოთ: ლანგარა, ძმები რეგეიროები, ბლასკო, გორროსტიცა... პროლეტარების ქვეყანის სტუმრებს ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოუგო, ერთის გარდა - ეს იყო მოსკოვის'"სპარტაკი"'' (ფაქტობრივად სსრკ-ის ნაკრები).

მოგებაც არის და მოგებაც. რუსი მსაჯი კოსმაჩოვი საგანგებო დავალებათა კომისარს უფრო დაემსგავსა, ვიდრე რეფერის. იმის აღწერა, თუ რა ხდებოდა მოედანზე (6:2 მასპინძელთა სასარგებლოდ), ჩვენ არ შევუდგებით. მხოლოდ ერთ ეპიზოდს მოვიყვანთ, აღშფოთებულმა ბასკებმა 57-ე წუთზე თამაში შეწყვიტეს და სამთავრობო ლოჟის წინ ჩამწკრივდნენ (ლოჟაში მასპინძელ კომუნისტ ბოსებთან ერთად, ესპანეთის რესპუბლიკური სოცინტერნაციონალისტთა მიმდევარი ხელმძღვანელებიც ისხდნენ). რის ვაი-ვაგლახით და ვ. მოლოტოვის პირადი ჩარევის შედეგად ეს აქცია შეწყდა.

მთავარი ნივთმტკიცება კი მარქსისტთა ამ სპორტძმობისა არის კრემლში, ცკ-ში შექმნილი დოკუმენტი, რომელიც კოსარევს, სსრკ სპორტხელმძღვანელს, მატჩის წინ გადაეცა. ამ დოკუმენტში შავით თეთრზე ეწერა, რომ თუ საჭირო გახდა, ბასკების უძლიერესი ფეხბურთელებისთვის ფეხები უნდა მოემტვრიათ...!!! ტექსტში პირდაპირ ასე სწერია —'"ვიბიტ!"'

ბასკთა საბედნიეროდ მასპინძლებს ამგვარი "სპეცოპერაციის" ჩატარება არ დასჭირდათ - კოსმაჩოვმა სასტვენის მეშვეობით მოაგვარა დავალებული საქმე.

● რეგიონი. ძიუდო

# ჯერ პირველი, მომავალში — ტრადიციული!



საქართველოს რაიონებისა და ქალაქების ძიუდოს სკოლების 400-მდე რჩეულ სპორტსმენთა მონაწილეობით გურჯაანის სპორტულ კომპლექსში გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გივი პაპოშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კადეტ ძიუდოისტთა ტურნირი 10 წონით კატეგორიაში.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით ჩატარებული ეს ასპარეზობა ტრადიციული გახდება — ყოველ წელს აპრილის დასაწყისში გაიმართება. პირველ ტურნირს საქართველოს კადეტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი **ნესტორ ხერგიანი** ესწრებოდა.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს:**

**38 კგ.** 1. ვაჟა ბუბუნაური (დედოფლისწყარო), 2. გურამ ქიტესაშვილი (ახმეტა), 3. გიორგი ნიკლაური (ყვარელი), ილია შიოშვილი (ახმეტა).

**42 კგ.** 1. ელგუჯა ბარბაქაძე (რუსთავი), 2. ირაკლი ხერგიანი (თბილისი), 3. თორნიკე ტიტვინიძე (ქარელი), გუგა ტუგულაშვილი (ახმეტა).

**45 კგ.** 1. ზურა ლომიაშვილი (ახმეტა), 2. ლაშა მლებრიშვილი (გურჯაანი), 3. ვალერი ვალაშვილი (ახმეტა), გიორგი ასანიძე (რუსთავი).

**50 კგ.** 1. დავით გეჯაძე, 2. რობიკო ბეგლარიშვილი (ორივე — კასპი), 3. გიორგი სუხოშვილი (ახმეტა), ტატო მოსახლიშვილი (თელავი).

**55 კგ.** 1. ნიკა ლაბაძე (ლაგოდეხი), 2. ალუდა ჩეკურიშვილი (გურჯაანი), 3. ფირუზ გეთიაშვილი (ახმეტა), ომარ ქაჭარელიშვილი (ყვარელი).

**60 კგ.** 1. ბექა ტერტერაშვილი (საგარეჯო), 2. შმაგი პაიჭაშვილი (გურჯაანი), 3. ონისე სანებლიძე (თბილისი), იმედა გოგოლაძე (ლაგოდეხი).

**66 კგ.** 1. სიმონ მამარდაშვილი (საგარეჯო), 2. ვასო ბალაბანაშვილი (თბილისი), 3. ალექსი ქიტიაშვილი (ხაშური), გიორგი ქევხიშვილი (თბილისი).

**73 კგ.** 1. გიორგი მუმლაძე, 2. დათო იმერლიშვილი, 3. ნიკა სიდამონიძე (სამივე — ქარელი), ოთარ მუმლაძე (თბილისი).

**81 კგ.** 1. ნიკა სისვაძე (თბილისი), 2. სოსო ბაზიერაშვილი (გურჯაანი), 3. ვაჟა კაკელაშვილი (სამაჩაბლო, წეროვანი) ელდარ ჯიქიძე (საგარეჯო).

**მძიმე(+81).** 1. დათო რაზმაძე, 2. თომა თევდორაშვილი (ორივე — თელავი, 3. დათო ჭინჭარაძე ("შევარდენი", თბილისი), გიორგი თადიაშვილი (ყვარელი).

**ლელა ხეჩოშვილი**
გურჯაანიდან

● ჩოგბურთი

# ტურნირები მოილიეს

სანაკრებო პაუზის წინ **სოფიო შაფათავამ** ამერიკულ პელამში (ალაბამას შტატი) იასპარეზა, სადაც 25-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში გააღწია. 23 წლის ქართველმა საკვალიფიკაციო ტურნირში ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა ამერიკელი **კაროლინ დეილი** - 6:2, 7:5, ჩინელი **დი ჟაო** - 7:6 (3), 5:7, 6:1 და კანადელი **ეუგენ ბუჩერდი** - 6:4, 1:6, 6:2. სამწუხაროდ, სოფიომ ძირითად ბადეში პირველივე შეხვედრა დათმო **შელბი როჯერსთან** (425) - 4:6, 4:6.

**სოფიო ქვაცაბაია**, რომელიც ასევე საქართველოს ნაკრებშია გამოძახებული, იტალიურ პომეციაში (10 ათასი დოლარი) თამაშობდა. პირველ წრეში ჩვენმა თანამემამულემ **ანდრეა ვაიდეანუს** (იტალია) მოუგო - 4:6, 6:4, 7:5, მაგრამ შემდეგ **ანასტასია გრიმალსკასთან** (იტალია) წააგო - 7:6 (4), 2:6, 2:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


## FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".


# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

● ოლიმპიური ფილატელია




● პირველი, პირველმა, პირველად...

■ ■ ■

**პირველი** არგენტინული გუნდი, რომელიც ევროპას ეწვია, იყო სხვა კლუბის 5 ფეხბურთელით გაძლიერებული „ბოკა ხუნიორსი". გუნდმა საფრანგეთსა და ესპანეთში 20-ზე მეტი შეხვედრა გამართა. აქედან მხოლოდ 3 მატჩი წააგო.

■ ■ ■

**პირველმა** სიმაღლეზე ხტომაში ტრადიციული სტილი უარყო და თამასას ზურგით გადაევლო ამერიკელი მძლეოსანი, 21 წლის **რიჩარდ (დიკ) ფოსბერი.** იგი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ხტომის ახალი სტილი კი მთელ მსოფლიოში მისი სახელით გავრცელდა.

■ ■ ■

**პირველად** ულტრათანამედროვე მეთოდით ოლიმპიური ჩირაღდანი აინთო 1976 წელს მონრეალში. მორბენალთა მიერ ოლიმპიადიდან ათენში ჩატანილი ჩირაღდნიდან ანთებული ცეცხლის ალი ელექტრონულ სიგნალად იქცა და თანამგზავრის მეშვეობით, ფაქტობრივად იმავდროულად ოტავაში, კანადის პარლამენტის წინ აგიზგიზდა...

● ვიქტორინა

**1. რომელ წელს ჩატარდა პირველად ლეგენდარული რეგატა ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტ ნიჩბოსნებს შორის?**

ა — 1829 წელს
ბ — 1889 წელს
გ — 1911 წელს

**2. რომელ ქალაქში დაარბიეს ოლიმპიური თამაშების გახსნამდე 10 დღით ადრე თამაშების საწინააღმდეგო სტუდენტთა მრავალათასიანი მიტინგი?**

ა — მელბურნში
ბ — ტოკიოში
გ — მეხიკოში

**3. მსოფლიოს რამდენგზის ჩემპიონია მოჭადრაკე გარი კასპაროვი?**

ა — ოთხგზის
ბ — ხუთგზის
გ — შვიდგზის

**4. რას ნიშნავს ტერმინი „კატა"?**

ა — კარატეს ნაირსახეობას
ბ — ორთაბრძოლების კომპლექსს
გ — საბრძოლო მოძრაობა - მოქმედების კომპლექსს

**5. ევროპის ჩემპიონთა თასის რამდენგზის მფლობელია გერმანიის საფეხბურთო კლუბი „ბაიერნი"?**

ა — ოთხგზის
ბ — ექვსგზის
გ — შვიდგზის

● ნაკლებად ცნობილი თამაშები

# სქვოში



**სქვოში** თამაშია ჩოგნითა და ბურთით. გავრცელებულია ორი ძირითადი ნაირსახეობა: სქვოშ-ჩოგანი (Suash Rackets) და სქვოშ-ჩოგბურთი (Squash Tennis). თამაშის წესები თითქმის ერთნაირია. ერთი და იგივეა მოედანიც, მაგრამ აღჭურვილობა სხვადასხვაა. პირველ სახეობაში ბადმინტონის ტიპის ჩოგნებს იყენებენ, მეორეში — ჩოგბურთისას. განსხვავებულია ბურთებიც. სქვოში ლონდონში, ჰაროუს სკოლაში ჩაისახა 1820-1840 წლებში. მეორე ვერსიით, ეს თამაში გაჩნდა ე.წ. მცურავ-ციხეებში, ანუ გემებზე, რომლებითაც პატიმრები ავსტრალიაში გადაჰყავდათ.

1880-იან წლებში სქვოში ინგლისში იმდენად პოპულარული გახდა, რომ სპეციალური კორტების აგება დაიწყეს. ინგლისშივე ჩამოყალიბდა პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია და პროფესიონალური ლიგა. 1929 წელს შეიქმნა სქვოშის ასოციაცია ხელმძღვანელი ორგანო მთელ მსოფლიოში. 1969 წლიდან მისი ფუნქციები საერთაშორისო ფედერაციას დაეკისრა.

ამჟამად სქვოშ-ჩოგანი განსაკუთრებით გავრცელებულია ინგლისში, პაკისტანსა და ავსტრალიაში. მსოფლიოს ღია ჩემპიონატები გუნდებს შორის ტარდება 1967 წლიდან, ხოლო ერთეულთა შორის — 1975-იდან. არის აგრეთვე სხვა პრესტიჟული შეჯიბრებებიც.

შეხვედრაში მონაწილეობს ორი ან ოთხი კაცი კედლებით გარშემორტყმულ 10X5,5 მ ზომის მართკუთხა კორტზე. მეტოქეები მხარდამხარ თამაშობენ. თამაში იწყება ბურთის მეტოქის ნახევარზე ჩაწოდებით. ქულებს მხოლოდ ჩამწოდებელი იგებს, მომგერიებელი კი ცდილობს ჩაწოდების უფლება მოიპოვოს, ამერიკული წესებით, ქულები ორივე მხარეს ერიცხება. მოწინააღმდეგეებმა მონაცვლეობით ისე უნდა დაარტყან ბურთს ჩოგანი, რომ ყოველი დარტყმის შემდეგ წინა კედელს შეეხოს. მიზანი ის არის, რომ მეტოქემ დარტყმისას შეცდომა დაუშვას ან საერთოდ ვერ შეძლოს ბურთის მოგერიება. ქულა მოგებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ კედლიდან ასხლეტილი ბურთი ორჯერ მაინც შეეხება იატაკს სანამ მეტოქე დაარტყამდეს. გეიმი 9 ქულამდე გრძელდება, თამაში კი 5 გეიმისგან შედგება.

1979 წელს გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც მას შემდეგ ყოველწლიურად ტარდება.

● თარიღი 14-20 აპრილი

**14. 1912 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „სანტოსი". დაარსებიდან 100 წელი.

**15. 1896 წ.** ათენში (საბერძნეთი) საზეიმოდ დაიხურა თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები.

**16. 1894 წ.** დაარსდა საფეხბურთო კლუბი „მანჩესტერ სიტი" (ინგლისი).

**16. 1960 წ.** დაიბადა **პიერ ლიტბარსკი** — ფეხბურთი (გერმანია).

**17. 1916 წ.** დაიბადა **ელენიო ერერა** — ფეხბურთი (მწვრთნელი, ესპანეთი).

**17. 1951 წ.** დაიბადა **ჰორსტ ჰრუბეში**— ფეხბურთი (გერმანია).

**18. 1985 წ.** დაიბადა **ლუკაშ ფაბიანსკი** — ფეხბურთი (პოლონეთი).

**19. 1953 წ.** დაიბადა **სარა სიმეონი** — მძლეოსნობა (სიმაღლეზე ხტომა, იტალია).

**19. 1969 წ.** დაიბადა **ჟუჟა პოლგარი** — ჭადრაკი (უნგრეთი).

**19. 1972 წ.** დაიბადა **რივალდო** — ფეხბურთი (ბრაზილია).

**19. 1990 წ.** უეფას პრეზიდენტად აირჩიეს **ლენარტ იუჰანსონი** (შვედეთი).

**20. 1920 წ.** ანტვერპენში (ბელგია) გაიხსნა ზაფხულის VII ოლიმპიური თამაშები.

**20. 1950 წ.** დაიბადა **მანუელ უმბერტო** — ფეხბურთი (პორტუგალია).

**20. 1974 წ.** დაიბადა **ადრიან ილიე** — ფეხბურთი (რუმინეთი).

**შენიშვნა:** *ქართული სპორტის ღირსსახსოვარი თარიღები ქვეყნდება ხუთშაბათობით „ქართული სპორტის ქრონიკებში".*

● კვიმატი ობიექტივი



ქართული სპორტი

● წინასადრაფტოდ

# შენგელია, გოლდენ სტეიტი, ფილადელფია



**დოსიე**

**თორნიკე შენგელია**

| შარლერუა (ბელგია) | | კარიერა |
|---|---|---|
| დაიბადა: 05.10.1991 | 2008-10 | ვალენსია (ესპანეთი) |
| სიმაღლე: 207 სმ; წონა: 100 კგ | 2010-11 | სპირუ (ბელგია) |
| ამპლუა: ფორვარდი | 2011-12 | შარლერუა (ბელგია) |

საქართველოს ნაკრებისა და ბელგიური „შარლერუას" ფორვარდ **თორნიკე შენგელიას** დიდი ხანია, NBA-ს სკაუტები აკვირდებიან. იგი გასულ წელს დრაფტზეც დადგა, მაგრამ კანდიდატურა დაწყებამდე მოხსნა.

მას მერე თორნიკემ უმაღლესი რანგის ტურნირებში არაერთი ეფექტური მატჩი ჩაატარა. ვგულისხმობთ ევროპის ჩემპიონატსა და ევროლიგას. ევრობასკეტზე საშუალოდ 20.5 წუთში 8.8 ქულასა და 4.6 მოხსნას აგროვებდა, ხოლო ევროლიგაზე 20.4 წუთში 8.3 ქულასა და 4.3 მოხსნას. იმასაც გეტყვით, რომ ივლისში შენგელიამ საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანა (29.9 ქულა, 12 მოხსნა).

ლოგიკურია, რომ ასეთი თამაშის შემდეგ 20 წლის ქართველი ახალგაზრდისადმი NBA-ს დამკვირვებლების ყურადღება კიდევ უფრო გაიზრდებოდა, რაც საგაზეთო სტატიებშიც აისახა. ამერიკელები 2012 წლის დრაფტზე უკვე სერიოზულად მსჯელობენ, აანალიზებენ, რომელ გუნდს რა პოზიციაზე სჭირდება კალათბურთელი და რომელი ახალგაზრდაა დრაფტზე არჩევის შესაფერისი კანდიდატი.

გაზეთების, „სან ფრანცისკო ქრონიკლისა" და „ბლიჩერეპორტის" გვერდებზე ქართული გვარი უკვე მოხვდა. „ქრონიკლიში" ლაპარაკია „გოლდენ სტეიტ უორიორსის" სადრაფტო არჩევანზე. ჩამოთვლილია რამდენიმე პოზიციის კალათბურთელი, მათ შორის სამი ფორვარდია: **სერგეი კარასიოვი** (რუსეთი), **ევან ფურნიე** (საფრანგეთი) და თორნიკე შენგელია (საქართველო).

ჩვენიანზე ვრცლად წერია „ბლიჩერეპორტში":

„აღმოსავლეთის კონფერენციის წარმომადგენელ „ფილადელფიას" დრაფტზე სამი კალათბურთელის არჩევა შეუძლია: მე-18, 48-ე და 49-ე ნომრებად...

49-ე ნომრად ფილადელფიელებს ფართო არჩევანი აქვთ, თუმცა ისიც არ არის გამორიცხული, რომ გათვლა მომავალზე გააკეთონ: აიყვანონ მოთამაშე და ზრდისთვის ევროპაში გაგზავნონ.

ყველაზე კარგი ვარიანტი 207 სმ სიმაღლის ქართველი თავდამსხმელი თორნიკე შენგელიაა. იგი შავ სამუშაოსაც ასრულებს და შემოქმედებითი თვალსაზრისითაც გამოირჩევა, ფიზიკურად ძლიერი და აგრესიულია.

20 წლის ახალგაზრდა თუ ევროლიგაზე ერთ-ორ წელს კიდევ გაატარებს, NBA-ში უფრო მომზადებული შეაბიჯებს."

**ვაჟა სიმონიშვილი**

● დიდი სპორტის კარიბჭესთან

# კოკაურის სტიმული და შანსი

ბუქარესტში დასრულებულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე სამბოში, მძიმეწონოსანი **უტა კოკაური** ვერცხლის პრიზიორი გახდა. გორელი ფალავანი უკანასკნელ წლებში ადგილობრივი საჭიდაო სკოლის ერთ-ერთ იმედად ითვლება. კონტინენტის ჩემპიონატამდე ცოტა ხნით ადრე უტამ საქართველოს ახალგაზრდული პირველობა მოიგო სამბოში, თუმცა საშინაო არენაზე ასეთი წარმატება მისთვის უცხო არაა - იგი საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატების გამარჯვებულია სამბოში, ქართულსა და ძიუდოში. ძიუდოში სამჯერ ზედიზედ მოიპოვა ოქროს მედლი, თანაც სულ სუფთა გამარჯვებებით! გორის ჭიდაობის კომპლექსურ სკოლაში მწვრთნელებთან **ანზორ თენაძესთან** და **ნიკო ბიბილაშვილთან** სამივე სახეობის ჩოხიან ჭიდაობაში ვარჯიშობს.

მის ტალანტზე პირველივე მოგებული საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატიდან ალაპარაკდნენ სპეციალისტები. ზემოაღნიშნული წარმატებებიდან გამომდინარე, უკმაყოფილო რასაკვირველია ვერ იქნებოდა და ახალგაზრდულ ნაკრებშიც სისტემატიურად იწვევდნენ. მართალია, საერთაშორისო ტურნირებს იგებდა ან საპრიზო ადგილებზე გადიოდა, მაგრამ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ხელმოცარული რჩებოდა. ნავსი სამბოში რუმინეთის არენაზე გატყდა. *„ჩემპიონატის პირველი შეხვედრა უკრაინელ სპორტსმენს წმინდად მოვუგე, მერე რუსიც ჩამოვიცილე გ ზიდან, ფინალში კი 8 : 0 ვიგებდი, მაგრამ, სამწუხაროდ, მტკივნეულ ილეთზე მოვყევი და დავმარცხდი. თუ გავითვალისწინებთ, რომ სამბოში ეს პირველი შეჯიბრება იყო საერთაშორისო ასპარეზზე, მიუხედავად ვერცხლის მედლისა, შედეგით უკმაყოფილო ვერ ვიქნები"* - გვითხრა კოკაურმა.

*„კოკაურს შეუძლია საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული მოჭიდავე გახდეს, მიუხედავად იმისა, რომ ძიუდოში ჯერ სათანადოდ ვერ გაიხსნა"* - ამბობს **გურამ პაპიტაშვილი.** ძიუდოში ბოლოს საქართველოს ჩემპიონატზე დიდებში, რომელიც მისთვის უფროსთა შორის სადებიუტო შეჯიბრება იყო, კვარცხლბეკს მიღმა დარჩა. თუმცა მაისში, სარეიტინგო პირველობაზე, კიდევ ექნება გამოსწორების შანსი. *„კოკაურს საქართველოს ჩემპიონატზეც სულ ცოტა დააკლდა კვარცხლბეკამდე. მესამე ადგილისათვის შეხვედრაში ლევან მატიაშვილს ქულებით უგებდა, მეტოქეს გაფრთხილებაც ჰქონდა მიღებული, თუმცა დამთავრებამდე 15-20 წამით ადრე ყურადღება მოადუნა და დამარცხდა. ერთხელ ასე დაემართა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც. ახლა სამბოში კონტინენტის ჩემპიონატის ფინალშიც კარგად დაწყებული შეხვედრა დათმო. თუმცა მე მჯერა მისი შესაძლებლობების. ოღონდ, უნდა გამოიმუშაოს ნებისყოფა, რომ შეხვედრის ბოლომდე კონცენტრაცია არ დაკარგოს და ბოლომდე იბრძოლოს. ვარჯიშებზე არათუ ზარმაცობს, პირიქით, სულ შრომობს და მოტივაციაც არ აკლია"* - გვითხრა მისმა მწვრთნელმა ანზორ თენაძემ.

წლეულს, ჭაბუკთა და ახალგაზრდების დარად, ძიუდოში საქართველოს სარეიტინგო ტურნირი დიდებშიც გაიმართება. იქ იმ სპორტსმენებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატზე შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინეს, საშუალება მიეცემათ დაამტკიცონ თავიანთი ძალა. უტა მათ რიცხვშია *„გულმოდგინედ ვემზადები ამ ტურნირისთვის. მინდა ძიუდოში დიდებშიც წარმატებით გადავდგა პირველი ნაბიჯები"* - ამბობს იგი. აზრის გამოთქმა გამოცდილ გორელ სპეციალისტს **გივი ზაუტაშვილსაც** ვთხოვეთ: *„კოკაური უდავოდ პერსპექტიული მოჭიდავეა. სამივე სახეობის ჩოხიან ჭიდაობაში რიგიანად ასპარეზობს. მისი მწვრთნელები ცდას არ აკლებენ, რომ შედეგები საერთაშორისო ასპარეზზეც შთამბეჭდავი ჰქონდეს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ჯერ 20 წლისაა და ამ ასაკში არაერთხელ მინახავს მოჭიდავეები (განსაკუთრებით მძიმეწონოსნები), ჯერ ისევ მხოლოდ პირადი მწვრთნელის ახსნილი რომ ესმით კარგად, ნაკრების მწვრთნელის დარიგებულს კი სრულყოფილად ვერ აღიქვამენ. ცოტაც ვადროვოთ და იგი აუცილებლად გახდება ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი ლიდერთაგანი"* - გვითხრა მან.

**ვასილ ბალახაძე**

დავით ასპანიძის ფოტო



უტა კოკაური გორში ვარჯიშზე

● საქართველოს ჩემპიონატი ქალთა შორის

# ოლიმპი თუ ზესტაფონი?

**ახმეტა-ზესტაფონი 49:80**

8:23, 19:21, 9:18, 13:18

ახმეტა: ზარავანდაშვილი (10ქ, 14მ), ნ. ხოხობაშვილი, ნ. მამუკელაშვილი (23ქ, 4ჩ), მ. მამუკელაშვილი, თ. ხოხობაშვილი (14ქ, 10მ, 6ჩ), მ. ხოხობაშვილი (2ქ, 7მ), ჯულაშვილი, მარუქაშვილი.

ზესტაფონი: კვირიკაძე (7ქ, 4პ), გრიგალაშვილი (2ქ), შ. კუპატაძე (20ქ, 6პ), ფოცხვერაშვილი (14ქ, 13მ, 4ჩ, 3პ, 3დ), ხუსკივაძე (15ქ, 13მ, 3პ), მეტრეველი (6ქ, 4პ), აბულაძე (6ქ, 6დ, 11მ, 5პ), **მანჩხაშვილი (8ქ), მოდებაძე (2ქ).**

**ოლიმპი-ქუთაისი 99:47**

28:12, 30:8, 15:10, 26:17

ოლიმპი: სირბილაძე (2ქ), სიგუა, ჩარგეიშვილი (19ქ), მოდებაძე, ურუშაძე (7ქ, 8მ 5ჩ), ცხადაია (25ქ, 15პ), ლომია, საჯაია (39ქ, 23მ, 11პ, 4ჩ), ჩეკურიშვილი (2ქ, 10მ), მაისურაძე (5ქ).

ქუთაისი: ჯანაშია, ამაღლობელი, მურღულია, გოგლიჩიძე (12ქ, 8მ), ბენდელიანი (2ქ), მანაგაძე (7ქ, 4პ), ყორყოლიანი (18ქ), გაბიძაშვილი (8ქ).



ოლიმპი-ქუთაისი

საქართველოს ქალთა ჩემპიონატში ოთხი გუნდი მონაწილეობს და ოთხ წრედ მიმდინარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდები ერთმანეთს ოთხ-ოთხჯერ შეხვდებიან. სადღეისოდ თითო გუნდს ორ-ორი მატჩი აქვს ჩატარებული და ფავორიტებიც გამოკვეთილია: ჩემპიონობისთვის „ოლიმპი" და „ზესტაფონი" იბრძოლებენ. პირველს ოთხივე მატჩი მოგებული აქვს, ხოლო მეორეადგილოსან „ზესტაფონს" ერთადერთი წაგება უწერია. მომდევნო შეხვედრებში როგორ განვითარდება მოვლენები, ამას შემდეგში ვნახავთ. აქ კი ერთს დავამატებთ: სტატისტიკურ ლიდერებში გამოკვეთილი მაჩვენებლები აქვს **ხათუნა საჯაიას** - საშუალოდ 34.3 ქულა და 19.3 მოხსნა. ბოლო მატჩში „ქუთაისის" წინააღმდეგ მან სამმაგი დუბლი შეასრულა: 39 ქულა, 23 მოხსნა, 11 პასი.

| გუნდი | თ | მ | ნ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 4 | 4 | 0343/2068 | | |
| 2. ზესტაფონი | 4 | 3 | 1331/253 7 | | |
| 3. ქუთაისი | 4 | 1 | 3264/3395 | | |
| 4. ახმეტა | 4 | 0 | 4206/3694 | | |

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ოთხი ტურით ადრე ხუთი ლიდერია


ბურთით დავით ზირაქაშვილი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა. პლეი ოფში გასვლისთვის შვიდი გუნდი იბრძვის, მათ შორის ხუთი ქართველი მორაგბეებისაა. პლეი ოფში მოხვედრის თეორიული შანსი აქვს კიდევ ორ "ქართულ გუნდს", "აჟენს" და "ბრივს", თუმცა მათი მოწინავეთა რიგებში ხილვა ნაკლებად სავარაუდოა.

23-ე ტურს გათამაშების ლიდერი, ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი **ჯაბა ბრეგვაძისა** და **აქვსენტი გიორგაძის** "ტულუზი" გახსნის. **გი ნოვეს** ბიჭები სტუმრად ეთამაშებიან დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლ "პერპინიანს". კატალონიელებს წაგების უფლება აღარ აქვთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრანგეთის ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ელიტას გამოემშვიდობება.

მიუხედავად იმისა, რომ "ტულუზს" თითქმის განაღდებული აქვს პლეი ოფის ნახევარფინალში თამაში, გი ნოვემ საასპარეზოდ მაინც ძლიერი შემადგენლობა შეარჩია.

ბრეგვაძე და გიორგაძე ტრავმირებულნი არიან. "ტულუზმა" პირველ წრეში შინ 21:17 მოიგო. planetrugby-ს მიაჩნია, რომ ამჯერად გამარჯვება "პერპინიანს" უფრო სჭირდება და მინიმუმ ექვსი ქულით მოიგებს.

ტულუზელებს კვალში უდგას **დავით ზირაქაშვილის** "კლერმონი", რომელიც შინ ეთამაშება პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლ, მეშვიდეადგილოსან "სტად ფრანსეს". "ვულკანები" მესამე ადგილზე მყოფ "ტულონს" ცხრა ქულით უსწრებენ და პლეი ოფის ნახევარფინალში თამაშის უფლება ჯერ მოპოვებული არ აქვთ. ამიტომ საშინაო მატჩში "პარიზელებთან" მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს.

მასპინძლებს **ჯეიმზ კუდმორი** და **ვესლი ფოფანა** დააკლდებათ. საკმაოდ სერიოზული დანაკლისი აქვს "სტად ფრანსეს", "კლერმონს" ვერ დაუპირისპირდებიან **ფელიპე კონტეპომი, სერხიო პარისე, დიმიტრი შარჟევსკი** და **პასკალ პაპე.**

პირველ წრეში პარიზელებმა შინ 37:16 იმარჯვეს. planetrugby-ს პროგნოზით "კლერმონი" მინიმუმ 12 ქულით მოიგებს.

**დავით ქუბრიაშვილის** "ტულონი" სტუმრად ეთამაშება **ბექა შეყლაშვილის** "აჟენს", რომელმაც მეორე წრეში პირველთან შედარებით ბევრად უარესად იასპარეზა. მაგალითად, აჟენელებმა ბოლო თერთმეტ მატჩში მხოლოდ სამი მოიგეს.

შეყლაშვილი და კომპანია ამჟამად 44 ქულით მე-8 ადგილზეა და თეორიულად დივიზიონიდან გავარდნის საფრთხე ემუქრება, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, შეუძლია პლეი ოფშიც გაალწიოს.

"ტულონი" კი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკვე პლეი ოფშია და მეორე ადგილის დაკავებისთვის იბრძვის, რაც პირდაპირ ნახევარფინალში თამაშის უფლებას იძლევა. ქუბრიაშვილი და შეყლაშვილი განაცხადში არიან.

პირველ წრეში "ტულონმა" შინ 34:12 მოიგო, planetrugby-ს მიაჩნია, რომ სტუმრები ამჯერადაც მოიგებენ, ოღონდ მინიმუმ ექვსი ქულის სხვაობით.

**მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** "მონპელიე" შინ მიიღებს აუტსაიდერს, **გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** "ლიონს", რომელიც ნაკლებად წარმოსადგენია, რომ გავარდნას გადაურჩეს.

მონპელიელებს პლეი ოფში ადგილის გასანაღდებლად აუცილებლად გამარჯვება სჭირდებათ. აღსანიშნავია, რომ ოპერაციის შემდეგ, გუნდს დაუბრუნდა 40 კილოგრამდაკლებული შერკინების მწვრთნელი **ერიკ ბეშუ.**

გორგოძე ძირითად შემადგენლობაშია, ჟღენტი სათადარიგოთა სკამზე გაამწესეს, ნარიაშვილი, კავთიძე, შველიძე და რატიანიძე განაცხადში არ არიან.

პირველ წრეში "მონპელიემ" სტუმრად 30:10 მოიგო. planetrugby-ს პროგნოზით, გამარჯვება ისევ მონპელიელებს დარჩებათ, მინიმუმ 15 ქულის სხვაობით.

**ანტონ ფეიქრიშვილის** "კასტრი", რომელიც "მონპელიეს" ყველაზე საშიში კონკურენტია, შინ ეთამაშება "ბორდოს", რომელიც ჯერ კიდევ სახიფათო ზონაში იმყოფება. ბოლოსწინა ადგილზე მყოფ "ბაიონს" ის მხოლოდ შვიდი ქულით უსწრებს.

პირველ წრეში "ბორდომ" შინ 24:9 მოიგო. planetrugby-ს მიაჩნია, რომ ამჯერად "კასტრი" ცხრა ქულით გაიმარჯვებს.

**დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** "ბრივი" სტუმრად დაუპირისპირდება პარიზულ "მეტრო რასინგს". ბრიველებმა ბოლო ტურებში წარმატებულად იასპარეზეს და მნიშვნელოვნად გამოიკეთეს სატურნირო მდგომარეობა.

ამასთან ერთად, ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენებურთა გუნდმა შესანიშნავად იასპარეზა "ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშების მეოთხედფინალში. რაც იმის თვალსაჩინო დასტურია, რომ "ბრივი" კარგ ფორმაშია და იოლად არავის არაფერს დაუთმობს.

აღსანიშნავია, რომ "ბრივს" ტრავმირებული მოთამაშეები აღარ ჰყავთ. ახლახან გამოჯანმრთელდა და გუნდს დაუბრუნდა საფრანგეთის ნაკრების წევრი **ფაბრის ესტებანესი.** საკმაოდ სოლიდური შევსება აქვს "მეტრო რასინგსაც". პარიზელთა რიგებს შეუერთდა **ანდრეა ლო ჩიჩერო, ბერნარ ლე რუ, რემი ბიანჩინი** და **გიომ ბუსე.**

პირველ წრეში "მეტრო რასინგმა" სტუმრად 19:12 მოიგო. planetrugby-ს პროგნოზით, გამარჯვება ამჯერადაც პარიზელებს დარჩებათ მინიმუმ ათი ქულით.

**XXIII ტური**

**პერპინიანი-ტულუზი, მეტრო რასინგი-ბრივი, მონპელიე-ლიონი, კლერმონი-სტად ფრანსე, აჟენი-ტულონი, ბაიონი-ბიარიცი, კასტრი-ბორდო.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 78 ქულა, 2. კლერმონი - 74, 3. ტულონი - 63, 4. მონპელიე - 57, 5. კასტრი - 55, 6. მეტრო რასინგი - 54, 7. სტად ფრანსე - 53, 8. აჟენი - 44, 9. ბრივი - 42, 10. ბიარიცი - 42, 11. ბორდო - 41, 12. პერპინიანი - 40, 13. ბაიონი - 34, 14. ლიონი - 30.


მარცხნივ ირაკლი ნატრიაშვილი

ზე რეგბი


ბლუზი-ნატალ შარქსი

# ჯვაროსნების მისია: დაუმარცხებელის დამარცხება

ზე რაგბის გათამაშების მერვე ტური ორი შეხვედრით გაიხსნა. A ჯგუფის ლიდერმა სიდნეის "ვორათაზმა" სტუმრად დაამარცხა ამავე ჯგუფის აუტსაიდერი პერთის "ფორსი" - 23:18.

სიდნეელები მატჩის პირველ ნახევარში დიდ უპირატესობას ფლობდნენ, მეტოქეს ორი უპასუხო ლელო გაუტანეს და ტაიმი თოთხმეტი ქულის სხვაობით მოიგეს - 17:3. მასპინძლები მეორე ტაიმში საგრძნობლად გააქტიურდნენ და 63-ე წუთზე ანგარიშში დაწინაურებაც შეძლეს - 18:17. თუმცა დასკვნით 15 წუთში ვორათაზელებმა მაინც იმძლავრეს და მორიგი გამარჯვება მიითვალეს.

ამავე ჯგუფში, მეორეადგილოსანი კანბერას "ბრამბიზი" შინ დაუპირისპირდება "მელბურნ რებლზს".

**A ჯგუფი**

**ფორსი-ვორათაზი 18:23, ბრამბიზი-მელბურნ რებლზი**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ვორათაზი - 21 ქულა, 2. ბრამბიზი - 19, 3. რედსი - 17, 4. მელბურნ რებლზი - 14, 5. ფორსი - 13.

დურბანის "ნატალ შარქსმა", რომელიც C ჯგუფის ბინადარია, სტუმრად მოუგო ოქლენდის "ბლუზს" - 29:23. ამ მატჩის სცენარი "ვორათაზისა" და "პერთის" დაპირისპირების მსგავსად განვითარდა. დასაწყისში დურბანელები დაწინაურდნენ. მე-15 წუთისთვის ისინი 15:0 იგებდნენ. მასპინძლებმა ძალების მობილიზება შეძლეს და მეორე ტაიმის დასაწყისში, 42-ე წუთზე ანგარიშში დაწინაურდნენ - 20:15.

ამის შემდეგ "ზვიგენებმა" კიდევ ორი ლელო გაიტანეს, სულ კი მეტოქე ოთხჯერ დაალელოვეს. შესანიშნავად გაისარჯა მათი მგეზავი **პარტიკ ლამბიე,** რომელმაც სამი გარდასახვა და ერთი საჯარიმო უწია მიზანს.

ტურის ცენტრალური შეხვედრა ქრაისთჩერჩში გაიმართება, სადაც "კრუსეიდერზი" ჯერ კიდევ დაუმარცხებელ კეიპთაუნის "სტორმერზს" დაუპირისპირდება. მასპინძელთა შორის ისევ არ იქნებიან მგეზავი **დენ კარტერი** და მესამეხაზელი **რიჩი მაქოა.**

**B ჯგუფი**

**ბლუზი-ნატალ შარქსი 23:29, კრუსეიდერზი-სტორმერზი**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჩიფსი - 26 ქულა, 2. ჰაილენდერზი - 22, 3. ჰარიკენზი - 21, 4. კრუსეიდერზი - 19, 5. ბლუზი - 11.

C ჯგუფში "სტორმერზის" უახლოესი მდევარი "ბლუ ბულზი" სტუმრად ეთამაშება იოჰანესბურგის "ლაიონზს". პრეტორიელები მეტოქეს, რომელსაც მხოლოდ ერთი მოგება აქვს აქტივში, სავარაუდოდ დაამარცხებენ და შანსი მიეცემათ ლიდერს გაასწრონ.

ამავე ჯგუფის ერთ-ერთი აუტსაიდერი, ბლუმფონტეინის "ჩიტაზი" შინ მიიღებს B ჯგუფის ლიდერ, ჰემილთონის "ჩიფსს".

**C ჯგუფი**

**ჩიტაზი-ჩიფსი, ლაიონზი-ბლუ ბულზი**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტორმერზი - 28 ქულა, 2. ბლუ ბულზი - 24, 3. ნატალ შარქსი - 17, 4. ჩიტაზი - 16, 5. ლაიონზი - 10.

ტესტები

# ბოკე ზაფხულისთვის მზადებას იწყებს

სამხრეთ აფრიკის ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ჰეინკე მეიერმა** დაასახელა იმ მოთამაშეების ვინაობა, ვინც პრეტორიაში პირველ საწვრთნელ ბანაკში შეიკრიბება. შეგახსენებთ, რომ "ბოკეს" ივნისში ინგლისის ეროვნულ გუნდთან მოუწევს რკენა.

პირველ ბანაკში, რომელიც 16-19 აპრილს გაიმართება, "ლაიონზისა" და "ჩიტაზის" მორაგბეები იქნებიან.

"ინგლისის ნაკრებთან დაპირისპირებისთვის მოსამზადებლად ძალიან ცოტა დრო გვაქვს. საწვრთნელი შეკრებების სამი ეტაპი დავგეგმეთ. ის საშუალებას მოგვცემს, ეროვნული გუნდის ყველა კანდიდატს წარმოდგენა ჰქონდეს, რას ვითხოვთ მისგან "ბოკეში" თამაშისას," - თქვა ჰეინკე მეიერმა.

მეორე საწვრთნელი ბანაკი ისევ პრეტორიაში 23-26 აპრილს შედგება, მესამეს კი 1-3 მაისს კეიპთაუნი უმასპინძლებს.

**სამხრეთი აფრიკა**

**შერკინება:** კონი ოსტჰუიზენი, კალიბ ოსტჰუიზენი, პატ კილიერსი, სი ჯეი ფან დერ ლინდე, ვი პი ნილი, ადრიან სტრაუსი, ბენდის მაკუ, ცალი ვისაგი, აიზეკ ფან დერ ვესტჰუიზენი, დევონ რობენჰეიმერი, ფრანკო ფან დერ მერვე, ჰაირიხ ბროსუ, დერიკ მინიე, პიტერ ლაბუსჰაჰნი, ეშლი ჯონსონი, ჟუან სმიტი, ჯოს სტრაუსი, ფილიპ ფან დერ ველტი.

**უკანა ხაზი:** პიტერ ფან ზილი, მიკაელ ბონდესიო, ჯონ გოსენი, ელიოტ იანტისი, ბუჩ ჯეიმზი, ვილი ლე რუ, ანდრიას სტრაუსი, დოპის ლა გრანი, რობერტ ებერსონი, ალვინ ჰოლენბახი, ლიონელ მაპოე, იაკო ტეუტი, ჰენი დანილიერი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

● ბიატლონი


მაგდალენა ნოიერი

# მოკვლით ემუქრებოდნენ

მსოფლიოს ბიატლონის ვარსკვლავმა, გერმანელმა **მაგდალენა ნოიერმა** ჟურნალისტებს უამბო იმის შესახებ, რომ მარტში გერმანიის ქალაქ რუპოლდინგში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის დროს მას მოკვლით ემუქრებოდნენ.

*"შოკირებული ვიყავი,* - განაცხადა 25 წლის სპორტსმენმა. - *ვცდილობდი მხოლოდ სტარტებზე მომეხდინა კონცენტრირება. ჩემს გარშემო მუდმივად ტრიალებდნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პოლიციელები და უსაფრთხოების სხვა სამსახურების წარმომადგენლები. თავს უსაფრთხოდ ვგრძნობდი".*

მსოფლიოს ჩემპიონატზე ნოიერმა ორი ოქრო და თითო ვერცხლი და ბრინჯაო მოიპოვა.

ეს არ იყო ნოიერის მიმართ მუქარის პირველი შემთხვევა. ორი წლის წინ, 44 წლის მამაკაცი ბიატლონისტის სახლის აივანზე გადაძვრა და სპორტსმენს სიყვარულის ახსნა დაუწყო. უცნობი პოლიციამ დააკავა და 2012 წლის თებერვალში სასამართლომ მას სამწლიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯა.

პლანეტის პირველობის შემდეგ, მსოფლიოს 12-გზის ჩემპიონმა სპორტიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა. დღეს, ბიატლონისტის მშობლიურ სოფელ ვალგაუში გაიმართება მაგდალენას სპორტიდან გაცილების ცერემონია. მთავარ მოედანზე გამართეს სცენა და ვარაუდობენ, რომ ამ ღონისძიებას ხუთი ათასი ადამიანი დაესწრება.

● ოლიმპიზმი

# ლონდონში ფეხმძიმე ოლიმპიელი გაისვრის

მალაიზიელი სპორტსმენი **ნურ სარიანი მოჰამედ ტაიბი** 2012 წლის ოლიმპიადაზე აპირებს გამოსვლას. იმ მომენტისთვის ქალი ტყვიის მსროლელი ფეხმძიმობის 33-ე თვეში იქნება, - წერს სააგენტო "როიტერი".

ექიმების შეფასებით, ტაიბიმ 2 სექტემბერს უნდა იმშობიაროს, ოლიმპიადაზე ტყვიის სროლის ტურნირი კი 28 ივნისს დაიწყება და 6 აგვისტოს დასრულდება.

*"ვთხოვ ბავშვს, საათისა და 50 წუთის განმავლობაში მშვიდად იყოს და ტურნირში გამოსვლა მაცალოს. ფეხმძიმობის გვიან სტადიაზე ფრენა სახიფათოა, ამიტომაც ლონდონში 25 ივლისს ჩავალ. ტურნირის დასრულებისთანავე შინ დავბრუნდები. ლონდონში დიდხანს გაჩერებას არ ვაპირებ.*

*ნათესავები ნერვიულობენ – შევძლებ თუ არა გამოსვლას. მაგრამ საკუთარ თავში ეჭვი არ მეპარება. როცა შენს სხეულში კიდევ ერთი ადამიანი ცხოვრობს, შესაბამისად, შესანიშნავ კამპანიაში ხარ. ახლა, საკუთარ თავში ვგრძნობ ბრძოლისთვის საჭირო ძალასა და ენერგიას, მაგრამ თუ ეჭვი შემეპარა, სხვა გადაწყვეტილების მიღებაც არ გამიჭირდება.*

*ოლიმპიურ ოქროზე ჯერ არ დავფიქრებულვარ. იქნებ მსაჯებმა მიიჩნიონ, რომ გამარჯვება არაპატიოსან ბრძოლაში მოვიპოვე: ტყვიას ხომ ორი ადამიანი ისროდა?!",* - ამბობს მამაცი ოლიმპიელი.

● რალი

# ლატვალას უიღბლობა

"ფორდის" პილოტი **იარი-მატი ლატვალა** ვერ შეძლებს მსოფლიოს ჩემპიონატის უახლოეს ეტაპზე – არგენტინის რალიზე გამოსვლას. ფინელი ავტომრბოლი სამშობლოში იმყოფება და სარბენი თხილამურებით არგენტინის ეტაპისთვის ემზადებოდა. ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ლატვალა ტრასაზე დაეცა და ლავიწის ძვალი გაიტეხა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფინელი სამხრეთ ამერიკაში არ გაემგზავრება და, ალბათ, უნდა გამოეთხოვოს წელს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას. "ფორდის" ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ლატვალა საბერძნეთის რალისთვის შეძლებს დაბრუნებას.

გუნდს ჯერ არ დაუსახელებია პილოტი, რომელიც არგენტინაში შეცვლის ფინელ რალისტს. მთავარ კანდიდატებად **მადს ოსტბერგი** და **ოტ ტიანაკი** მიიჩნევიან.

● კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# რეზერვისტების მოგებული

გასულ სათამაშო დღეს ყველაზე საინტერესო იყო "ჩიკაგოსა" და "მაიამის" დაპირისპირება, რომელსაც უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე: ვის დარჩება პირველი ადგილი აღმოსავლეთში? "ხარების" წარმატების შემთხვევაში, **სპოელსტრას** გუნდს სამით მეტი წაგება ექნებოდა, რაც ასეთი გუნდების დუელში კრიტიკული სხვაობაა.

გარდა ამისა, საინტერესო იყო **დერიკ როუზის** ხილვა. შეგახსენებთ, რომ შარშანდელმა MVP-მ აპრილში მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა – "ნიუ იორკის" წინააღმდეგ და არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ამჯერადაც პლეიმეიკერმა აჩვენა, რომ ოპტიმალური კონდიციებისგან შორს არის. მცველმა მხოლოდ ერთი (!) ბურთი ჩააგდო 13 ცდიდან და ერთხელაც არ დამდგარა საჯარიმოს ხაზზე. შესაბამისად, ორქულიანი მონაგარი მის კარიერაში ყველაზე უარესი მაჩვენებელია.



რომ არა თავისი რეზერვისტების ბრწყინვალე თამაში, "ბულზი" ცუდ ხასიათზე დატოვებდა საკუთარ არენას. ბოლო წუთებში სწორედ სათადარიგოებმა გადაწყვიტეს მატჩის ბედი. ასე მაგალითად, ბოლო მეოთხედში შეუჩერებელი იყო **კორვერი**, რომელმაც ორი სამქულიანი და ერთი საშუალო ტყორცნა ჩააგდო, მაგრამ უეიდისგან 10-ქულიანი ღირსეული პასუხი მიიღო.

**ლებრონ ჯეიმსს** კი მასპინძლებმა კარგა ხანი ვერ გასცეს პასუხი. "მეფემ" სირენამდე 50 წამით ადრე ჩააგდო სამქულიანი, მოგვიანებით კი ერთი საჯარიმო გამოიყენა. "ჰიტის" უპირატესობა სამ ქულას შეადგენდა და "ჩიკაგოს" გადარჩენის თეორიული შანსი ჰქონდა. მოულოდნელად, მასპინძლებს მშველელად უოტსონი მოევლინა, რომელმაც მეოთხედის დასრულებამდე ორი წამით ადრე ურთულესი შორეული ტყორცნა მოათავსა კალათში.

ამ ეპიზოდმა იმდენად კარგად იმოქმედა **ტიბოდოს** შეგირდებზე, რომ ოვერტაიმში მათ უბრალოდ გადაუარეს მეტოქეს. პირველივე წუთზე მინი-გაქცევა განახორციელეს – 5:0. ამას დაემატა ისიც, რომ "ჰიტის" კალათბურთელებს დამატებით დროში თამაშიდან ბურთი არ ჩაუგდიათ. 12:2 – ასეთი იყო ოვერტაიმის ანგარიში და საგულისხმოა, რომ **დენგის** გარდა, ეს ქულები "ხარებს" მისმა რეზერვისტებმა მოუტანეს.

■ ■ ■

ბოლო ორი დღის განმავლობაში ორი მატჩი ჩაატარა "სან ანტონიომ" – **გრეგ პოპოვიჩის** შეგირდებმა ორი დღის წინ **კობი ბრაიანტის** გარეშე მოთამაშე "ლეიკერსთან" წააგეს, დღეს კი საკმაოდ რთულ ბრძოლაში ასევე საკუთარ მოედანზე დაამარცხეს "მემფისი". ეს უკანასკნელი ოთხმატჩიანი მოგებათა სერიით შეხვდა ამ მატჩს და არ აპირებდა მის შეწყვეტას.

თუმცა თამაში უკეთ "სან ანტონიომ" დაიწყო და პირველი მეოთხედი ექვსი ქულის სხვაობით მოიგო. მატჩის სურათი მეორე მეოთხედში მკვეთრად შეიცვალა. "მემფისმა" თავისი რეზერვისტების – **რენდოლფისა და მაიოს** მონდომებით ინიციატივა მოიპოვა. რენდოლფმა შეხვედრა ორმაგი დუბლით დაასრულა, მაიომ კი 16 ქულა დააგროვა. "მემფისმა" მეორე მეოთხედი 10 ქულის სხვაობით მოიგო და დიდი შესვენებისთვის ოთხი ქულით გავიდა წინ.

როგორც ჩანს, შესვენებაზე "სპურსმა" საჭირო დასკვნები გააკეთა და მოედანზე სულ სხვა გუნდი ვიხილეთ. "სპურსს" მატჩის ამ მონაკვეთში ყველაფერი გამოსდიოდა და 12 წუთში 37 ქულის დაგროვება მოახერხა. სწორედ ეს აღმოჩნდა მატჩში გადამწყვეტი მომენტი.

მეორე ტაიმში ბრწყინვალე იყო **ტიმ დანკანი** – თავისი 28 ქულიდან 20 მან მეორე ნახევარში დააგროვა და მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა – მისი ორმაგი დუბლი 28 ქულასა და 12 მოხსნას შეადგენდა, თან ტიმმა 15-დან 10 ბურთი მოათავსა კალათში.

მატჩის საბოლოო ანგარიშია 107:97 "სან ანტონიოს" სასარგებლოდ და ის აგრძელებს ბრძოლას დასავლეთის ჩემპიონობისთვის. "სპურსი" ერთი მოგებით ჩამორჩება ლიდერ "ოკლაჰომას".

■ ■ ■

"შარლოტ ბობკეტსის" ფორვარდი **კორი მაგეტი** გამოტოვებს სეზონის დარჩენილ ნაწილს აქილევსის მყესის გაწყვეტის გამო. გუნდის ერთ-ერთ ლიდერს დიაგნოზი გუშინდელი სამედიცინო შემოწმების შემდეგ დაუსვეს.

მაგეტი, რომელიც 2011-12 წლების სეზონში გადავიდა "მილუოკიდან" "შარლოტში", წელს საშუალოდ 15.0 ქულასა და 3.9 შედეგიან პასს აგროვებდა. მისი გუნდი კი პირველია წლევანდელ სეზონში, რომელმაც შემოკლებულ რეგულარულში 50 მატჩის წაგება მოასწრო. ეს გუშინდელ ტურში მოხდა.

**ჩიკაგო–მაიამი 96:86 (ო)**

19:22, 17:19, 24:21, 24:22, 12:2

ჩ: ბუზერი (19+11 მოხსნა), კორვერი (17), დენგი (16+5 მოხსნა), უოტსონი (16+9 პასი), გიბსონი (11+5 მოხსნა).

მ: ჯეიმსი (30+6 მოხსნა+5 პასი), უეიდი (21+5 მოხსნა), ბოში (20+8 მოხსნა+4 დაფარება).

**შარლოტი–დეტროიტი 85:109**

18:22, 22:30, 22:40, 23:17

შ: ბრაუნი (13+5 მოხსნა), ოგუსტინი (13+5 პასი), უაიტი (12).

დ: მონრო (25+11 მოხსნა), ნაითი (21+7 პასი+3 ჩაჭრა), მაქსიელი (17+5 მოხსნა).

**მინესოტა–კლიპერსი 82:95**

26:21, 22:26, 20:26, 14:22

მ: პეკოვიჩი (17+6 მოხსნა), რენდოლფი (16+9 მოხსნა), ბიზლი (14+10 მოხსნა), ბარეა (10+11 პასი), უებსტერი (10+5 მოხსნა).

კ: გრიფინი (19+13 მოხსნა+5 პასი), ბატლერი (17), უილიამსი (14+5 პასი), ფოიე (11), იანგი (10).

**გ. სტეიტი–დალასი 103:112**

20:27, 29:36, 30:26, 24:23

გ-ს: ლი (30+8 მოხსნა), ტომპსონი (24+7 მოხსნა+8 პასი), რობინსონი (10+6 პასი).

დ: ნოვიცკი (27), რაიტი (16+9 მოხსნა), ტერი (16), კარტერი (12), ბობუა (11+5 პასი), კიდი (9+10 მოხსნა+12 პასი+3 ჩაჭრა), მერიონი (7+12 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**სან ანტონიო–მემფისი 107:97**

27:21, 18:28, 37:25, 25:23

ს-ა: დანკანი (28+12 მოხსნა), ჯინობილი (20+6 მოხსნა), პარკერი (13+9 პასი+7 არიეპტ), გრინი (10).

მ: გეი (19+5 მოხსნა), მაიო (16), სპეიტსი (15+7 მოხსნა), გასოლი (14+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), კონლი (11+5 მოხსნა), რენდოლფი (10+11 მოხსნა).

● კრივი

# კლიჩკოს სექტემბერი


ვიტალი კლიჩკო

სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონმა **ვიტალი კლიჩკომ** თავისი მორიგი ბრძოლის მიახლოებითი თარიღი დაასახელა. ამის შესახებ ჟურნალისტებს კლიჩკოს მწვრთნელმა **ფრიც ზდუნეკმა** აცნობა. უკრაინელი 2012 წლის სექტემბერში აპირებს რინგზე გასვლას. ექიმების ვარაუდით, ამ დროისთვის ვიტალის მორჩენილი ექნება მარცხენა მხარი, რომელიც 19 თებერვალს ბრიტანელ **დერეკ ჩისორასთან** ბრძოლაში დაიზიანა.

ჩისორას წინააღმდეგ უფროსმა კლიჩკომ წარმატებით დაიცვა WBC-ის საჩემპიონო ქამარი.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ უფროსი კლიჩკო, რომელიც ივლისში 41 წლის გახდება, ბრიტანელ **დევიდ ჰეისთან** აპირებდა შეხვედრის გამართვას. ამ მოკრივემ 2011 წლის ოქტომბერში გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ, თუმცა არაერთხელ უთქვამს, რომ დაბრუნდებოდა დიდ სპორტში კლიჩკოსთან ბრძოლის სანაცვლოდ.

ამერიკული პრესის ცნობით, ჰეისთან მოლაპარაკებების ჩაშლის შემთხვევაში, კლიჩკოსთან ბრძოლის პრეტენდენტები შეიძლება გახდნენ ნაკლებად ცნობილი მოკრივეები, მათ შორის რუსი **დენის ბოიცოვი**.

გვერდი მოამზადა **გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL. სტენლის თასი



ფინიქსი-ჩიკაგო

# ამჯერად მასპინძლების დღე იყო

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ოთხი მატჩით გაგრძელდა სტენლის თასის პირველი ეტაპი – ოთხ წყვილში ჩატარდა სერიის პირველი შეხვედრები. აქედან სამში ოვერტაიმის გამართვა გახდა საჭირო.

ყველაზე იოლად აღმოსავლეთის ჩემპიონმა "რეინჯერსმა" მოიგო. როგორც მოსალოდნელი იყო, „რეინჯერების" დაცვა „ოტავას" შეტევაზე ძლიერი აღმოჩნდა. აღმოსავლეთის პირველმა გუნდმა საკუთარი მოედანზე დაამარცხა „სენატორზი" და გაამართლა ექსპერტთა პროგნოზები. **კელეჰანის, გაბორიკის, ბოილისა** და **რიჩარდსის** გოლებმა „ნიუ იორკს" ოთხშაიბიანი უპირატესობა მოუტანეს - 4:0, მაგრამ მესამე პერიოდის მეორე ნახევარში სტუმრებმა მაინც მოახერხეს **ლუნდკვისტის** ორჯერ განბილება.

დღის მეორე მატჩში „ვაშინგტონის" იმედები გაამართლა ახალგაზრდა მეკარე **ბრეიდენ ჰოლტბიმ**, რომელიც პლეი ოფში პირველ მატჩს ატარებდა. ეს შეხვედრა საფეხბურთო ანგარიშით დასრულდა. „ბოსტონის" დაცვამ ბრწყინვალედ ითამაშა და მხოლოდ 17-ჯერ დაარტყმევინა მეტოქეს კარში, აქედან მხოლოდ ერთი დარტყმა იყო „ვაშინგტონის" ლიდერის **ალექსანდრ ოვეჩკინის** ანგარიშზე. **ტიმ ტომასისგან** განსხვავებით, ჰოლტბის გაცილებით მეტი სამუშაო ჰქონდა და 29 დარტყმას გაუმკლავდა, მაგრამ "დათვების" 30-ე გასროლამ მიზანს მიაღწია - ოვერტაიმის მეორე წუთზე „ბოსტონმა" მეტოქის შეტევა მოიგერია, კონტრიერიშზე გადავიდა და **კრის კელიმ** შორეულ კუთხეში ზუსტად დაარტყა.

კიდევ ერთი ოვერტაიმი დაფიქსირდა „სენტ ლუისისა" და „სან ხოსეს" შეხვედრაში. „შარქსი" ერთადერთი გუნდია, რომელმაც სტუმრად მოიგო და საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვა. ძირითადი დრო ფრედ - 2:2 დასრულდა. **პატრიკ ბერგლუნდის** დუბლს „ზვიგენებმა" **ჰავლატისა** და **დეჟარდენის** გოლებით უპასუხა. შემდეგ კი დაიწყო ფრთხილი თამაში დამატებით დროში. გამარჯვებული ვერც პირველმა ოვერტაიმმა გაარკვია, მეორეში კი გამარჯვების საკითხი ჰავლატმა გადაწყვიტა, რომელმაც დუბლის გაფორმება შეძლო. აღსანიშნავია, რომ „სან ხოსემ" რეგულარულში ოთხიდან ოთხჯერ წააგო „ბლუზმენებთან", მაგრამ სეზონის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე მოიპოვა გამარჯვება.

„ფინიქსმა" გვარიანად ანერვიულა თავისი გულშემატკივრები. „ჩიკაგოსთან" მატჩში „კოიოტებმა" პირველებმა გაუშვეს გოლი, მეორეში შემოატრიალეს მატჩის ბედი და ორი შაიბა გაიტანეს, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს - „ბლეკჰოქსმა" მესამე პერიოდის ბოლოს მასირებული შტურმი მოაწყო და საფინალო სირენამდე 15 წამით ადრე **ბრენტს სიბრუკმა** მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. და მაინც, გამარჯვება „ფინიქსს" ერგო - **მარტინ ჰანჟალმა** დამატებითი დროის შუაში აიღო **კერი კროუფორდის** კარი.

**რეინჯერსი-ოტავა 4:2**

1:0, 2:0, 1:2

**გოლები:** 1:0 კელეჰანმა-1 (სტრალმანი-1, ანისიმოვი-1), 2:0 გაბორიკი-1, 3:0 ბ. ბოილი-1 (ანისიმოვი-2, ჟირარდი-1), 4:0 ბ. რიჩარდსი-1 (ჰაგელინი-1), 4:1 ალფრედსონი-1 (სპეცა-1, მ. მიხალეკი-1), 4:2 კონდრა-1 (ფოლინო-1, ტარისი-1).

**სერია:** 1-0

**ბოსტონი-ვაშინგტონი 1:0 (ო)**

0:0, 0:0, 0:0, 1:0

**გოლი:** 1:0 კელი-1 (პეულიო-1, როლსტონი-1).

**სერია:** 1-0

**სტ. ლუისი-სან ხოსე 2:3 (2ო)**

0:0, 0:1, 2:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ჰავლატი-1 (დ. ბოილი-1, ქლოუ-1), 1:1 ბერგლუნდი-1 (შატენკირიკი-1, სტინი-1), 2:1 ბერგლუნდი-2 (ენდი მაკდონალდი-1, რასელი-1), 2:2 დეჟარდენი-1 (ვინგელსი-1, დ. ბოილი-2), 2:3 ჰავლატი-2 (ქლოუ-2, კუტური-1).

**სერია:** 0-1

**ფინიქსი-ჩიკაგო 3:2 (ო)**

0:1, 2:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ტეუვზი-1 (პ. კეინი-1, ოდუია-1), 1:1 პიატი-1 (ლენგკოუ-1), 2:1 ვერმეტი-1 (ტორესი-1, იენდლი-1), 2:2 სიბრუკი-1 (ტეუვზი-1, პ. კეინი-2), 3:2 ჰანჟალი-1 (ა. ოკუანი-1, კლესლა-1).

**სერია:** 1-0

# კაპიტანი მსოფლიოზე მიდის

"მინესოტა უაილდის" თავდამსხმელი **მიკო კოივუ** მზად არის ფინეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე დაეხმაროს, რომელიც მის სამშობლოსა და შვედეთში ერთობლივად გაიმართება. ამ ინფორმაციას "მინესოტას" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

შეგახსენებთ, რომ უმცროსი კოივუ შარშანაც თამაშობდა მსოფლიოს ჩემპიონატზე – ის ფინეთის ნაკრების კაპიტანი იყო და თავის გუნდს ოქროს მედლების მოპოვებაში დაეხმარა. NHL-ის წლევანდელ რეგულარულში მინესოტელმა 55 მატჩში 44 ქულა (12 გოლი+32 შედეგიანი პასი) დააგროვა.

არ არის გამორიცხული, მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე მიკოს უფროსმა ძმამ, "ანაჰაიმის" ფორვარდმა **საკუ კოივუმ** ითამაშოს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი**

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| საუთჰემპტონი-რიდინგი | 1:3 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ბარნეტი-ჰერეფორდი | 1:1 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ფლიტვუდი-ლინკოლნი | 2:2 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| იუვე სტაბია-პადოვა | 2:0 |

**ესპანეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალმერია-ვილიარეალი B | 0:0 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| შტუტგარტი-ვერდერი | 4:1 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ფიურტი-სტ. პაული | 2:1 |
| ჰანზა-ფრანქფურტი | 0:5 |
| უნიონი-ბრაუნშვაიგი | 1:0 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი A-კაიზერი A | 2:2 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| შატორუ-არლი | 1:2 |
| კლერმონი-ანჟერსი | 1:2 |
| გინგამი-ლავალი | 1:0 |
| ისტრი-ტრუა | 0:0 |
| ჰავრი-ბულონი | 0:0 |
| ლე მანი-ამიენი | 3:2 |
| მეცი-მონაკო | 0:2 |
| ტური-ლანსი | 0:3 |
| სედანი-ბასტია | 2:0 |

**ნასიონალი**

| | |
|---|---|
| ბეიონი-პარიზი | 2:2 |
| ბოვე-ნიმი | 1:2 |
| კოლმარი-რუანი | 0:0 |
| კრეტეი-ვანი | 1:1 |
| გფკო აიაჩო-რედ სტარი | 1:1 |
| ლე პუარი-ბეზანსონი | 1:0 |
| ლუზენაკი-ფრეჟუსი | 1:1 |
| ნიორი-ეპინალი | 0:0 |
| ორლეანი-შერბური | 3:2 |

**ჰოლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალმერი-სპარტა | 1:1 |
| დორდრეხტი-დენ ბოში | 4:3 |
| ვოლენდამი-ემენი | 3:1 |
| ცვოლე-ეინდჰოვენი | 0:0 |
| ჰელმონდი-კამბური | 1:3 |
| მაასტრიხტი-იგლზი | 1:2 |
| ოსი-ფორტუნა | 1:3 |
| ვეენდამი-ტელსტარი | 1:1 |
| ვილემი-აპელდოორნი | 5:0 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| სერკლი-ლიერსი | 0:[illegible] |
| ვესტერლო-სტ. ტრუიდენი | 4:0 |

**დანია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ესბერგი-აკადემისკი | 3:0 |
| ვიბორგი-სკივე | 2:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ფრედრიკსტადი-რუსენბოგი | 1:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| მალმიო-კალმარი | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოსტერი-ტრელებორგი | 2:1 |

**ავსტრია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლუსტენაუ-ვენა | 1:0 |
| სტ. პოლტენი-ლინცერი | 1:1 |
| გრიოდიგი-სტ. ანდრა | 0:1 |
| გლაუ ვაისი-ავსტრია (ლ) | 0:3 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| სლიგო-დერი | 1:1 |
| კორკი-მონეგანი | 6:0 |
| დროგედა-სტ. პატსი | 0:0 |
| დუბლინი-ბოჰემიანსი | 1:2 |
| შემროკი-დანდალკი | 6:0 |
| შელბურნი-ბრეი | 2:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გალვეი-მერვუ | 2:2 |
| უოტერფორდი-ეთლონი | 1:1 |
| უექსფორდი-ლიმერიკი | 0:1 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ებერისტვითი-ეირბასი | 2:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბუდეიოვიცე-სლავია | 1:0 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ტრნავა-შენიცა | 1:0 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| სკა ენერგია-გაზპრომი | 0:1 |
| გაზოვიკი-კამაზ | 2:0 |
| ტორპედო (ვ)-ლუს ენერგია | 1:1 |
| ჩერნომორეცი-ხიმკი | 1:0 |
| ბალტიკა-ენისეი | 0:1 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| ობოლონი-კრივბასი | 0:0 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| ბელხატოვი-იაგელონია | 2:0 |
| კორონა-ზაგლებე | 0:2 |

**[illegible]**

| | |
|---|---|
| დინამო-ზადარი | 1:1 |
| ინტერი-ლუჩკო | 1:1 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| კაპოშვარი-დიოშდიორი | 3:2 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ჩახლაული-ბრაშოვი | 1:0 |
| პეტროლული-კლუჟი | 1:1 |

### კალათბურთი

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ნანსი-შალონი | 79:84 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-დინამო (მ) | 2:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ლორენსკოგი-სტავანგერი | 1:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| სლოვანი-კოშიცე | 2:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბრნო-პარდუბიცე | 2:1 |

### ჩოგბურთი

**ATP. კასაბლანკა**

| | |
|---|---|
| ანდუხარი-სტარაჩე | 6:3, 6:0 |
| გუტიერესი-უაჰაბი | 6:4, 6:1 |
| ანდრეევი-გარსია ლოპესი | 6:4, 6:2 |
| პერი-ჩიპოლა | 3:6, 4:6 |
| რამოსი-შარდი | 6:3, 6:4 |

**ATP. ჰიუსტონი**

| | |
|---|---|
| მონაკო-ანდერსონი | 7:6, 7:5 |
| რასელი-ჰარისონი | 6:1, 5:7, 6:3 |

**WTA. ბარსელონა**

| | |
|---|---|
| სურაეს ნავარო-ჰალეპი | 6:4, 6:1 |
| ერანი-გორგესი | 6:2, 6:3 |
| გოვორცოვა-კირსტეა | 6:2, 1:6, 3:6 |
| ციბულკოვა-ბეიგელციმერი | 3:6, 6:0, 6:0 |

**WTA. კოპენჰაგენი**

| | |
|---|---|
| ბარტელი-კერბერი | 2:6, 6:0, 5:7 |
| კანეპი-იანკოვიჩი | 6:4, 1:6, 3:6 |
| ვოზნიაცკი-კორნე | 6:0, 6:3 |
| იოვანოვსკი-მარტიჩი | 4:6, 6:4, 3:6 |

## TV პროგრამა

### 14 აპრილი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXXI ტური. შტუტგარტი-ვერდერი.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXIV ტურის წინ.
12:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXII ტურის წინ.
13:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
14:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXIII ტურის წინ.
14:30 იტალიის ჩემპიონატი. XXXIII ტურის წინ.
15:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXIV ტურის წინ.
15:30 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXII ტურის მიმოხილვა.
16:30 გერმანიის ჩემპიონატი. XXX ტურის მიმოხილვა.
17:30 გერმანიის ჩემპიონატი. XXXI ტური. შალკე-დორტმუნდი (LIVE).
19:30 იტალიის ჩემპიონატი. XXXIII ტურის წინ.
20:00 იტალიის ჩემპიონატი. XXXIII ტური. მილანი-ჯენოა (LIVE).
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXII ტური. რეალი-სპორტინგი (LIVE).
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXII ტური. ლევანტე-ბარსელონა (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
11:45 NBA Action.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-ატლანტა.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 სუპერკოლაჟი.
15:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ნორვიჩი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
17:45 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი.
19:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
20:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXXI ტური. ბაიერნი-მაინცი (LIVE).
22:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XXXIII ტური. უდინეზე-ინტერი (LIVE).
00:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-ატლანტა.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მონტე კარლო.
13:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ბოსტონი.
15:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. ედინბურგი-ტულუზა.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. ლენსტერი-კარდიფი.
18:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ლეიკერსი.
20:45 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXX ტური. ეინდჰოვენი-ალკმაარი (LIVE).
22:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. მონტე კარლო.

### 15 აპრილი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXII ტური. ლევანტე-ბარსელონა.
12:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXII ტური. რეალი-სპორტინგი.
14:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
14:30 იტალიის ჩემპიონატი. XXXIII ტური. ნოვარა-ლაციო (LIVE).
16:30 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
17:00 იტალიის ჩემპიონატი. XXXIII ტური. ჩეზენა-იუვენტუსი (LIVE).
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXIV ტური. მანჩესტერ იუნ-ასტონ ვილა (LIVE).
21:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
21:30 სუპერკოლაჟი.
22:45 იტალიის ჩემპიონატი. XXXIII ტური. რომა-ფიორენტინა (LIVE).
00:45 გერმანიის ჩემპიონატი. XXXI ტური. შალკე-დორტმუნდი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XXXIII ტური. უდინეზე-ინტერი.
11:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ფინიქსი.
14:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. XXXII ტური. ესპანიოლი-ვალენსია (LIVE).
16:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
16:30 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXX ტური. აიაქსი-გრააფსხაპი (LIVE).
18:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXII ტური. ლორიანი-მონპელიე (LIVE).
21:00 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. პანათინაიკოსი-მაკაბი.
23:00 NBA Action.
23:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-დალასი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. მონტე კარლო.
13:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-მაიამი.
15:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. 1/4 ფინალი. სარასენი-კლერმონი.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXXI ტური. ბორუსია (მ)-კიოლნი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. მონტე კარლო.
22:20 სუპერკოლაჟი.
23:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXII ტური. ოსერი-პსჟ (LIVE).

## ამინდის პროგნოზი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | 24 (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 11 | 27 (მზე) |
| ბათუმი | 10 | 26 (მზე) |
| ფოთი | 9 | 17 (მზე) |
| ზუგდიდი | 7 | 26 (მზე) |
| გორი | 6 | 25 (მზე) |
| თელავი | 12 | 23 (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 0 | 15 (მზე) |
| გუდაური | -1 | 10 (მზე) |
| მესტია | 2 | 17 (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1527 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6378 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6129 |
| 100 რუსული რუბლი | 5.5389 |

ფორმულა 1

# შუმი აბსოლუტურად საუკეთესო

ჩინეთის გრანპრის პირველი თავისუფალი სესია რთულ პირობებში ჩატარდა. დილით წამოსული წვიმის გამო ტრასა სველი იყო, შუა ვარჯიშის დროს კი ავტოდრომი ნისლით დაიფარა, ასე რომ, დროის დიდი ნაწილი პილოტები ბოქსებში რჩებოდნენ.

„მაკლარენის" ხელმძღვანელმა **მარტინ უიტმარშმა** პირობებს „ყველაზე უარესი" უწოდა და განაცხადა, რომ ამინდი არ იძლევა სასარგებლო ინფორმაციის შეგროვების საშუალებას. „სლიკებზე" მანქანები ყველა მოსახვევისას ცურავდნენ, საშუალედო საბურავი კი სწრაფად ხურდებოდა. ფაქტობრივად, პილოტებმა მხოლოდ ახალი აეროდინამიკული ელემენტები გამოსცადეს - სწორ მონაკვეთებზე



მიხაელ შუმახერი

მუდმივი სიჩქარით მოძრაობდნენ.

განსაკუთრებით დასანანი იყო ასეთი სიტუაცია სამი სარეზერვო პილოტისთვის, რომლებმაც მხოლოდ საათნახევრით მიიღებს მანქანის მართვის საშუალება. „ფორს ინდიაში" **პოლ დი რესტამ ჟიულ ბიანკის** დაუთმო ადგილი, „უილიამსში" **ვალტერი ბოტასმა ბრუნო სენა** შეცვალა, „კატერჰემში" კი **ვიტალი პეტროვის** ნაცვლად წრეებს **გიდო ვან დერ გარდე** გადიოდა.

**მარკ უებერი**, რომელმაც ვარჯიშის პირველ ნაწილში წრე წუთსა და 39,5 წამში გაიარა, დიდი ხანი რჩებოდა ლიდერად. მხოლოდ ფინალურმა ათმა წუთმა შეცვალა სიტუაცია, როცა მეტეოროლოგიური პირობები გაუმჯობესდა: ტრასაზე გავიდა 22 პილოტი - ყველა, გარდა **კიმი რაიკონენსა და რომენ გროსჟანისა**. ფინელის „ლოტუსზე" DRS-ის სისტემა გამოვიდა მწყობრიდან, მის თანაგუნდელს კი ტექნიკური პრობლემა შეექმნა.

საბოლოოდ, ჩინეთის გრანპრის შარშანდელი ტრიუმფატორი **ლუის ჰემილტონი** აღმოჩნდა ერთადერთი, ვინც წრე წუთსა და 38 წამზე ნაკლებ დროში გაიარა. სესიის მიხედვით მეორე ადგილი დაიკავა **ნიკო როსბერგმა**, ამასთან, „მერსედესი", კონკურენტებისგან განსხვავებით, საშუალედო საბურავით მოძრაობდა.

პირველმა პრაქტიკამ სერიოზული ინციდენტების გარეშე ჩაიარა, თუმცა სველ ტრასაზე ბევრი პილოტი უშვებდა შეცდომას. ბოლო წუთებზე **სებასტიან ფეტელმა** აცნობა გუნდს, რომ მის მანქანაზე DRS-ის სისტემა აღარ მუშაობდა.

### I პრაქტიკა

1. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი) - 1:37.106 (7 წრე); 2. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი) - +1.010 (14); 3. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი) - +1.210 (14 წრე); 4. **სერხიო პერესი** (ზაუბერი) - +1.478 (13); 5. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი) - +1.805 (12); 6. **მარკ უებერი** (რედ ბული) - +1.871 (15); 7. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული) - +2.092 (12); 8. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი) - +2.093 (6); 9. **დანიელ რიკარდო** (ტორო როსო) - +2.642 (16); 10. **ჟან-ერიკ ვერნი** (ტორო როსო) - +2.662 (14); 11. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი) - +2.950 (14); 12. **ფელიპე მასა** (ფერარი) - +3.047 (14); 13. **ვალტერი ბოტასი** (უილიამსი) - +3.192 (8); 14. **ნიკო ჰიულკენბერგი** (ფორს ინდია) - +3.222 (13); 15. **პასტორ მალდონადო** (უილიამსი) - +3.434 (12); 16. **ჰეიკი კოვალაინენი** (კატერჰემი) - +3.965 (14); 17. **რომენ გროსჟანი** (ლოტუსი) - +4.098 (14); 18. **ტიმო გლოკი** (მარუსია) - +5.224 (14); 19. **გიდო ვან დერ გარდე** (კატერჰემი) - +5.415 (11); 20. **ჟიულ ბიანკი** (ფორს ინდია) - +7.012 (8); 21. **პედრო დე ლა როსა** (HRT) - +7.121 (10); 22. **შარლ პიკი** (მარუსია) - +7.394 (15); 23. **ნარაიან კართიკეიანი** (HRT) - +10.098 (12); 24. **კიმი რაიკონენი** (ლოტუსი) - +13.359 (11).

■ ■ ■

მეორე სესიის დასაწყისისთვის ამინდი გაუმჯობესდა, ასფალტი გაშრა, მაგრამ მაინც არსებობდა მოცურების საშიშროება - ბევრს სწორი მონაკვეთების ბოლოს დამუხრუჭებისას ექმნებოდა პრობლემები. სესიის შუაში **ტიმო გლოკმა** დაამტვრია მანქანა - პირველი მოსახვევიდან გამოსვლისას შეცდა - წინა ანტიფრთა დაკარგა და დამცავ ბარიერს დაეჯახა. ტიმომ დამოუკიდებლად დატოვა ბოლიდი, მაგრამ ხელი დაიზიანა და სამედიცინო ცენტრში გაემგზავრა.

მალაიზიისა და ჩინეთის ეტაპებს შორის შესვენებისას, გუნდებმა სიახლეები მოამზადეს, ამიტომაც პარასკევს ბევრი სამუშაო იყო და პროგრამა დაძაბული გამოვიდა. პილოტებმა აეროდინამიკის კონფიგურაციის სხვადასხვა ვარიანტი გამოსცადეს, შეადარეს ორი შემადგენლობის საბურავი გრძელ წრეებზე და სარბოლო მახასიათებლებზე მუშაობდნენ.

საბოლოო ოქმს სათავეში ჩაუდგა მიხაელ შუმახერი, რომელმაც წრე წუთსა და 35,973 წამში გაიარა.

### II პრაქტიკა

1. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი) - 1:35.973 (32); 2. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი) – 0.172 (29); 3. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული) - +0.187 (26); 4. **მარკ უებერი** (რედ ბული) - +0.460 (23); 5. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი) - +0.644 (30); 6. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი) - +0.738 (27); 7. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი) - +0.983 (28); 8. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია) - +0.993 (30); 9. **ნიკო ჰიულკენბერგი** (ფორს ინდია) - +1.218 (30); 10. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი) - +1.343 (32); 11. **სერხიო პერესი** (ზაუბერი) - +1.444 (22); 12. **დანიელ რიკარდო** (ტორო როსო) - +1.643 (33); 13. **კიმი რაიკონენი** (ლოტუსი) - +1.863 (30); 14. **ჟან-ერიკ ვერნი** (ტორო როსო) - +1.957 (31); 15. **რომან გროსჟანი** (ლოტუსი) - +1.999 (25); 16. **პასტორ მალდონადო** (უილიამსი) - +2.203 (34); 17. **ფელიპე მასა** (ფერარი) - +2.320 (30); 18. **ბრუნო სენა** (უილიამსი) - +2.810 (37); 19. **ჰეიკი კოვალაინენი** (კატერჰემი) - +3.017 (36); 20. **ვიტალი პეტროვი** (ლოტუს-რენო) - +3.373 (19); 21. **ტიმო გლოკი** (მარუსია) - +3.678 (15); 22. **პედრო დე ლა როსა** (HRT) - +4.370 (24); 23. **შარლ პიკი** (მარუსია) - +4.780 (30); 24. **ნარაიან კართიკეიანი** (HRT) +5.152 (26).

# ოფიციალურად: ბაჰრეინი იქნება



გუშინ დილით ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ დაადასტურა მსოფლიოს 2012 წლის ჩემპიონატის მეოთხე ეტაპის - ბაჰრეინის გრანპრის ჩატარება. როგორც დაგეგმილი იყო, ეს უქმეები დათქმულ ვადებში - 20-22 აპრილს გაიმართება.

როგორც იცით, ბაჰრეინში ეტაპის ჩატარება ბოლო მომენტამდე კითხვის ნიშნის ქვეშ იყო ქვეყანაში არსებული არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციის გამო. 2011 წელს რბოლა გაუქმდა, მაგრამ ამჯერად, ბოლო ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაადგინეს, რომ ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია საფრთხეს არ უქმნის გუნდების წევრებსა და გულშემატკივრებს, ამიტომაც ეტაპი არ გაუქმდება.

*„ყველა ბედნიერია. არანაირი პრობლემა არ გვაქვს. ეს პრობლემა მასმედიამ შექმნა. მათ წარმოდგენა არ აქვთ, რა ხდება სინამდვილეში"*, - განაცხადა ფორმულა 1-ის შეფმა **ბერნი ექლსტოუნმა**.

*„ბაჰრეინის გრანპრი აუცილებლად ჩატარდება. ყველა გუნდი მოხარული იქნება იქ დაბრუნებით.*

*იქაურ სპორტულ ხელისუფლებას მუდმივად საქმის კურსში ვყავართ ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის შესახებ. მე ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც იქ ცხოვრობენ - ბაჰრეინში ახლა სრული სიმშვიდეა"*, - დაამატა ექლსტოუნმა.

მძლეოსნობა

# ბოლტის გრაფიკი


უსაინ ბოლტი

მსოფლიოს უსწრაფესმა ადამიანმა, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **უსაინ ბოლტმა** გამოაქვეყნა ლონდონის ოლიმპიადის წინ თავისი სატურნირო გრაფიკი. ბოლო შეჯიბრება, რომელშიც იამაიკელი 2012 წლის ზაფხულის თამაშების წინ მიიღებს მონაწილეობას, მონაკოში ბრილიანტის ლიგის ეტაპი იქნება. 20 ივლისს, ბოლტი 200 მეტრს გაირბენს. შეგახსენებთ, რომ ამ დისტანციაზე პლანეტის რეკორდი სწორედ უსაინს ეკუთვნის და ის 19.19 წამს უდრის.

გარდა ამისა, 25 წლის უსაინის წინასასეზონო განრიგში შედის ბრილიანტის ლიგის ეტაპები რომსა (31 მაისი) და ოსლოში (7 ივნისი), ხოლო დღეს იამაიკელი სამშობლოში, ქალაქ კინგსტონში მონაწილეობას მიიღებს 4x100 მეტრ ესტაფეტაში.

ჩოგბურთი


ეროვნული ბიბლიოთეკა
ამელი მორესმო

# მარათონელი

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ფრანგი **ამელი მორესმო** გულშემატკივრებს მოუყვა პარიზის მარათონისთვის მზადების შესახებ. ეს გარბენი 15 აპრილს გაიმართება.

*„დაახლოებით 50 ვარჯიშის, 61 საათი სირბილის, 750 კილომეტრისა და 53000 დამწვარი კალორიის შემდეგ, პარიზის მარათონის დრო დგება! თუ სიმართლე გაინტერესებთ, ცოტათი ვღელავ ჯანმრთელობის გამო, რადგან მახსოვს ნიუ იორკში საკუთარი გამოსვლის გამოცდილება... მაგრამ მაინც მზად ვარ ბრძოლისთვის!"* - დაწერა სპორტსმენმა თავის ბლოგში.

*„ჩემი მიზანია - ჩავჯდე 3 საათსა და 30 წუთში. იმედია, გამომივა. მწვრთნელი ქსავიე მორო ისევ მუშაობს ჩემთვის ნიუ იორკის მარათონის შემდეგ. მან ყველაფერი გააკეთა ჩემ მოსამზადებლად. სხვათა შორის, კვირას მთელ დისტანციას ერთად გავირბენთ. შეგიძლიათ ინტერნეტით ადევნოთ თვალი გამოსვლას. ჩემი ნომერია - 1573"*, - დაამატა მორესმომ.

■ ■ ■

გერმანული პრესის ცნობით, ჰამბურგის ტურნირმა (bet-at-home Open), შესაძლოა, შეწყვიტოს მომავალი წლიდან არსებობა. როგორც იტყობინებიან, საჩოგბურთო სტადიონს Am Rothenbaum-ს, რომელზეც ტურნირის მატჩები იმართება, 2013 წელს დემონტაჟს უპირებენ.

შეგახსენებთ, რომ ტურნირი ჰამბურგში 1892 წლიდან ტარდება და ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. 2009 წლამდე ის მასტერსის კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ახლა კი World Tour 500-ის კატეგორია აქვს.

# სარფიანი ფოტოსესია


მარია შარაპოვა

რუსული ჩოგბურთის პირველმა ნომერმა **მარია შარაპოვამ** Facebook-ის მეშვეობით უამბო თავის ფანებს ბოლო ამბების შესახებ. კერძოდ, მსოფლიოს მეორე ჩოგანმა მონაწილეობა მიიღო თავისი ახალი სპონსორის – "სამსუნგის" სარეკლამო ფოტოსესიაში.

*"ახლახან დავბრუნდი შინ "სამსუნგის" რეკლამის ფოტოსესიიდან. საჩუქრად ბევრი მოდური ნივთი მივიღე და ვერ მოვითმინე. ამ ფოტოზე მე ვარ ჩემს ახალ კომპიუტერთან და პლანშეტთან ერთად. მათ კიდევ გაუმართლათ, რომ იქედან ტელევიზორი და მაცივარი არ წამოვიღე (ერთი სული მაქვს, როდის გიჩვენებთ იმ ტელევიზორს... ამას თვით ჯეიმს ბონდიც დააფასებდა!). ამ მისიას შემდეგისთვის გადავდებ"*, - დაწერა მარიამ.

# სალამი წყალქვეშეთიდან


როჯერ ფედერერი

მსოფლიოს მესამე ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** Facebook-ზე თავისი გვერდის მეშვეობით გვიყვება იმის შესახებ, როგორ მიმდინარეობს მისი არდადეგები, აგრეთვე "დიდი სლემის" ტურნირების 16-გზის ჩემპიონი ორიგინალურად მიესალმა თავის გულშემატკივრებს.

*"ჩემი არდადეგები სრულდება. ყველას მოგესალმებით წყალქვეშეთიდან"*, - დაწერა შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ ფედერერისთვის უახლოესი ტურნირი იქნება მადრიდის მასტერსი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია